რამდენიმე დღის წინ ლონდონში ერაყულ ომს საექტაკლიც მიუძღვნეს. შოუ, რომელსაც “ჯორჯ დაბიას სიგიჟე” ჰქვია, ანშლაგებით მიმდინარეობს. ცნობისმოყვარეთა რიგები ყოველდღიურად მატულობს და მალე საექტაკლი უფრო დიდ დარბაზში უნდა გადაიტანონ. ნიკოლას ბარნსი, რომელიც წარმოდგენაში ტონი ბლერის როლს ასრულებს, აცხადებს: “რაც უფრო გვიახლოვდება ომი, საზოგადოების განწყობაც მეტად იცვლება. ხალხი ჩვენს ხუმრობებზე თითქოს უფრო მეტს იცინის, მაგრამ ამ სიცილში აშკარად იგრძნობა ნერვიულობა და დაძაბულობაც. ხალხს ეშინია”.

რეჟისორმა ჯასტინ ბუჩერმა პიესა საზოგადოებრივად დაწერა, ექვსიოდე რეპტიციის შემდეგ კი დადგა კიდევ ერთი საომარი განწყობის ესკალაციის დაშლამდე და პოპულარობაც ამიტომ მოიპოვა. ანშლაგები კი მოსალოდნელიც იყო. ეს ჩვეულებრივი ამბავია – გარდაუვალი ომის წინ ხალხი საკუთარ ნერვებზე თვითონვე ზრუნავს და ცდილობს, როგორც შეაკავოს შოში, რათა ის მასობრივ ნაიკიში არ გადაზარდოს. პიესის შესახებ მეტი ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ ვებ-გვერდზე <http://www.themadnessofgeorge-dubya.org>.

“ჩვენ პატრიოტი ამერიკელები ვართ”

ასეთივე აქტიურობით გამოირჩევიან ამერიკელი ვარსკვლავებიც. შონ პენი ბადადს ჯერ კიდევ როდის ეწვია; სიუზენ სარანდონის საპროტესტო რეკლამაც ტელევიზიით კარგა ხნის წინ გადაიკა. “როიტერსმა” ერთი თვის წინ გაავრცელა ფოტო, რომელზეც ლოს-ანჯელესში მოწყობილ საპროტესტო აქციაზე მსახიობ მარტინ შინს ინვალიდის სკამზე მიჯაჭვულ ვიეტნამის ომის მონაწილე მოზუიცი მოჰყავს, ჯესიკა ლანჩმა თქვა: “მე ვერ ვიტან ბუშს. მეზობლებმა მისი თეილი აღმინისტრაცია”, შერილ ქროუმ საპროტესტო დევიზები (სიმღერებიდან “ომი არ არის პასუხი”) თავის მაისურზე გამოხატა... “სანდენისის” კინო-ფესტივალი, “გოიას” დაჯილდოება – მსახიობებმა ომის წინააღმდეგ ბოლო ხანს მონაწილე თითქმის ყველა კულტურულ ღონისძიებაზე აიმაღლეს ხმა... ეთან ჰოუქმა კი, კიმ ბენსფერთან და მარტინ შინთან ერთად, ჩამოაყალიბა მოძრაობა “გაერთიანებული მსახიობები – გავიმარჯვოთ ომის გარეშე”. მათ ჯერ კიდევ დეკემბერში თხოვნის წერილი მიმართეს პრეზიდენტ ბუშს. წერილს ხელს 100-მდე ვარსკვლავი აწერდა. მათ შორის: შიკაგო, მეტ დემონი, პიტერ ბაი, პიტერ კოიოტი, მაიკ მილსი, დევიდ დუზოვნი, სემუელ ლ. ჯექსონი, კენ ჰოვარდი, ტეკ ლეონი, ჰელენ ჰანტი, ტიმ რობინსი... ისინი წერდნენ: “ჩვენ ამერიკის პატრიოტები ვართ...ომის საჭიროებას ვერ ვხედავთ. მოდი, მთელი ძალები შინ და გარეთ ადამიანთა კეთილდღეობას და უსაფრთხოებას მოვახმაროთ...”



ომს ისე დაიწყებენ, ვერაინ გაიგებს - ბუში



შონ პენი ბადადში. პრესკონფერენციაზე



შარ-ის წვერი დემონ ელბერნი ლონდონში, აქციაზე



პლაკატი ლონდონური დემონსტრაციიდან

რთვა “ნიუ იორკ ტაიმსში” მთელ გვერდზე, რეკლამის სახით გავიდა – მსახიობებს საზოგადოებასა და პრეზიდენტამდე ხმის მისაწვდენად საგაზეთო ფართის ყიდვა დასჭირდათ...

“გერნიკა”

როგორც ხედავთ, პროტესტის სურნელი, რომელიც თავიდან ლოს ანჯელესში გამოფენილი ძველი, მტრეანი, ისტორიული საპროტესტო პლაკატიდან მოიღვრა, მსოფლიოს ხელოვნათა წრეებს მთლიანად მოედო. როგორც კანადური გაზეთი “ტორონტო სტარი” რამდენიმე დღის წინ მითითებდა, “იყო ომის პირველი მსხვერპლიც” – ჯერ კიდევ არ დაწყებულ ომს ისტორიული ტილო “გერნიკა” შეენიჭა: პიკასოს ძალადობის წინააღმდეგ მიმართული შედეგის რეპროდუქცია, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს პრესპრიფინგებისათვის განკუთვნილ დარბაზში ეკიდო, ცისფერი ფარდის მიღმა დამალეს. მიზეზი შემდეგი გახლდათ: ოდნავ უზრუნველ მიიჩნევა, კოლინ პაუელს შესაძლო ომის შესახებ “გერნიკას” ფონზე ესაუბრა...

დაბოლოს

მართალია, პიკასოს ამ ტილოს შექმნის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ პროტესტის ხელოვნება მანც დარჩა მსოფლიოს ცხოვრების აუცილებელ ატრიბუტად. თუმცა, ბუნებრივია, დღეს – ომის ზღვარზე, მთავარი საკითხი სულ სხვა გახლავთ – რა კონკრეტულ შედეგს მოიტანს ამ ხელოვნების არსებობა.

შედეგობის დამტკიცებელი მიჩნევენ, რომ შედეგის აპროგნოზის მიზეზი მედიის პასიურობაც გახლავთ. ექსპერტთა დასკვნით კი, დემონსტრანტი არა მხოლოდ ერაყის წინააღმდეგ შესაძლო ომს, არამედ პრესის ამ პასიურობასაც აპროტესტებენ. მათ ვერ წარმოუდგენიათ, თუ რატომ უნდა გახდეს აუცილებელი საპროტესტო წერილისთვის გაზეთში სარეკლამო ფართის ყიდვა, ან რატომ უნდა თქვას უარი “სი ეს ენმა” იგივე მონაწილის ეთერში გამგებზე. მეტიც, ამერიკელი ჟურნალისტი ანტ კოჯარი აცხადებს: “პირველი პლაკატი ლონდონში დაბეჭდა არც “ნიუ იორკ ტაიმსმა”, არც “გაზინეტის პოსტმა”.

ექსპერტი ჩეტვრდი დღევანდელ სიტუაციას ვიეტნამს დადრებს: “ვიეტნამის ომის დროს, გაზეთები სივანმანათლებლო ფუნქციას ითავსებდნენ, საკითხს კონკრეტულად ლობირებდნენ, საშრეთ-აღმოსავლეთ ზაზის სექციებიდან ხმას იმდებდნენ. მაგრამ მათ ყურადღებას არაფერ აქცევდა. ეს არ იყო სამშვიდობო მოძრაობა. ტელევიზიამ მაშინ მოახერხა ხალხის დაწინაურება იმაში, რომ სამშვიდობო მოძრაობა იყო გამოვლენი, ახალგაზრდების მიერ ჯგუფი და კონტრკულტურა. დღეს კი ეს საპროტესტო გამოსვლები ახალს არაფერს გვთავაზობენ. ამიტომაც დემონსტრაციებსაც ნაკლებად აშუქებენ”.

ასეა თუ ისე, მსოფლიოს ხელოვნათა წრეებში შემდეგ კვირას და ჯერ 12, შემდეგ კი 15 თებერვლის დადგომას ელიან. “უარი ომს” - ამ პლაკატის აფრიალებას ისინი ნებისმიერ შემთხვევაში აპირებენ.

როგორც კაილი მინოუბი

რას გვიამბობს ჯალათი

ლონდონის სავაჭრო ცენტრში, “სელფრიჯში” აესტრალიელი პოპ-ვარსკვლავის სახელის მატარებელი ქვედა საცვლების კოლექციის პრეზენტაცია გაიმართა. კოლექცია რამდენიმე ზაზისგან შედგება: Vamp, Seduce, Sheer Escape, Dolly, Diva, Fever. რას აღარ ნახავთ: სატინის და მაქსანის ტრუსებს, აზლუდებს, “თოჯინურ” ღამის პერანგებს... ზოგიერთ მოდელს წარწერაც აქვს – კაილის პოპულარული სიმღერების სტროფები.

შემთავაზებული საქონელი “შინაურულად” კოხტაცა და მაცდუნებელიც – ბადისებრი აზლუდები, დასერეტილი ტრუსები... კაილი იმედოვნებს, რომ ამის წყალობით მამაკაც მყიდველთა პროცენტიც გაიზრდება – ვის არ მოუწონდა თანხის საყვარელი ქალის ასეთ საცვლებში ხილვა? თან მინიატურულმა კაილიმ ისიც გათვალა, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა უმრავლესობა მას მოცულობით ბევრად აღემატება.

კოლექციის სახელწოდება “სიყვარულით კაილისგან”. პირველი დიდი წარმატება მას აესტრალიაში ხვდა წილად და, როგორც ჩანს, შეძენის მსურველები არც დიდ ბრიტანეთში მოაკლდება.

მიუხედავად იმისა, რომ შეკრებილთა უმრავლესობა სწორედ ამ იმედით იყო მოსული, თავად კაილი მოდელის როლში არ გამოსულა, მხოლოდ დაიფიცა, რომ ვერცხლისფერი ტყავის კაბის ქვეშ სწორედ ამ კოლექციის საცვლები იმალებოდა. ნახევრადმშველი კაილის ნახვას “სელფრიჯში” მოსული მყიდველები სხვა დროს შეძლებენ: დარბაზებში დაყენებული მონიტორები საკუთარი ნაწარმის სარეკლამოდ გახდომის 34 წლის მომღერალს განუწყვეტილად აჩვენებენ. პრეზენტაციის დროს კი, მის ნაცვლად, ბრბოს მინიმალისტურ ტრუსებსა და აზლუდებში გამოწყობილი ოთხი გრძელფეხი ღამისზმანი ატყობდა.

მომღერლის თქმით, კოლექცია მხოლოდ და მხოლოდ მის პირად გემოვნებას ასახავს. “გამიმართლა – უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ბევრი ვიმოგზაურე და ამ დროის განმავლობაში მთელს მსოფლიოში ნაყიდი თეთრული დამიგრეოდა”, - გაუზიარა კაილიმ Daily Express-ის კორესპონდენტს. “ვიფიქრე, ყველა ამ ნივთის ერთ ხაზში გაერთიანება კარგი იქნებოდა-მოეთქ... მიზანი მიღწეულია – ჩემი თეთრული მოდურიცაა, კეკლუციც და კარგი სახმარიც.”



კაილი მინოუგი ახალი საცვლების კოლექციის პრეზენტაციაზე

პარიზში, საფრანგეთის უკანასკნელი ჯალათის დღეები გაიყვია. “პარიზულ ბატონად” ცნობილ ანატოლ დებლეს “შრომითი საქმიანობის” განმავლობაში (1890-1939 წლებში) 400-ზე მეტი დამნაშავეისთვის საჯაროდ ჰქონდა თავი მოჭრილი. 14 დეკემბერს 2000 ხელნაწერ გვერდს შეიცვალა. ჯალათის ყოველი სიკვდილით დასჯა ქრონოლოგიურად ჰქონდა ჩამოწერილი, თან ყოველ დეტალს ზუსტად მითითებდა: ადგილს, თაროს, დროს, დამნაშავეის სახელს, განაჩენს, ამინდსაც კი. ამ მონაცემების თანახმად, ანატოლ დებლეს სულ ნაირ-ნაირი ხალხის ჯალათი იყო: მძარცველების, მომწამლეულების, მკობრების და შემოღობისაც კი. დეკემბერში სიკვდილისჯილთა უკანასკნელი სიტყვების ჩანაწერებიც მოიპოვება. ასე, 1925 წელს, ივ კულოის დაუძახია: “გაუმარჯოს ანარქიას! სიკვდილი ძალღებს!” თავად დებლე პარიზის მეტროში გულის შეტევით გარდაიცვალა, არადა სამსახურში მიეჩქარებოდა. მისი გარდაცვალებიდან ნახევარი წლის შემდეგ, საფრანგეთში განაჩენის საჯაროდ აღსრულება აკრძალეს (ციხის ეზოში ამ დროს არაფერ დაიშვებოდა), 1981 წლიდან კი სასჯელის უმაღლესი ზომა სამუდამო პატიმრობა გახდა. ანატოლ დებლეს დღეობის მიხედვით ვინაობას არ ამხევენ, თანხა კი ცნობილია – 100 ათასი ევრო.



ფრაგმენტი ლექსიდან
"ნიკალა"

სხეულს გაატან ბაღდაძის,
წუთისოფელი მიქარავს,
ამაოება პარტახი
ამ გულმა არ მიიკარა.

დანყვეტილია არტახი,
ბეჭზე გცემს,
ნათელს ირკალავს
წმინდა გიორგი მათრახით:
- ადექ, დახატე, ნიკალავ!

დათო მალრაძე

კონტაქტი

პრადის ზრდისა და განვითარების წინაშე არსებული ბარიერები

მილან ტარბა,
ქალაქის განვითარებაზე
პასუხისმგებელი პრადის
ჩინოვანი რესპუბლიკა

პრადი, ცენტრალური ევროპის ძველი ქალაქი და დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი კულტურული ცენტრი ამ საუკუნეში უკვე მესამედ იმყოფება პრინციპულ ცვლილებათა ქარცეცხლში. ჩეხეთის საზოგადოება ეძებს გზებს, რომ აწინამდებარებდეს მფლობელობით აღჭურვილი, ცენტრალური და გეგმიური ეკონომიკის კომპლექსური სისტემა აქციოს საბაზრო ეკონომიკის დემოკრატიულ სისტემად. ცვლილებანი ქვეყნის პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და ცალკეულ საქალაქო და საზოგადოებრივი მმართველობის სისტემებში შედარებით სწრაფად განვითარდა, პრივატიზაციის პროცესი ვითარდება ნაციონალური ეკონომიკის ყველა სფეროში, იცვლება მფლობელობითი ფორმები, რაც უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლის საფუძველს. მოსალოდნელია ცვლილებანი სოციალურ სტრუქტურაში და მოსახლეობის ცხოვრების ნორმებსა და სტილში, ფაქტობრივად, იზოლირებულ საზოგადოებას ესხნება ბარიერები საგარეო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული იმპულსებისა და რესურსების მიმართ, ფუნქცია ახალი კავშირები და ურთიერთობანი. ჩეხეთის რესპუბლიკა ცდილობს, რომ იპოვოს შესაბამისი ადგილი ცვლილებებისაკენ მიმავალ ევროპაში და პრადი ცდილობს, დაადგინოს თავისი როლი ევროპის მნიშვნელოვან ქალაქთა შორის.

საუკუნეები ჩამოყალიბებული ტრადიციული ქალაქის ინფრასტრუქტურა ხშირ შემთხვევაში ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში არსებული ყველა სახის დეფორმაცია მნიშვნელოვანი ხელშეშელი ფაქტორია მიმდინარე ცვლილებათა გზაზე. ამგვარად, მიზანი ჩემი შრომისა იყო გამეანალიზებინა და შემეფასებინა თანამედროვე პრადის ქალაქგეგმარებითი თუ ბუნებრივი გარემოს შემადგენელი: დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური ელემენტები, აგრეთვე ეკოლოგიური სიტუაცია, რომელიც შესაძლოა გაუარესდეს და დაბრკოლოს მიმდინარე ცვლილებანი. ნაშრომი, ძირითადად, კონცენტრირებულია იმ პრობლემებზე, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ქალაქგეგმარებით საკითხებთან.

პრადის მომავალი სივრცითი განვითარება სრულიად ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მოხდება, ზოგიერთი ახალი მოვლენა უკვე ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას ქალაქის ცხოვრებაზე:

- ცვლილებანი საკუთრებით დამოკიდებულებებში მიწისა თუ უძრავ-მოძრავი ქონების მიმართ,
- ნარმოებისა და მომსახურების სფეროების პრივატიზაცია,
- კონკურენცია მიმზიდველი ადგილების დაუფლებისათვის, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრში,
- ეკონომიკური ზენოლის შედეგად ეკოლოგიური საკითხების უფლებეყოფა,
- პრადის საერთაშორისო მნიშვნელობისა და მიმზიდველობის ზრდა,
- პრადის ისტორიული ბირთვის ტრანსფორმაცია,
- მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის დიფერენციაცია,
- მასობრივი ტურიზმის რადიკალური ზრდა,
- ინდივიდუალური საავტომობილო ტრანსპორტის ზრდა,
- გადაწყვეტილებების მიღების დეცენტრალიზაცია, ქალაქის განვითარების გეგმებსა და მეტროპოლიტენის არეალებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა.

იცვლება ქალაქის დაგეგმარების მეთოდებიც. საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიულ საზოგადოების პირობებში აღარ არის შესაძლებელი ქალაქის იდეალური მომავლის დაგეგმვა და შემდგომ მისი დირექტიული მეთოდებით ცხოვრებაში გატარება, როგორც ეს ხდებოდა კარტუსის ურბანულ ნარსულში. სხვა მხრივ, რამდენადაც ამას გვიჩვენებს კარგად ჩამოყალიბებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება, ქალაქის განვითარება არ შეიძლება მთლიანად მიანდოს საზოგადოების პირდაპირ და მჭიდრო უნარი დამაკმაყოფილებლად გადაჭრას პრობლემების მთელი კომპლექსი იმ ქალაქებში, განსაკუთრებით საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ქალაქების დაგეგმარება ჩეხეთის რესპუბლიკაში მოითხოვს ახალ მიდგომას ორ უკიდურესობას შორის. ახლად ჩამოყალიბებული ტერიტორიული დაგეგმარების პრინციპში ნარმოადგენს ურთიერთკავშირში მყოფ დოკუმენტების სისტემას, რომელიც იძლევა ქალაქის განხილვის საშუალებას სამ დონეზე:

- სტრატეგიული გეგმა წარმოად-



გენს პრადის განვითარების პროგრამას, რომელიც გამოყოფილია საზღვრები ქალაქის პოლიტიკის ძირითადი მიზნებისა და მიმართულებების და ადმინისტრაციული ზემოქმედების არეალისათვის. გეგმა აგრეთვე წარმოადგენს ახალი გენერალური გეგმის საფუძველს.

- გენერალური გეგმა ასახავს ქალაქის ტერიტორიის გამოყენების გეგმას შესაბამისი საქმიანობათა განთავსების მიხედვით.

- გენერალური რეგულირების გეგმაში, რომლებიც მომზადებულია ქალაქის ცალკეული რაიონებისათვის, აყალიბებს საქმიანობათა და შერობათა განთავსების პირობებსა და კრიტერიუმებს, მათი დაცვა საავადმედო იქნება დაგეგმარების უფლებათა გაცემის დროს.

პრადის განვითარების ამ დოკუმენტების დამუშავება ამჟამად მიმდინარეობს.

პრივატიზაცია, მფლობელობისათვის მიწისა და ქონების დაბრუნების და მიწის ღირებულების მიმართ დამოკიდებულების აღდგენა, ნარმოადგენენ იმ ძირითად ეკონომიკურ ცვლილებებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ქალაქგეგმარების პრობლემებთან. იმ 40-წლიანი პერიოდის შემდეგ, რომელსაც პრადის მთელ ტერიტორიაზე ერთი კვ მეტრის ფასი შეადგენდა ოც კრონას (იგივეს, რაც ერთი კოლოფი ამერიკული სიგარეტის ფასი იმ დროს), აუცილებელია დიფერენცირებული მიდგომა სხვაინდასხვა ტერიტორიის მიმართ, შესაბამისი ფუნქციებისათვის სათანადო ღირებულების მიწის ნაკვეთის შერჩევის თვალსაზრისით. ამჟამად ერთი კვ. მეტრი მიწის ფასი ქალაქის ცენტრში მერყეობს 5000-6000 გერმანულ მარკას შორის. ეს ფასი წარ-

მოადგენს გარკვეულ რისკს საზღვარგარეთელი ინვესტორებისათვის, რადგანაც ბიზნესის დაწყების შემთხვევაში ისინი იძულებულნი არიან მიწის ღირებულება შეაფასონ სათანადო შემოსავალთან. მათი მიზანი მინა გამოიყენონ მაქსიმალურად მომგებიანად და ის საქმიანობა აირჩიონ, რომელსაც მაქსიმალური ეკონომიკური შედეგი ექნება.

ამ გარემოებამ ხელი შეუწყო გასაკვირვებელი ადმინისტრაციული ოფისების, სასტუმროების და სავაჭრო ცენტრების მშენებლობას. საცხოვრებლისა და საზოგადოებრივი დაწესებულების არაკომერციული ფუნქციები, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრში, საფრთხის წინაშეა. ქალაქის მაცხოვრებელთა ინტერესებიდან გამომდინარე, საუბერეო ტერიტორიები ამ მნიშვნელოვანი ფუნქციებისათვის დასაცავია კომერციული ზენოსისაგან.

წინა რეჟიმის დარბი მემკვიდრეობა გაურემონტებელი და სავალალო მდგომარეობაში მყოფი საცხოვრებლისა და მომსახურების სექტორის ძირითადი ნაწილი. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფი საცხოვრებლისა და მომსახურების ორი დეკლასი განმავლობაში სარგებლობდა კომუნისტური ნომენკლატურა. 1991 წლის აღწერის მიხედვით პრადის ბუთას თექვსმეტი ათასი ბინაა. იყო ტენდენცია მზაბინო და საბაზანოებით აღჭურვილი ბინები ზრდის, ბინების საბით თუ ე.წ. საცხოვრებელი ოთახებით და ა.შ.

ბინებზე დიდი მოთხოვნა პრადში შენარჩუნებული რენტიების რეგულირების მეშვეობით, მაგრამ შემინჯება მათი არათანაბრი დატვირთვა, მოხმარება. რიგი ბინებისა გადატვირთულია, ამავე დროს დანარ-

ჩენი ნახევრად ცარიელია. მრავალი ბინათმფლობელი ხშირობს ორ ან სამ ბინას, სადღაც კი ორი ან სამი თაბა იძულებულია, რომ იცხოვროს ერთ ბინაში. ბინათმფლობელთა არამომზიდველ სექტორად რჩება კომერციული ნრებისათვის, რაც გამოიხატება საცხოვრებელი რაიონების მშენებლობის რადიკალურ შემცირებაში. აუცილებელი და გარდაუვალია ყველა ბარიერის მოცილება, რათა რენტების დონე მაქსიმალურად შესაბამისობაში მოვიდეს საბაზრო მოთხოვნებთან. ახალი რენტები ისე უნდა დადგინდეს, რომ მიწისმფლობელ დაფაროს ბინების ექსპლუატაციის ხარჯები (მომსახურება, ადმინისტრაციული ხარჯები და ინვესტიციების დაფარვასთან დაკავშირებული ხარჯები და ისე, რომ ისინი აისახოს შესაბამისი ნაკვეთის მიწის ღირებულება). საზოგადოების მოსალოდნელი შემდგომი დიფერენციაციის პროცესში აუცილებელი გახდება, რომ გადაიჭრას საცხოვრებელი საკითხი დაბალი ფენებისათვის (ამ მიზნისათვის 20% მთელი არსებული სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდისა უნდა დარჩეს ქალაქის საკუთრებაში, პრივატიზაციის შემდეგაც კი).

ძველი რეჟიმის დროს საზოგადოებრივი მომსახურების სფეროები მთლიანად სახელმწიფოსა და ქალაქის მმართველობის განკარგულებაში იყო. ქვეყნისა და ქალაქის ლიმიტირებული ფონდები ძირითადად წარმართებოდა პრიორიტეტული პროდუქციის მწარმოებელი და არამწარმოებელი სფეროების და ახალი საცხოვრებლების პროექტირებისაკენ. აქედან გამომდინარე, წინა ოთხი დეკადის განმავლობაში შეინიშნებოდა მზარდი დიფერენცია პრადის საზოგადოებრივი კეთილმოწყობის, პრაქტიკულად, ყველა სფეროში. ახალ პირობებში ქალაქის საზოგადოებრივი მომსახურება რეორგანიზაციის განიცდის და ყალიბდება ორ განსხვავებულ ჯგუფად: მაშინ, როდესაც ხალხის მომსახურება მთელ დანიტრესებულ სფეროებში (განათლება, ჯანდაცვა, სოციალური ბრუნვა), კვლავ დაინახნა საპროპორციულობის დროებითი რელაქციის, რისი გამოსწორებაც შესაძლებელია სრულიად დარეგულირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ბოლო სამი წლის განმავლობაში მკვეთრი აღმავლობაა დაფიქსირებული ტურიზმის სფეროში. საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ საზღვარგარეთელი ინვესტიორები ძირითადად ქვეყნის დედაქალაქით არიან დაინტერესებული. ტურიზმის ბიზნესმა ალბათ მნიშვნელოვანი როლი უნდა თამაშოს პრადის მომავალში. ეს ერთ-ერთი იმ შვიანი სფეროთაგანია, სადაც საქმიანი დაწესებულება საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გამოყენებით უკვე მაღალ დონეზე განვითარებული. სანყინია, რომ ქალაქს დღეს პრაქტიკულად არა აქვს წილი ტურიზმის მოგებიდან, რაც აისხნება

კანონმდებლობის დაუზენაობითა და საღირსეზო ფაქტების ნაკლებობით მაკონტროლებელ სფეროში. ეს არცთუ იხე მცირე ამონაგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც ქალაქისათვის, ასევე მაცხოვრებელთათვის. პრადის ეკონომიკური ბაზისის ტრანსფორმაცია იმ გლობალური პროცესის ნაწილია, რომლის დანერგვაც გარკვეულ დროს წაიღებს, ის მნიშვნელოვანილად დამოკიდებულია "დიდი პრივატიზაციის" შედეგებზე, რომელიც რესპუბლიკაში მიმდინარეობს ძირითადად საზღვარგარეთელი კაპიტალის მოზიდვის ხარჯზე. ორი წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საზღვარგარეთელი კაპიტალის შემოსვლა და უფრო ეფექტურად გამოყენება დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მაკროსტრუქტურებზე. საზღვარგარეთელი ინვესტირებთან ქალაქის ხელმძღვანელობის, ხშირ შემთხვევაში, მოუქნელი მოლაპარაკებანი მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ ამ მიმართულებით. საკვანძო ბარიერებს ქმნის: მოულოდნელი პოლიტიკური ცვლილებები, საბაზრო რისკი, რომლის საფუძველია მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის კლება, სახელმწიფოსაგან ფასთა რეგულირების შესაძლებლობა, მესაკუთრული დამოკიდებულებების გაურკვევლობა და ა.შ. ამ ბარიერების სწრაფი მოცილება აუცილებელი ნინაპირობაა როგორც მთელი ქვეყნის, ასევე მისი დედაქალაქის ეკონომიკური ტრანსფორმაციის ინსტრუმენტის. გასული წლის განმავლობაში აღინიშნებოდა მაკროეკონომიკური მდგომარეობის შესამჩნევი გაუმჯობესება, რაც შედეგია ჩეხეთის რესპუბლიკაში ახალი საგადასახადო სისტემის შემოღების და წარმატებით განხორციელებული კუპონი პრივატიზაციის "პირველი ტალღისა". ანგარიშით, რომელიც ყოველწლიურად კეთდება ლონდონის კომპანიის მიერ, პრადი, ბუდაპეშტთან ერთად, შეფასებულია როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ქალაქის ბიზნესის დასაარსებლად. 1994 წელს ამერიკის სარეიტინგო სააგენტომ ჩეხეთის რესპუბლიკას მისცა კლასიფიკაცია და მიაკუთვნა ინვესტიციის მსუბუქი რისკის ზონას. პრადის შეფასება უფრო მაღალი ხარისხის იქნებოდა. პრადში მოქმედმა უცხოური კომპანიების მზარდმა რაოდენობამ დაადასტურა ამ შეფასების ჭეშმარიტება.

კომუნიზმის შემდგომი ტრანსფორმაციის პერიოდი, რომელიც იმყოფება ჩეხეთის საზოგადოება და მისი დედაქალაქი, მოიცავს რიგ სერიოზულ, სოციალურ ცვლილებებს. ეკონომიკური ცვლილებების პროცესში თვალშისაცემი სოციალური დანაღებები აისახება საცხოვრებელი ღირებულების ზრდაში და აქედან გამომდინარე, მოსახლეობის საცხოვრებელი სტანდარტების შემცირებაში. პრადში ზოგი ზონა ბიზნესისა და საცხოვრებლის ფუნქციებისათვის პრიორიტეტულია და კომერციული თვალსაზრისით მომგებიანი. ქვეყნისა და ქალაქის სხვა რაიონები ამ მხრივ ნაკლებად მიმზიდველია. აქედან გამომდინარე, ამ რაიონებში ხსენებულ დანაღებთა სწრაფი ზრდაა მოსალოდნელი. ქალაქის ახალი ელიტა უკვე უახლოვდება თავის სპეციფიკურ მოთხოვნებს, სოციალურ აბრიოტუტებსა და ცხოვრების დამახასიათებელ სტილს, ამავე დროს, იზრდება მოსახლეობის ფენა, რომელიც შეიძლება განხილული იქნეს, როგორც "სოციალური დასუსტი". ეს ნაწილი პრადის მოსახლეობისა შეიძლება სოციალური დაძაბულობის წყარო გახდეს, რაც დაკავშირებულია გარკვეულ სოციალურ და პოლიტიკურ რისკთან, ხოლო მისი გაუმართაობა ზრდა ქალაქის შემდგომ ზრდასა და მის ეკონომიკურ ტრანსფორმაციის სერიოზულ ბარიერს შეუქმნის.

ქალაქის ინდივიდუალობა, მისი ისტორიული და კულტურული მრავალფეროვნება და ნაირვარაობა, უნიკალურობა და მნიშვნელობა ასახავენ წარსულის განვითარებულ მემკვიდრეობას, რომელიც პრადამ შეძლო შეენარჩუნებინა, მიუხედავად ყველა იმ შეცდომისა, რომელიც დაუშვა ტოტალიტარულმა რეჟიმმა 40 წლის განმავლობაში. ამ დირსებებით აღჭურვილი პრადი ჩამბულია შევიწროვდა და თანამშრომლობაში სხვა ევროპულ ქალაქებთან. ეს ღირებულებანი განსაკუთრებულ დაცვას, პატივისცემასა და განვითარებას მოითხოვენ. ისინი გახდებიან მომავალი კომერციის საფუძველი. ქალაქი უნდა გახდეს არა მარტო ტურიზმისათვის მიმზიდველი ობიექტი, არამედ უპირველეს ყოვლისა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორის ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის ცენტრი, ცენტრი განათლებისა და კულტურისა. ამ თვალსაზრისით პრადის არქიტექტურული კულტურული და ისტორიული ღირებულებანი უნდა განიხილოს, როგორც უმდივი და აუცი-

ლებელი ბარიერი ყველა იმ ძალისხმევის მიმართ, რომელიც მაქსიმალური კომერციული ეფექტის მიღების მცდელობისას უგულვებელყოფს ქალაქის კონტექსტს. პრადის ისტორიული ცენტრი და მისი მიმდებარე უახლოესი ტერიტორიები უნდა დაეთმოს მხოლოდ იმ პროექტებს, რომლებშიც პრადი აისახება როგორც ნაციონალური მოზუმენტი და, რომლებიც მაქსიმალურად ექვემდებარებიან შერჩეულ მიმართულებებს და შეზღუდვებს, ექვს გარეშეა, რომ ყველაზე სერიოზული ბარიერი პრადის მომავალი განვითარებისათვის არის ქალაქის მიმდებარე კოლოგიური სიტუაცია. ეს შედეგია: ბუნებრივი პირობების, კლიმატის, ადგილმდებარეობის კონფიგურაციის, კაპიტალური ფონდის და ინფრასტრუქტურის ხანგრძლივი მიშვევულობის, მოძველებული სანარმოების, ტექნოლოგიებისა და დანადგარების კონცენტრაციის, არაშესაფერისი გათბობის სისტემისა, მიმდებარე გულერებული ტრანსპორტის. ფუნდამენტური პრობლემაა ის, რომ გარემო პრადში მთლიანობაში დარღვეული და აქედან გამომდინარე, ირდება ნეგატიური ზემოქმედების (ცალკეულ კომპონენტზე. რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ეს პროცესი მიმდინარეობს ქალაქში, რომელიც არის არა მარტო გამორჩეული კულტურული ცენტრი მრავალი უნიკალური ნაკვობისა, არამედ 1.214 ათას ადამიანზე უფრო მეტი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი. ეკოლოგიური სიტუაციის შემდგომი დაუმჯობესება დაუშვებელია, პრადის დარღვეული გარემო ყველაზე სერიოზული ბარიერია მისი მომავალი განვითარებისათვის. ეკოლოგიური ასპექტი შეიძლება გახდეს უმთავრესი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს შემდგომ სანესტიციო და ყველა სახის ეკონომიკურ აქტივობას, ქალაქის ადმინისტრაციულ მართვას და ხელმძღვანელობას, მოსახლეობის ქვეყანაც კი.

ეს რთული და მრავალ შემთხვევითი დრამატული ცვლილებების პერიოდი, ამავე დროს დიდი შესაძლებლობების ხანაა როგორც პრადისათვის, ასევე მისი მაცხოვრებლებისათვის.

- პრადს აქვს უნიკალური შანსი, რომ შეაფასოს სხვა დასავლეთ ევროპულ ქალაქების განვითარება, თავიდან აიცილოს მათი შეცდომები. მან უნდა დაიცავს და კაპიტალურად ცილის თავისი უნიკალურობა და ყველა ხელისშემშლელი ფაქტორი თავის უპირატესობად აქციოს.

პრადამ უნდა იპოვოს თავისი ადგილი გეოპოლიტიკური ურთიერთობების კონტექსტში და მონახოს თავისი როლი თანამედროვე საბაზრო ქალაქთა შორის. მან უნდა წარმართოს ძალისხმევა სხვა ევროპულ ქალაქებთან, განსაკუთრებით ვენასა და ბუდაპეშტთან ერთად.

- პრადს აქვს უნდა გამოიყენოს ევროპის გულში თავისი ხელსაყრელი მდებარეობა. აუცილებელია, რომ სხვა ევროპულ ქალაქებთან და რეგიონებთან ურთიერთკავშირისათვის აიგოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით სატრანსპორტო და ტელეკომუნიკაციური კავშირისათვის, გამოასწოროს და დაუქვემდებაროს ქალაქის გარემო ევროპულ სტანდარტებს.

- პრადს აქვს შესაძლებლობა, რომ ეკონომიურად გამოიყენოს "ადამიანის კაპიტალი" - განაღლებული, კვალიფიციური, მოქნილი და შედარებით იაფი მუშახელი - ისევე როგორც ქალაქის მდებარეობის შეფასებელი ღირებულება. იმისათვის, რომ იდგეს სხვა მონივრე ქალაქთა შორის, მან უნდა შექმნას ხელსაყრელი პირობები სასურველი ინვესტიციების ზრდისათვის, გააძარცვოს და დააჩქაროს განაწყვეტილების მიღების პროცესი და ააგოს გარანტირების სისტემა.

- პრადს აქვს შანსი, გამოიყენოს თავისი კულტურული და სულიერი ტრადიციები და ტურისტული დანიტრესების მოზღვევებული ტალღა. თავისი ახალი როლის ძებნისას მან არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკარგოს ღირებულებანი, რომლებმაც აქციეს ის ერთ-ერთი განსაკუთრებულ ქალაქად ევროპაში.

გამოიყენებს თუ არა პრად ამ შესაძლებლობებს, მომავალი გვიჩვენებს.

სარადაქმნი მიწანადირი:
ჩვენი აზრით, მიწან ტურბას ქვეყნის თანამშრომელი მიმზიდველი იმისა, როგორი ეროდიცია და მასუხისმგებლობის გრძნობა საჭირო ქალაქის განვითარებაზე შრუფუნას. თბილისი ნამდვილად იმსახურებს ამგვარი კატეგორიების მოაზროვნე მსკვეურებს, რომელთა მოძებნა ჩვენი საზოგადოების ვალია.

არქიტექტურული ძეგლის სტატუსი

დასასრული
დასაწყისი №. N 23

ნესტან თათარაშვილი

ა. რემერტი იმდენად იყო შეყვარებული აბასთუმანზე, რომ დაიბარა, გარდაცვალების შემდეგ გერმანიიდან საქართველოში გადმოესვენებინათ. მისი ანდერძი აღსრულებულია. ა. რემერტი დაკრძალულია აბასთუმანში, მდინარე ოცხეს ნაპირას მდებარე ლამაზ მთაზე. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ა. რემერტის რჩევით, XIX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში აბასთუმანში ტუბერკულოზის სამკურნალოდ ჩამოიდის რუსეთის უკანასკნელი მეფის, ნიკოლოზის ძმა - უფლისწული გიორგი. ამ დროიდან იწყება აბასთუმანის უახლესი ისტორიის კიდევ ერთი საინტერესო ეტაპი. 1892 წელს გამოიცა იმპერატორ ალექსანდრე III ბრძანება იმის შესახებ, რომ მის საკუთრებად ცხადდებოდა დაბა აბასთუმანში ა. რემერტისაგან შესყიდული აგარაკი და მიწის ნაკვეთი. იმავე წელს დედოფალი მარიამი უფლისწულ გიორგისთან ერთად აბასთუმანში ჩადის. გიორგიმ იქ მთელი ზამთარი გაატარა და თვითონაც შეიძინა მიწის ნაკვეთი თავისი ოჯახის წევრებისათვის. ამის შემდეგ რომანოვთა ოჯახი უკვე აქტიურ პოპულარიზაციას უწევს აბასთუმანის ღირსებებს და ხელს უწყობს იქ დასახლების მსურველებს. აბასთუმანში ახალი მშენებლობები დაიწყო. იმპერიის სამეფო კარის დაინტერესება აბასთუმანით სათავეს უდებს ამ ადგილის განახლებასა და კეთილმოწყობას. ამჟინა საზოგადოებრივი შენობები და კერძო აგარაკები, ეკლესია, მეფისწულის ზაფხულისა და ზამთრის სასახლეები, აგრეთვე მისი დის, პრინცესა ქსენიას სასახლე. ქსენია გათხოვილი იყო ნიკოლოზ პირველის შვილიშვილზე, ალექსანდრე მიხეილის ძეზე, რომელიც მეფისწულის დარად საზღვაო ოფიცერი იყო და საზაფხულო სასახლის ბრწყინვალედ გაფორმებულ ინტერიერში ერთი ოთახი მათ გემის კაპიტნის კაბინეტით შექმნათ მოწყობილი.

აბასთუმანს დიდ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე ნუმიზმატიკისა და ხელოვნების მორტივალე, ძალზე განსხვავებული პიროვნება, ალექსანდრეს ძმა, გიორგი, რომელიც ალექსანდრე III გარდაცვალების შემდეგ მისი სახელობის მუზეუმის (ახლანდელი "რუსეთის მუზეუმი") ხელმძღვანელი გახდა. ეს დიდებული თავადები ბევრს მოგზაურობდნენ აბასთუმანის მიმდებარე რაიონებში და აღფრთოვანებულნი იყვნენ ძველი ქართული არქიტექტურით. მათი ინიციატივით შეკეთდა ზარზმის მონასტერი და რესტავრაცია ჩაუტარდა იქ არსებულ კედლის მხატვრობას. ზარზმის ეკლესიით მოხიბლულებმა, 1896 წელს გადაწყვიტეს მისი მსგავსი ტაძრის აგება აბასთუმანის ცენტრში. პროექტი შეადგინა არქიტექტორმა ოტო იაკობ სიმონსონმა, რომელიც ორმოც წელზე მეტ ხანს უაღრესად ნაყოფიერად მოღვაწეობდა საქართველოში. ეკლესია, რომელსაც ხალხი ხშირად "ახალ ზარზმას" უწოდებს, სამეფო ოჯახის მფარველია. ალექსანდრე ნეველის ხსოვნას მიუძღვნეს და მის მოსახატავად გრაფი ტოლსტოის დახმარებით ცნობილი მხატვარი მ. ნესტროვი მოიწვიეს, რომელმაც მართლაც რომ შესანიშნავი და საოცრად მაღალმხატვრული კედლის მხატვრობა შექმნა.

სამეფო ოჯახთან ახლო კავშირში იყო აგრეთვე სახელგანთქმული ასტრონომი და მათემატიკოსი, პროფესორი სერგეი ფონ გლაზუნაძე. მან დააარსა რუსული ასტრონომიული საზოგადოება. მისი ინიციატივით აბასთუმანში, ყანობილის მთის თავზე აიგო კომპი ობსერვატორიისათვის, რომლის სახელით გახსნა მოხდა 1892 წელს. ზემის სამეფო ოჯახის წევრები ესწრებოდნენ. კომპი გიორგის სახელი უწოდეს. 1899 წლის 28 ივნისს, საღესტნო მოულოდნელად, მეფისწული გიორგი ველოსიპედით მგზავრობისას დაეცა და გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების ადგილას იტალიური, კარარის მარმარილოს ლამაზი სამლოცველო ააგეს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ გარდა ა. რემერტისა, აბასთუმანის, როგორც კლიმატური კურორტის განვითარება უშუალოდ არის დაკავშირებული ცნობილი ქართველი მეცნიერის, მედიცინის დოქტორის ილია გოპაძის (1853-1932) სახელთან. მას განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული. მეციაში დაოსტატდა, 1881 წლიდან აბასთუმანში იწყებს მუშაობას ჯერ სამხედრო ჰოსპიტლის ორდინატორად, საბოლოოდ კი უკვე კურორტის დირექტორია. მას ეკუთვნის სანატორიუმ "არაზინდის" შესანიშნავი შენობის აგების ინიციატივა.

სამწუხაროდ, პირველი მსოფლიო ომის დროს აბასთუმანი დროებით კვლავ თურქებმა დაიკავეს, გაძარცვეს და ააოხრეს. მომდევნო უკვე საბჭოთა პერიოდი, აგრეთვე ახალ ეპოქას ქმნის აბასთუმანის ცხოვრებაში. შენდება ახალი საცხოვრებელი, სამედიცინო და საკურორტო შენობები, ობსერვატორია, საბაგრო, კინოთეატრი, ბიბლიოთეკა, სკოლა, მაგაზალი, სავაჭრო ობიექტები და სხვ. აბასთუმანში გავლით, თუ დასასვენებლად, ისევე როგორც XIX საუკუნეში, ხშირად არიან ცნობილი უცხოელი სტუმრები თუ ჩვენი სახელოვანი თანამემამულეები. სწორედ აბასთუმანში შექმნა ფლიპეილია ოპერა "დაიხი". თავისი ხანგრძლივი ისტორიული წარსულის გამო, აბასთუმანი და მისი მიმდებარე ტერიტორია



ასურეთი. საცხოვრებელი სახლი



აბასთუმანი. სანატორიუმი



ბათუმი. B აპრილის №12

მოფენილია სხვადასხვა ეპოქისა და ტიპის მრავალფეროვანი ძეგლებით. სამწუხაროდ, როგორც აღვნიშნეთ, აბასთუმანი, იგივე ოძრზე, არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი. ძველთა დაცვის მთავარ სამმართველოში დაცულია მხოლოდ ოთხი ძეგლის მიერ გაკეთებული აქაურ ძეგლთა დაუზუსტებელი ჩამონათვალი და რამდენიმე პასპორტი. ამ ზოგადი ინფორმაციით ცნობილი ხდება, რომ აბასთუმანის მიდამოებში განთავსებულია ოთხი ციხე, შვიდი ეკლესია და XII-XIII საუკუნეების ხიდი მდინარე ოცხეზე.

დასანანი, რომ განსხვავებით რუსეთის იმპერიისა თუ საბჭოთა სისტემისაგან, რომლებმაც ხელი შეუწყვეს აბასთუმანის განახლებასა და აღორძინებას, დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა დღეებში და კრიზისულმა ათმა წელიწადმა მას ჯერჯერობით მხოლოდ ცუდი კვალი დააჩნია. უნდა ითქვას, რომ აბასთუმანს დღეს სრული განადგურების საფრთხე ემუქრება. ხელაღებით ინგრევა და ზიანდება ისტორიული შენობები, არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები, იწებება ასსლოვანი ხეები, ხდება უკანონო პრივატიზაცია. კომერციული ინტერესები აქ ყოველწლიურად მატულობს, ამიტომ ტესტამისად იზრდება აბასთუმანის უსისტემოდ და სტიქიურად განვითარების საფრთხეც. ყველასათვის ცხადია, რომ წინასწარ შემუშავებული გეგმის გარეშე ასეთ ვიწრო და მოკლე ხეობაში მასიური მშენებლობა დაუშვებელია, მაგრამ დღემდე არ არსებობს აბასთუმანის გენერალური გეგმა, დეტალური დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტი.

დღეს აბასთუმანის ისტორიის უამრავი საინტერესო შრე მივსწვებულა და დასაღუპადაა განწირული ისე, რომ არც ვიაზრებთ ამ დანაკარგის მნიშვნელობას. ასეთია, თუნდაც რუსეთის იმპერიის სამეფო ოჯახის ნაკვალევი, დაკავშირებული მეფისწული გიორგის ტრაგიკულ ბედთან, მათი აშენებული საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების ნაგებობები, ეკლესია, პარკები, აბანოები. მართალია, დღეს საქართველო ფორმალურად უკვე პოლიტიკურად დამოუკიდებელია რუსეთისაგან, მაგრამ სანამ ჩამოშორებული აფხაზეთი და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები ჩვენს რეალობაში არსებობს, ცხადია, ვერ ავიცილებთ რუსეთის მიმართ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ არასასიამოვნო განცდას, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვრცელდებოდეს ისტორიული მემკვიდრეობის მიმართ.

თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე რუსეთის იმპერიამ, და კონკრეტულად რომანოვების ოჯახმა აბასთუმანისთვის, მისი სამკურნალო და სამეცნიერო პოტენციალის განვითარებისათვის, ზოგადად ამ ადგილის კეთილმოწყობისათვის უზარმაზარი ძეგლი გაიღეს. საბჭოთა იმპერიამაც, თავისთავად, წინამორბედთა დანახარჯი კიდევ უფრო განავითარა და აღმაშენების უზაზე დააყენა. გასათვალისწინებელია, რომ ორივე იმპერია აბასთუმანს ეკონომიკური, სამეცნიერო და სამედიცინო თვალსაზრისით სავსებით სამართლიანად თვლიდა სახელმწიფოსათვის უდიდეს და უმნიშვნელოვანეს, მართლაც რომ სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილად. ცხადია, და კამათს არ საჭიროებს ის, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყოველი ეტაპი უპირველესად თავად ჩვენთვის არის ღირებული და ძვირფასი. გასაფრთხილებელია ამის ამსახველი ყოველგვარი მასალა. დღეს აბასთუმანს ისეთივე ყურადღება სჭირდება, როგორც ეს ბორჯომსა და ლიკანს აქვს. ეს შესანიშნავი ადგილები, გავრასთან ერთად, უმიზეზოდ არ ქცეულა იმპერიის სამეფო ოჯახის საკუთრებად. შეუფასებელია მათი ბუნებრივი სიმდიდრე და შეუცვლელია იმ მიმართებით, რომ ყველაფერი ამას ახლა იქ არსებული შესანიშნავი ისტორიული შენობა-ნაგებობებიც ემატება, რასაც მოკლად და შენარჩუნება სჭირდება.

აბასთუმანში ისედაც უკვე ბევრი რამ დაიკარგა. ამჟამად აღარ არსებობს: მეფისწული გიორგის დალუპვის ადგილას აღმართული სამლოცველო, პრინცესა ქსენიას სასახლე, ხის კათოლიკური ეკლესია, აბანოების თავდაპირველი ინტერიერი, XIX საუკუნეში აშენებული აგარაკებისა თუ საცხოვრებელი სახლების, აგრეთვე სხვადასხვა ფუნქციის შენობების დიდი ნაწილი და სხვ. რესტავრაციის საჭიროებს ნესტროვის მიერ შესრულებული კედლის შესანიშნავი მხატვრობა წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში. აქაური მშენებლის ნესტროვისათვის გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აბასთუმანის მთელი ტერიტორია, გარდა ლანდშაფტური და ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულებისა, აგრეთვე უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ ზონას წარმოადგენს. ამას ადასტურებს აქ სასიხვი გათხრებით მოპოვებული თუ დაზვერვითა და შურფებით გამოვლენილი მრავალფეროვანი მასალა. ოციდან წლის წინ, დასახლების ცენტრში, ყოფილი ინტერპოლი ჩატარებულმა პრაკის ტერიტორიაზე ჩატარებულმა სამუშაოებმა გამოავლინა ადრებრინჯაოს ხანისა და ძველი ნეოლითი (ცხვის IV-VI საუკუნეების კულტურული ფენები. გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, ვფიქრობთ, აბასთუმანის მნიშვნელოვანი შენობებისათვის არქიტექტურული ძეგლის სტატუსის მინიჭება სავსებით დროული და დამსახურებულია.

მომდევნო შენობების ჯგუფს წარმოადგენს გერმანული ხალხური არქიტექტურის ნიმუშები სოფელ ასურეთში, ყოფილ გერმანულ კოლონიაში - ელიზაბეტტალი. საქართველოში ქართველებთან ერთად მუდამ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. ამ ერთა კულტურული მემკვიდრეობა მრავალფეროვანი და ძალზე საინტერესოა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არქიტექტურა როგორც ერთი, ისე მისი კულტურისა და ტრადიციების საუკეთესო წარმომავალი, ამ მიმართებით საქართველოში მცხოვრებმა რამდენიმე ეროვნულმა უმცირესობამ მართლაც რომ საინტერესო ნიმუშები შემოგვინახა. ნიშანდობლივია, რომ თუ უძველესი დროიდან აქ მცხოვრებმა ებრაელებმა, სომხებმა, აზერბაიჯანელებმა და ბერძენებმა მხოლოდ საკულტო არქიტექტურის ნიმუშები შექმნეს, შედარებით გვიან ჩამოსახლებულმა გერმანელებმა საკულტოს გარდა დაგვიტოვეს საუკეთესო ქალაქური არქიტექტურისა და სოფლის საცხოვრებლების ნიმუშები. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სწორედ ეს უკანასკნელია, იმიტომ, რომ მათზე ამკარად არის გამოკვეთილი ქართული არქიტექტურის ძლიერი გავლენა. ჩვენს ისტორიაში პირველია ჩვენი ხალხური არქიტექტურა აქტიურად შემოქმედდეს და ახალ გამოშასხველობას ანიჭებს სამშენებლო ხელოვნებასა და ტრადიციებით განთქმულ დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი მოწინავე ქვეყნის ხალხური არქიტექტურის ნიმუშებს. გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი არაფერი შეინიშნება გერმანელებით დასახლებულ პოლონეთში, რუმინეთში, რუსეთსა თუ შუა აზიაში.

გერმანულთა პირველი 31 ოჯახი 1817 წელს ჩამოვიდა საქართველოში. უკვე 1819 წელს საქართველოში გერმანულთა 6 კოლონია შექმნილი, მარიონეტული - სართიჭალაში, თბილისში - კუკიაზე, ალექსანდრეს დროი - დიდუბეში, პეტროსდროი - სართიჭალასთან ახლოს, ელიზაბეტტალი - ასურეთში, ევატერინენევილი - ბოლნისთან. 1884 წელს სოხუმთან ახლოს შეიქმნა ნაიდროფი და განადგურებულა. XX საუკუნის დასაწყისში ძველი კოლონიების ბაზაზე წარმოიშვა ახალი დასახლებები: გეორგევილი, ალექსეევკა, აგეფევილი, გრიუნფელი, ტრაუნენევილი, ვალდჰეიმი, როზენფელი. სამწუხაროდ, შედარებით თავდაპირველი იერით დღეს მხოლოდ ელიზაბეტტალი - ახლანდელი ასურეთი შემოქმედდა.

საქართველოში გერმანულთა ცხოვრება და მოღვაწეობა ყოველთვის იყო ქართველი საზოგადოების ყურადღების საგანი. ილუსტრირებული ნაშრომი ქართულ ენაზე ჯერ კიდევ 1911 წელს გამოიცა თბილისში. ამჟამად გერმანულ კოლონიტთა ხალხური საცხოვრებლები განადგურების საფრთხის ქვეშაა. მათი დაცვა და შენარჩუნება აქტუალური და მნიშვნელოვანია იმ მიმართებით, რომ ეს ერთი მხრივ, როგორც გერმანული, აგრეთვე ქართული კულტურის განმდიდრებას უწყობს ხელს, და მეორე მხრივ - სრული და უშუალო გაქრობისაგან დაცვას ამ შესანიშნავ შენობებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ გერმანულთა დასახლებების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არის დაცლილი გერმანული მაცხოვრებლებისგან; დღემდე შემორჩენილ ნაგებობებზე კი არ ხორციელდება დაცვითი ღონისძიებები არც სახელმწიფოსა და არც ახალი მემკვიდრეებისათვის. ამიტომ არქიტექტურული ძეგლის სტატუსის მინიჭება ასურეთის რამდენიმე მნიშვნელოვანი შენობისათვის მართლაც რომ დროული და აუცილებელია. ეს შენობებია: მარანი; აბანო; ეკლესია; გერმანული ძველი სასაფლაო; საცხოვრებელი სახლები შემდეგი მისამართებზე: სტალინის 9, 15, 60, 73.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ძველთა დაცვის დეპარტამენტის მთავარმა სამეცნიერო მეთოდურმა საბჭომ განიხილა ჩვენი წინადადება ჩამოთვლილი ნაგებობებისათვის არქიტექტურული ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე (ოქმი №28, 01.10.2001) და შეიმუშავა სათანადო ბრძანება (№3/13, 30.10.2001). ზრდასთან მიხედვით, ამ საკითხის ამომწურავად შესასწავლად და დასამუშავებლად უნდა შექმნილიყო კომისია, რომელსაც 2001 წლის ნოემბრამდე უნდა განვიხილა აღნიშნული საკითხი და წარმოვდგინა დასკვნა, რასაც საბჭო, კანონის მიხედვით შემდგომ საქართველოს კულტურის მინისტრს გადაუგზავნიდა დასამტკიცებლად. ბრძანების მიხედვით კომისია დაკომპლექტდა 5 სპეციალისტით: მ. მანია (თავმჯდომარე), ა. სოლომონიშვილი, მ. სურამიაშვილი, ნ. ცინცაძე და კ. გიორგობიანი. კომისიამ განიხილა წარდგენილი შენობები, იმსჯელა და დაადგინა, რომ ყველა მათგანს მინიჭებოდა არქიტექტურული ძეგლის სტატუსი. გათვალისწინებულ ვადამი შედგა ამის ამსახველი დასკვნა და წარდგინა საბჭო (ოქმი №34. 12.11.2001). ამ დასკვნას თან დაერთო აგრეთვე ფოტომიმდებარე რამდენიმე ნაგებობის ჩამონათვალი, რომლებიც, როგორც არქიტექტურული ძეგლის ნიშნის მქონე ნაგებობები, უფრო ადრე, ჯერ კიდევ 2000 წელს დამტკიცდა სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოზე (ოქმი №19. 18.09.2000).

იმედს ვიტოვებთ, რომ ძველთა დაცვის დეპარტამენტი უახლოეს ხანში უზრუნველყოფს აღნიშნული შენობების არქიტექტურული ძეგლების რეესტრში შეტანას.

ისტორია

ანჩისხატის ტაძარზე 100 წლის წინათ

1902 წლის 3 აგვისტოს ვაზეთი "ივერია" წერდა: "იბუჭდება და 15 მარამობისთვის გამოვა გასასყიდლად ახალი ქართული წიგნი "ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში" ისტორიული მიმოხილვა მლ. პ. კარბელაშვილისა". დღეს ჩვენს წინ არის ეს წიგნი. მისი ავტორი არის დეკანოზ ანდრია კარბელაშვილის უმცროსი ძმა, პოლიევქტოს გრიგოლის ძე კარბელაშვილი (1855-1936).

ბიოგრაფიული ბახელოად

100 წლის წინათ გამოცემულ წიგნში პ. კარბელაშვილი განსაკუთრებით აღნიშნავდა, რომ წარსულში ანჩისხატის ტაძარს თბილისში "ზარის საყდარი" ერქვა. ამ საყდარს "დაერქვა ანჩისხატისა, რაკი კათალიკოზ-პატრიარქმა დომენტიმ აქ დაასვენა ქრისტიანობის უდიდესი სიმბოლო და სათაყვანებელი პირი ღვთის ხატი, ს. ანჩიდან მოსვენებული," - წერს იგი.

თუ ეს ასე იყო და დღეს ანჩის ხატი აღარ ასვენია ანჩისხატის ტაძარში, იქნებ ამ ტაძარს ისევ "ზარის საყდარი" ეწოდოს ზოგიერთთა მონდომებით.

ეს დაუშვებელია და სამართლიანობა უნდა აღდგეს - ანჩის ხატი ანჩისხატის ტაძარში უნდა ესვენოს "სოფელი ანჩა მდებარეობს შავშეთსა და ლიგანის ხევს შუა ჭოროხის მარჯვენა ნაპირზედ, ქ. ტრაპიზონის მახლობლად. იქ ქრისტიანობის პირველ დროშივე მოციქულმა პეტრემ და მისმა ძმამ ანდრია პირველწოდებულმა დააარსეს მრავალი ეკლესია. ანჩაში საეპისკოპოსო ტაძარი უძველესია მთელ საქართველოში. საეპისკოპოსო საყდრის დანგმვა ანჩაში ქართველ მეფეთა მიერ არადა არ არის მოხსენებული. აი ამ ანჩას ტაძარში სვენა თითქმის ცხრაასი წლის განმავლობაში პირი-ღვთის ხატი. ანჩის ეპისკოპოსნი ყოველთვის მცხეთის კათალიკოზის ხელ-ქვეითნი იყვნენ; ანჩელის სამწყობო მდებარეობდა ოიზასა და ხანციხის მონასტერთა შორის, ნიგალის ხევის ქვეით გონიადმე," - აღწერს პ. კარბელაშვილი და ახასიათებს ანჩის ეპისკოპოსებს, რომლებიც ცნობილი იყვნენ საქართველოს ისტორიაში. მათ შორის ყოფილა იოანე I რკნველი, რომელმაც "წმინდა თამარ დედოფლის ბრძანებით შეამკო პირი ღვთის ხატი" - განაგრძობს ავტორი.

პოლიევქტოს კარბელაშვილის წიგნში ანჩიდან მოსვენებული პირი ღვთის ხატი, ბუნებრივია, განხილულია, როგორც მთელი ქრისტიანობის უდიდესი სიმბოლო. თუმცა, განსაკუთრებულ ყურადღებას ავტორი უთმობს ამ ხატის თავგადასავალს. პ. კარბელაშვილი აღნიშნავს, რომ ანჩის ხატი არის ედისიიდან კონსტანტინოპოლში გადასვენებული და იქიდან საიდუმლოდ მოსვენებული. სოფელი ანჩიდან პირი ღვთის ხატი ჯერ ახალციხეში გადასვენეს, შემდეგ კათალიკოზ-პატრიარქის მცდელობით, 1660 წელს ანჩისხატი გორშია, ხოლო იქიდან ჯერ სოფელ ქვემო ქალაში ოთხამ ამოღებულა დასასვენებად მაგრე "აქეთაჲ დომენტიმ დიდის ლტინათი ჩამოასვენებინა მუხრანზედ მცხეთაში და აქედან ტფილისში. აქ დომენტიმ მშვენიერს კუმბოში დასვენა იმ ადგილას, სადაც დღეს ასვენია; მას აქეთ საკათალიკოზო ყოვლად წმინდის ტაძარს დაერქვა ანჩისხატი". ეს იყო უკვე 1664 წელი.

პ. კარბელაშვილი წერდა: "კათალიკოზ-პატრიარქი დომენტი ფრინავ განათლებული პირი იყო, ძმა

განათლებულის მეფის ვახტანგ მეექვსისა და მის ხელთ იყო ჯერ დიდი საპატრიარქო ნიგნისხატის სევეტიცხოველის ტაძრისა და შერე მდიდარი სამეფო წიგნი-საცავი. დომენტის მოვლილი ჰქონდა იერუსალიმი, საბერძნეთი, რუსეთი და სხ. ქვეყნები. დღეს ჩვენს საეკლესიო მუზეუმში დაცულია რამდენიმე ხელნაწერი, რომლებშიც მოთავსებულია მოთხრობანი და საგალობელი ხელთუქმელის (ანჩის) ხატისა".

1903 წლიდან პოლიევქტოს კარბელაშვილი ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარი იყო. ამავე წელს მან, ზაქარია ფალიაშვილთან და ალექსანდრე ხახანაშვილთან ერთად, იმოგზაურა სვანეთში და დაწერა ნაშრომი "სვანეთში ორი კვირით", რომელიც გაზეთ "ივერიაში" 15 წერილად გამოქვეყნდა. როდესაც ეს წერილები იტალიაში მიხილ თამარაშვილს ნაუკითხავს, პეტრე მირიანაშვილისათვის მიუწერია, რომ ავტორს "დიდი პატივისცემით მოვიკითხავ და მასთანვე ვთხოვ გამომიგზავნოს ერთი ვეხმეპლიარი თავისი გამოცემული ქართველი კათალიკოზების სია".

პოლიევქტოს კარბელაშვილსა და ზაქარია ფალიაშვილს სვანეთში ჩაუწერიათ სვანური სიმღერები ამერიკელი თ.ა. ედისონის მიერ გამოგონებული ფონოგრაფით.

თუმცა, დაუბრუნდეთ წიგნს. "ანჩისხატის ტაძარი სიგრიტით არის ოც-და-ათი არშინი და სიგანით ოც-და-ერთი და როგორც ვთქვით, აშენებულია მთლად კლდის ქვისაგან; ამ გვარის გეგმით აშენებული საყდრები დღესაც ბევრია საქართველოში; ურბნისისა, ზედაზნისა, შიო-შვიდისა, გომბორისა, სამები-სა, ვაქიისა, კახთუნისა, ზეგანისა და სხვა. გარეგანი შეხედვით შეხედულმა ტაძრისა მაგდენად მოსაწონი არ არის; მაგრამ დასავლეთის კარებიდან შედინარ და განცვიფრებას ეძლეოთ შინაგანი მშვენიერებისაგან; შუალა მაღალი მოხდენილი თალი აქეთ-იქით დაბალი თაღებით ჩვენს გონებას იზიდავს, სარწმუნოებრივ გრძნობას აღვივებს გულში და ნეტარებით გახსენებებით კურთხეულ მამა-პაპათა ტანჯვით განარებულ სიცოცხლეს! ამოღება ტაძარი ოთხს მრგვალ სვეტზედ არის დამყარებული. შუალა მაღალი თალი ირგვლივ მოხატული აქვს ძველი აღთქმის ისტორიული სურათებით, დაბალი კედლები კი, ირგვლივ იესო ქრისტეს ქვეყნად ცხოვრებიდან; საქართველების თაღში დახატულია სულის წმინდის მოყვანა მოციქულებზე; ხოლო დასავლეთის კედლებზე - მაღლა ადამიანის სამოთხიდან განდევნა და დაბლა კარების თავზედ მეორედ მოსვლა ქრისტესი - სასუფეველი და ჯოჯოხეთი. მხატვრობა ძველია, მაგრამ განახლებულია მეჩვიდმეტე საუკუნეში, მერე 1814 წ. უკანასკნელად ამ რამდენიმე წლის წინად" - ვკითხულობთ ნაშრომში.

ავტორი განაგრძობს: "ტაძრის იატაკი 1846 წლიდან კლდის ქვისა იყო დღემდე. ამ ერთი წლის განმავ-



ქართული ენის დიდი მოამბე, ადმინისტრაციული საქართველოს ძველი საეკლესიო კოლონიის შემომნახველი მარკანდია დეკანოზი პოლიევქტოს დეკანოზი ვასილ (მეფეგომი ეპისკოპოსი სტეფანე). მღვდელი პეტრე და დეკანოზი ანდრია.

ლობაში დაგებული იქნა მშვენიერი უცხოური ფერადი აგურისა და მარმარილოს ფერადი კენჭისა (მოზაიკა), კენიან ანასტასია დავითის ასულის გავარისისა და კენიან გულში და ნეტარებით გახსენებებით კურთხეულ მამა-პაპათა ტანჯვით განარებულ სიცოცხლეს! ამოღება ტაძარი ოთხს მრგვალ სვეტზედ არის დამყარებული. შუალა მაღალი თალი ირგვლივ მოხატული აქვს ძველი აღთქმის ისტორიული სურათებით, დაბალი კედლები კი, ირგვლივ იესო ქრისტეს ქვეყნად ცხოვრებიდან; საქართველების თაღში დახატულია სულის წმინდის მოყვანა მოციქულებზე; ხოლო დასავლეთის კედლებზე - მაღლა ადამიანის სამოთხიდან განდევნა და დაბლა კარების თავზედ მეორედ მოსვლა ქრისტესი - სასუფეველი და ჯოჯოხეთი. მხატვრობა ძველია, მაგრამ განახლებულია მეჩვიდმეტე საუკუნეში, მერე 1814 წ. უკანასკნელად ამ რამდენიმე წლის წინად" - ვკითხულობთ ნაშრომში.

ავტორი განაგრძობს: "ტაძრის იატაკი 1846 წლიდან კლდის ქვისა იყო დღემდე. ამ ერთი წლის განმავ-

ლობაში დაგებული იქნა მშვენიერი უცხოური ფერადი აგურისა და მარმარილოს ფერადი კენჭისა (მოზაიკა), კენიან ანასტასია დავითის ასულის გავარისისა და კენიან გულში და ნეტარებით გახსენებებით კურთხეულ მამა-პაპათა ტანჯვით განარებულ სიცოცხლეს! ამოღება ტაძარი ოთხს მრგვალ სვეტზედ არის დამყარებული. შუალა მაღალი თალი ირგვლივ მოხატული აქვს ძველი აღთქმის ისტორიული სურათებით, დაბალი კედლები კი, ირგვლივ იესო ქრისტეს ქვეყნად ცხოვრებიდან; საქართველების თაღში დახატულია სულის წმინდის მოყვანა მოციქულებზე; ხოლო დასავლეთის კედლებზე - მაღლა ადამიანის სამოთხიდან განდევნა და დაბლა კარების თავზედ მეორედ მოსვლა ქრისტესი - სასუფეველი და ჯოჯოხეთი. მხატვრობა ძველია, მაგრამ განახლებულია მეჩვიდმეტე საუკუნეში, მერე 1814 წ. უკანასკნელად ამ რამდენიმე წლის წინად" - ვკითხულობთ ნაშრომში.

ავტორი განაგრძობს: "ტაძრის იატაკი 1846 წლიდან კლდის ქვისა იყო დღემდე. ამ ერთი წლის განმავ-

ლობაში დაგებული იქნა მშვენიერი უცხოური ფერადი აგურისა და მარმარილოს ფერადი კენჭისა (მოზაიკა), კენიან ანასტასია დავითის ასულის გავარისისა და კენიან გულში და ნეტარებით გახსენებებით კურთხეულ მამა-პაპათა ტანჯვით განარებულ სიცოცხლეს! ამოღება ტაძარი ოთხს მრგვალ სვეტზედ არის დამყარებული. შუალა მაღალი თალი ირგვლივ მოხატული აქვს ძველი აღთქმის ისტორიული სურათებით, დაბალი კედლები კი, ირგვლივ იესო ქრისტეს ქვეყნად ცხოვრებიდან; საქართველების თაღში დახატულია სულის წმინდის მოყვანა მოციქულებზე; ხოლო დასავლეთის კედლებზე - მაღლა ადამიანის სამოთხიდან განდევნა და დაბლა კარების თავზედ მეორედ მოსვლა ქრისტესი - სასუფეველი და ჯოჯოხეთი. მხატვრობა ძველია, მაგრამ განახლებულია მეჩვიდმეტე საუკუნეში, მერე 1814 წ. უკანასკნელად ამ რამდენიმე წლის წინად" - ვკითხულობთ ნაშრომში.

ავტორი განაგრძობს: "ტაძრის იატაკი 1846 წლიდან კლდის ქვისა იყო დღემდე. ამ ერთი წლის განმავ-

ლობაში დაგებული იქნა მშვენიერი უცხოური ფერადი აგურისა და მარმარილოს ფერადი კენჭისა (მოზაიკა), კენიან ანასტასია დავითის ასულის გავარისისა და კენიან გულში და ნეტარებით გახსენებებით კურთხეულ მამა-პაპათა ტანჯვით განარებულ სიცოცხლეს! ამოღება ტაძარი ოთხს მრგვალ სვეტზედ არის დამყარებული. შუალა მაღალი თალი ირგვლივ მოხატული აქვს ძველი აღთქმის ისტორიული სურათებით, დაბალი კედლები კი, ირგვლივ იესო ქრისტეს ქვეყნად ცხოვრებიდან; საქართველების თაღში დახატულია სულის წმინდის მოყვანა მოციქულებზე; ხოლო დასავლეთის კედლებზე - მაღლა ადამიანის სამოთხიდან განდევნა და დაბლა კარების თავზედ მეორედ მოსვლა ქრისტესი - სასუფეველი და ჯოჯოხეთი. მხატვრობა ძველია, მაგრამ განახლებულია მეჩვიდმეტე საუკუნეში, მერე 1814 წ. უკანასკნელად ამ რამდენიმე წლის წინად" - ვკითხულობთ ნაშრომში.

პარსოვლები რომანისათვის

ეს ფოტოსურათი ამჟამად ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე ბატონი დავით ჯავახიშვილის სახლის მისაღები ოთახის კედლს ამოყენებს. მასზე მამა-შვილია გამოსახული, ივანე ჯავახიშვილის სიმამრი და ცოლისძმა, ნიკოლოზ (კოლა) და ალექსანდრე (საშა), უკანასკნელი ორბელიანები.

ნიკოლოზ ორბელიანი რევოლუციამდე გარდაიცვალა. ნადირობისა და ქეიფის მოყვარულმა თავადმა თავისი ქონების განიავება მოასწრო - ბოლშევიკები აუცილებლად წაართმევენ, და შერიგო მაინც... თავადს 80 წლის ასაკში, ცხენზე მჯდომს გაუსკდა გული.

კოლა ორბელიანი ნიკო ბურს ჰყავს ნახსენები - ნიკოლოზმა მომატყუა, დამპირდა, ომში წამოყვები და არ წამოყვავო. არადა, როგორც ბატონმა დავით ჯავახიშვილმა გვიამბო, მისი დიდბაბუა ამას წამდვილად აპირებდა:

იმხანად კოლა ორბელიანის ვაჟი, ალექსანდრე, სანქტ-პეტერბურგში სწავლობდა, ქიმიკოსი იყო. მამამ წერილი მიხწერა - ნიკო აფრიკაში ბურებთან სამოხად მეპატიჟება და შენც წამოდი, ლომებზე ვინადიროთო. თავადმა ალექსანდრემ სწავლას თავი დაანება და სამშობლოში ჩამოვიდა, მაგრამ მამა-შვილმა აფრიკაში წასვლა რატომღაც ვერ შეძლო.

თავად ალექსანდრეს, ისევე, როგორც მამამისს, ნადირობა ჰყვარებოდა (როგორც ბ-ნმა დათომ თქვა, მათ გვარში მხოლოდ სამი მონადირე ყოფილა - მამა-შვილი ორბელიანები და თავად ბ-ნი დათო). ნადირობის ემხით ალექსანდრე დიდ რუს თავადს - მისი სახელი, სამწუხაროდ, აღარაგის ახსოვს - სამარის გუბერ-

ნიაში მოურავად დადგომია: თავადის სამფლობელოები ხუთი საქართველოს ხელა მაინც იქნებოდა, საშა ორბელიანი ნადირობდა და ჩინებულად გრძნობდა თავს.

სანამ რევოლუციამ არ მოუხსნო. მამამ მისი მეუღლე, მასზე ბევრად უფროსი ფრანგი ქალბატონი, ვირჟინი, საქართველოში ჩამოვიდა ფრიად უცნაური ამალის - დაახლოებით 30 სხვადასხვა ჯიშის მონადირე ძაღლის თანხლებით: "ძაღლები ადამიანებზე იყო უფრო ადამიანური, თავად ბრწყინვალე თავად ორბელიანს კი, რომელსაც სამარაში აუცილებლად დახვრეტდნენ, მან-ჯურიაში მოუწია გაქცევა. იქ, გადმოცემის თანახმად, ცირკში სიმძიმეებს სწევდა და ამით ორწინდა თავს.

ვირჟინი გარდაიცვალა, საქართველოში დაბრუნებულ საშა ორბელიანს რუსი ცოლი ჩამოჰყვა - თამარა პავლოვნა კრუგლოპოლევა. ისინი ამჟამად ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე ორბელიანების სახლში დასახლდნენ. ალექსანდრე ძაღლებს წერთინდა, თავადაც უამრავი ძაღლი ჰყავდა, მათ შორის "რევი" და "ლუცია" - სიხარულით უძახდა ხოლმე. ბ-ნ დათო მოყვა, რომ ნადირობიდან ჩამოსული, იმხანად უკვე საშა პაპა მკვდარ ხოხობს ბაღში, მაღალ ფიჭვე ატანინებდა, და დაგემილი ძაღლები ფრინველს ხეზეც პოულობდნენ ხოლმე.

ალექსანდრე ორბელიანი 1951 წელს გარდაიცვალა. შვილი არ ჰყოლია, მაგრამ ერთხელ ჯავახიშვილებს უცნობი რუსი ქალი ენვიათ, რომელმაც თავი ალექსანდრე ორბელიანის ქალიშვილად წარუდგინა. არაფერი მოუთხოვია - უბრალოდ, მამაჩემის სახლის ნახვა მიწოდოდა...



დათვებზე მონადირე ნიკოლოზ და ალექსანდრე ორბელიანები. სავარაუდოდ, სამარის გუბერნიაში.

"სახელოვანი ანტონ დიდი კათალიკოზი აღიზარდა ანჩისხატის დეკანოზების (დავით, ალექსი, გრიგოლ) ხელში. ამისთანა შესანიშნავი განათლებული ეკლესიის მსახურნი იზიდავდნენ ანჩისხატის ტაძარში არა თუ მარტო ქართველობას, არამედ სომხობას და თათრებსაც კი. თვით ეზო ტაძრისა მუდამ სიცოცხლით სავსე იყო: თავდაზნაურობა და სამღვდლოვან თავის შვილებს ჩვეულებრივ აქ აბარებდნენ სასწავლებლად. ანტონ კათალიკოზი 1744 წლიდანვე შეუდგა ყრმათა აღსაზრდელ სკოლების გაუმჯობესებას, შეადგინა სახელმძღვანელო წიგნები კატეხიზმოსი, გრამატიკისა, გეოგრაფიისა, ანგარიშისა, ლოგიკისა, ფილოსოფიისა და სხვ. ერთ მეკანანახეს (მაღლა ხმით შიკთხველი) ოცი და ოცდა ათი გადამწერი ეხსდა და სწერდნენ სახელმძღვანელო წიგნებისა: საუკეთესო წიგნთა ვადამწერი იყვნენ იმ დროს დეკანოზები სიონისა - ნიკოლოზ მალაღაძე, იოანე ოსესძე; ანჩისხატისა - ალექსი, ამის შვილი გიორგი, ჯვარამ მამისა იოანე გარსევანიშვილი, ისაკ გაბაშვილი, მიხეილ ბერი და სხვ. რამდენიმე თვის შემდეგ უკვე დამზადებული იყო სკოლისათვის მრავალი წიგნები - გრამატიკისა, რიტორიკისა, ღვთისმეტყველებისა, კატეხიზმოსი, ანგარიშისა და სხ. ასობით და ორასობით" - წერს ავტორი.

წიგნში გამოყოფილია თავი "დეკანოზი და მღვდელი ანჩისხატის ტაძრისა".

მათ შორის არიან: მღვდელი პეტრე მესხი, რომელიც მოჰყვა თავის ცოლშვილით სამცხედამ ხელით-უქმენლს ანჩისხატსა.

გაბრიელ დეკანოზი იოანეს ძე კანდელაკი. განათლება მიიღო ანჩისხატის სემინარიაში.

დავით დეკანოზი, ძე გაბრიელ დეკანოზისა. სწავლა დაასრულა ანჩისხატის სემინარიაში.

სულ 15 პიროვნება ჩამოთვლილი.

ტაძრის გარშემო მდებარეობდნენ წარჩინებული თავად-აზნაურთა სასახლეები, ხოლო ანჩისხატის უბანში ცხოვრობდნენ ამილახურები, ციციშვილები, ხერხეულიძეები, აბაშიძეები, ჩოლოყაშვილები, მალიკაშვილები, ანდრონიკაშვილები, ბარათაშვილები.

ანჩისხატის ტაძარში დასავლად-ვერული ყოფილა 19 პიროვნება. 100 წლის წინათ გამოცემულ წიგნს "ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში" თან ერთვის "პარაკლისი ხელით-უქმენლისა ანჩის-ხატისა" შედგენილი ავტორის მიერ. მართლაც სანტივერსო ადამიანი იყო პოლიევქტოს კარბელაშვილი - კაცი, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ალექსანდრე ყაზბეგთან, ექვთიმე თაყაიშვილთან, ივანე ჯავახიშვილთან, ზაქარია ფალიაშვილთან, ალექსანდრე ხახანაშვილთან.

რასაკვირველია, ძნელია ხსენებული წიგნის მინაარსის სრული გადმოცემა წერილის სახით და ვფიქრობთ, ცოცხლის შემდეგ თავისუფალ დროს ატარებდნენ ჭაბუკების აღზრდაში და საეკლესიო წიგნების გადანერგვაში. ანჩისხატის ეზოში ძველთაგანვე ყოფილა კათალიკოზის საცხოვრებელი სახლი და სტამბა.

ქვეყნის ისტორია

ქველი უნივერსალი

რაც თავი მახსოვს, ამ შენობის დამაგვირგვინებელი შილი საშიშადაა მოქცეული, და ასეთ საეკლესიო ყოფაშია იმ ფოტოსურათზეც, რომელიც ცნობილ პლაკატს ამშვენებს: "ჩვენი ანტიკვარული ქალაქი". დღესაც ამ დღეშია, მაგრამ მაინც ძალიან ლამაზია, არა?

ანა კორძია-სამადავნილი

ალბათ დამეთანხმებით - ძალიან ლამაზი შენობაა. მთელი ბავშვობა მეგონა, რომ ადრე სასახლე იყო - თუკი დარეჯანის სასახლე მახსოვდა, ეს ალბათ მთლად ნახევრადმრთების რეზიდენცია იქნებოდა! იმხანად ჩემთვის რომ გეკითხათ, იქ ოდესღაც ბრწყინვალე გრაფი, ანდრიოლეტი ცხოვრობდა - შემოსასვლელში მისი სახელი წერია, ამიტომ მქონდა ასე გადაწყვეტილი (ჩემს შემოსასვლელს Salve ამშვენებდა, მაგრამ ის ვინ მეგონა, არ მახსოვს). მაშინ არავის უთქვამს, რომ იტალიელი, პრინციპში, არაფერ შუაშია, სხეული მოზაიკის (ეს შემზარავი სიტყვათმთხრობა არქიტექტორებისგან გავიგონე) ოსტატი ყოფილი, მარმარილოზე მუშაობდა. მისი სახელი ერთი ხანა თითქმის ყოველდღე მესმოდა, როცა ჩემი მეგობარი ყოფილ ველიკაინაჟესკაიაზე და მერე კამოზე ბინის ყიდვას აპირებდა, და ამოჩემებული ჰქონდა, მაინცდამაიცი ძველი უნივერსალის პატრონის სახლში უნდა ვიცხოვროო. არადა, არც პატრონი იყო ის კაცი, და არც არქიტექტორი, და აღარც ჩემს მეგობარს უყვია ის ბინა.

მარჯანიშვილის ქუჩაზე რომ ლამაზი შენობაა, ის თურმე ყოველთვის საეჭარო დანებებულა ყოფილა. მისი თავდაპირველი აბრა - "კავკასიის საოფიცრო ეკონომიკური საზოგადოება" - მაღალფარდოვანად კი უღერს, მაგრამ სინამდვილეში უნერმალია და მეტი არაფერი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქალაქში ასეთი შენობა არცთუ ბევრია, მის შესახებ ინფორმაციის მოპოვება საკმაოდ რთული საქმე აღმოჩნდა. ამჟამად მის რეკონსტრუქციაზე მომუშავე არქიტექტორმა, მარიკა სანაია, რაღაცეები კი მიაშო, რაღაც რთული ნახაზებიც მაჩვენა, რომლებსაც ბევრი არაფერი გამეგება. ამ შენობის საბუთები - რატომღაც - საკანტ-პეტერბურგში ყოფილა დაცული. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში მისულს ქალბატონმა მაკა შავიშვილმა, რომელიც ამჟამად საგანგებოდ ამ შენობითაა დაკავებული, შემომჩილა, რომ ჩვენს საისტორიო არქივში მის შესახებ თითქმის ვერაფერი მოიპოვა. საჯარო ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებაში მომუშავე ქალბატონმა, რომელთაც ყოველთვის ყველაფერი იცან და ყოველთვის ყველაფერი აქვთ, ვერა-

ფერი მოძებნეს. მოკლედ, საშინელი ამბავია. მაგრამ რაღაც ამბები მაინც დანამდვილებით ვიცით, კერძოდ:

მეოცე საუკუნის დასაწყისში კავკასიის საოფიცრო ეკონომიკური საზოგადოების საზედამხებელო კომიტეტმა ქალაქ თბილისში კავკასიის საოფიცრო ეკონომიკური საზოგადოების შენობის პროექტების ესკიზების კონკურსი გამართა:

"სამშენებლო განკუთვნილი ადგილი მდებარეობს კირონის (ქალაქის ორი ნაწილის შემადგენელი მთავარი არტერიის) და ველიკაინაჟესკაია ქუჩის გადაკვეთაზე... იგულისხმება, რომ უნდა მოხდეს კუთხის (ორი ქუჩის გადაკვეთის) მონაკვეთის განაშენიანება შენობის, ძირითადად, კირონიზე განვითარებით..."

"კირონის" ამბავი ცალკე გადასარევი ისტორიაა. ვინმე სულმანათ კიროს ამ სახელწოდებასთან არაფერი აქვს საერთო, ფუძე გერმანული Kirche - ეკლესია გახლავთ, ადრე ახლანდელ მარჯანიშვილზე რომ იდგა. კირონიანია კირონიანად იქცა - რა ამბავია ამდენი თანხმობანი! ამ მოვლენას თურმე "სამეტყველო ძალისხმევის ეკონომია" ჰქვია.

ეს ისე, ლირიკული ჩანართი იყო. ჩვენს პროექტს დაეუბრუნდეთ:

მოთხოვნის თანახმად, სამსართულიან შენობას შემდეგი განყოფილებები და სათავსოები უნდა ჰქონოდა: საბავალო, რომელშიც საპარფიუმერო განყოფილება იგულისხმებოდა; ფეხსაცმლის მაღაზია - რასაკვირველია, მენაღის სახელოსნოთ; ფართელულის მაღაზია და სახელოსნო; ოფიცერთა განყოფილება; მექუდის მაღაზია და სახელოსნო; სამკერვალო, რომელშიც ცალკე უთოების გასაცხელებელი ოთახი უნდა ყოფილიყო - სასტიკი სიცხე იქნებოდა! და, ცხადია, "კანტორა" და ბუფეტო. გარდა ამისა - ამას კონკურსის გამომცხადებლები ხაზგასმით აღნიშნავენ - "შენობაში უნდა არსებობდეს ოთახები შვეიცარიისა და დარჯისთვის, და ყველა სართულზე - ვატერკლოზეტები პატარა საპირფარეოებით მამაკაცებისა და ქალებისთვის." ამ პუნქტმა ზემოთხსენებული არქიტექტორი სანაია ძალიან გააკვივრა, რადგან ამჟამად არსებული საპირფარეოები - ამას მეც კი მივხვდი - ფრიად უცნაურადაა "მიზნეული". გარდა ამისა შენობაში და შემდეგ მაღაზიებში შესასვლელი ცენტრალური



უნდა ყოფილიყო, ხოლო კიბეები - არანაკლებ ერთი მთავარისა და ორი დამხმარისა.

შენობის განათება ელექტრონული უნდა ყოფილიყო - ან ქალაქის ქსელიდან, ან საკუთარი სადგურიდან. ასევე ელექტრონული უნდა ყოფილიყო ვენტილაციაც. წყლით უზრუნველყოფა ქალაქი ევალებოდა. მინანურმა მომხიბლა: "კანალიზაცია ქალაქში არსებობს..."

ვახტანგ ბერიძის წყალობით დანამდვილებით ვიცით, რომ კონკურსში ალექსანდრე სტანისლავის ძე როგოისკის პროექტმა გაიმარჯვა. ფრიად უცნაური ამბავია: თუკი იმდროინდელ საბუთებს დააკვირდებით, აღმოაჩნთ, რომ საუკუნეების მიჯნაზე აშენებული სახლების მფლობელების გარდა, არქიტექტორებიც მტყნლად უცხოელები იყვნენ: პოლონელები, სომხები, ებრაელები, რუსები,

ფრანგები, გერმანელები, იტალიელები - აღარ განვარძობ. დიდი ხუროთმოძღვრული ტრადიციებისა და ბრწყინვალე ევროპული განათლების მქონე (გადახედეთ - ნებისმიერი მოღვაწის ბიოგრაფიაში ასეა ნათქვამი, ისევე, როგორც ყველა, სულ მცირე, ტახტის აზნაური მაინც იყო) ქართველებს, როგორც ჩანს, ან არქიტექტურა სძულდათ, ან კვლავ ის ამბავია, რომ ნიჭიერები ვართ, მაგრამ ზარმაცები.

ასე თუ ისე, რეგოლუციამდე ალექსანდრე სტანისლავის ძე როგოისკი თბილისის თვალსაჩინო არქიტექტორი ყოფილა. 1896 წლიდან ის პატარა საცხოვრებელი სახლების, დიდი, შემოსავლიანი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების პროექტებს ადგენდა. რა ასაკში დაინყო ამ სფეროში მუშაობა - დანამდვილებით ვერ მოგახსენებთ,

დაბადების წელი უცნობია, მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ, რომ ისევე, როგორც მისი თანამედროვე სხვა არქიტექტორები, ელექტროკოსი იყო (პირადად ჩემთვის სრულიად განსაცვიფრებელი ამბავია - რა შუაშია?), პატარა ბიჭი ნამდვილად არ იქნებოდა, განათების მიღება ხომ უნდა მოესწო! თან ვახტანგ ბერიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "მისი ნახაზების გრაფიკული შესრულება კარგ პროფესიულ მომზადებაზე მოწმობს". ალექსანდრე სტანისლავის ბოლო პროექტი 1910 წლითაა დათარიღებული.

როგოისკი მიმართავდა რენესანსს, ბაროკოს, "რუსულ" სტილს, მოდერნს... ყოფილ საბჭოს ქუჩაზე მის მიერ აგებული საცხოვრებელი სახლი დგას, რომლის პროექტშიც გოთიკისა და ფრანგული რენესანსის მოტივებია გამოყენებული,

უბრალოდ, აშენების დროს ფასადი გაამარტივეს, როგორც ჩანს, არქიტექტორს ნამეტანი მოუვიდა.


ამ არქიტექტორის უმთავრესი ნამუშევრები მაინც არასაცხოველებელი სახლებია: მეცხრე საუკუნეში და დადამყოფოს შენობა ვაკეში, რომელსაც 1902 წელს ჩაეყარა საძირკველი და იმხანად სასულიერო სემინარია იყო (სემინარისტები ამჟამად დაჩაგრეს - მაშინ ხომ ვაკე ერთი მივარდნილი ადგილი გახლდათ, ერთი ლირსული პაპა მრავალი წელი ჩხუბობდა, აქ მწყერზე სანადიროდ დავდიოდი და არამზადა შვილიშვილებმა სად დამასახლესო), კოსტავაზე მდებარე "საბებიო ინსტიტუტი" და, რაც მთავარია, ჩვენი ამბის ბურუსით მოცული გმირი - უნივერსალის შენობა მარჯანიშვილის ქუჩაზე.

ეს უკანასკნელი მაინც შესანიშნავი გამოუვიდა, არ მეთანხმებით?!

აპოკალიფსი



თბილისის ცენტრი, ალექსანდრეს ბაღი



D13

REUTERS

ლევან ბაქურაძე, ნაწყვეტი წიგნიდან "თავისუფლება და განვითარება"

„ფულის ბათეთრება,
მხოლოდ საბანკო
დანაშაულებებში არ ხდება
D2

რვენი - „ბლივირება“!
D4

სიღარიბის დაძვინის
პროგრამა და საქართველო
D5

ქართული
ფარმაცეუტიკა
დაბალპროცენტული
სესხების არარსებობას
უჩივიან
D7

ყველაფერი ფასიანი
ქაღალდების შესახებ
D8

ადრისაველი იფარჩება
D9

ფულის ფილოსოფია
D11

ავტობიზანტო რისკიანი
თამაში
D12

„აზიური ვეფხვები“
D13

იაპონიამ მაგალითი
„რენოსა“ და საფინანსო
ნაკრებისაგან
უნდა აიღოს
D15

რეკლამაგანერობა და
ვარსკვლავები
D16

„ფულის ბათითობა“ მხოლოდ საბანკო დანახვებში არ ხდება

ინტერვიუ ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან, ირაკლი მანაგაძესთან

საქართველოს პარლამენტი, უკვე ერთი თვეა, იხილავს კანონპროექტს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“, რომელიც ეროვნულ ბანკთან სპეციალური უწყების - ფინანსური მონიტორინგის ბიუროს შექმნას ითვალისწინებს. კანონპროექტით, მონიტორინგს დაექვემდებარებიან კომერციული ბანკებიც. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე აცხადებს, რომ კანონპროექტით არ ხდება კომერციულ ბანკებზე დამატებითი საზედამხებელო და მაკონტროლებელი რეჟიმის დაწესება. მისი თქმით, ფინანსური მონიტორინგის ბიურო პროცესში მხოლოდ მას შემდეგ ჩაერთვება, როდესაც შესაბამისი დაწესებულება, მათ შორის, კომერციული ბანკი, მიაწვდის ინფორმაციას საეჭვო ოპერაციის შესახებ. ოპერაციის „საეჭვოობას“ კი განსაზღვრავს შესაბამისი საკანონმდებლო და იურიდიული ბაზა, რომელიც ამ კანონის მიღების შემდეგ უნდა შეიქმნას.

გიორგი კალანდაძე

- საქართველოს პარლამენტი უკვე განიხილავს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს. როგორია თქვენი კომენტარი ამ დოკუმენტზე და რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ქვეყნის ხელისუფლების მიერ მისი რეალურად ამოქმედების მიზნით?

- 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ მსოფლიოში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა უკანონო შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლას, სადაც ძირითადი აქცენტი ტერორიზმზე კეთდება. ეს საკითხი ჩვენი ქვეყნისთვისაც მნიშვნელოვანია, რამდენადაც საქართველოს გარკვეული ვალდებულებები აქვს აღებული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცივილიზებული სამყაროს წინაშე.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“ კანონპროექტზე მუშაობა ეროვნულმა ბანკმა ერთი წლის წინ დაიწყო. ასევე მომზადდა კანონპროექტი სხვადასხვა კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. ყველა დოკუმენტი საქართველოს პარლამენტში უკვე წარდგენილია განსახილველად.

რაც შეეხება თვითონ კანონპროექტს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტის თანახმად მონიტორინგის სამსახური ეროვნულ ბანკთან უნდა შეიქმნას, პროცესში აღმასრულებელი ხელისუფლების ჩართვა ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რადგან ფუნქციონირებად ამ სამსახურს ანალიტიკური ხასიათი ექნება, ანუ მხოლოდ ინფორმაციის მიღებასა და მის ანალიზს უზრუნველყოფს. ამ მომენტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან „ფულის გათეთრება“ მხოლოდ საბანკო დანახვებში არ ხდება. ერთიან პროცესში, ბანკების გარდა, ჩართულია სადაზღვევო კომპანიები, საბაჟო და სანოტარო სამსახურები, აზარტულ გასართობებთან დაკავშირებული ორგანიზაციები, მათი საზედამხებელო სტრუქტურები და შემდგომ - სამართალდამცავი ორგანოები. კანონი, უპირველეს-

სად, მიმართული უნდა იყოს ისეთი გარიგებების წინააღმდეგ, რომელიც ასოცირდება ტერორიზმის დაფინანსებასთან, იარაღთა და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან, თრეფიკინგთან და სხვა. მისი არსი და ძირითადი მიზანი არასწორად იქნება გაგებული და დაიკარგება, თუ იგი გაიგივდება გადასახადების დაფარვისა თუ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან, რაც ეროვნული ბანკის კი არა, სხვა უწყებების პრეროგატივაა.

აქედან გამომდინარე, საერთო ძალისხმევით გარეშე, მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობა უკანონო შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. ამიტომ, ჩემი აზრით, აღმასრულებელი ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერა აუცილებლობად უნდა განიხილებოდეს.

- ბუნებრივია, აღნიშნული კანონი საბანკო სისტემაში საეჭვო წარმომავლობის სახსრების ბრუნვის აკრძალვას გულისხმობს. რომელი მექანიზმებით უნდა დადგინდეს სახსრების „საეჭვოობა“ და, საერთოდ, ეს ყოველივე წინააღმდეგობაში ხომ არ მოდის საბანკო საიდუმლოების დაცვის ვალდებულებასთან?

- კანონის თანახმად, მონიტორინგის სამსახური ეროვნულ ბანკში შეიქმნება და მისი საქმიანობა არ გულისხმობს კომერციულ ბანკებზე დამატებითი საზედამხებელო და მაკონტროლებელი რეჟიმის დანერგვას. აღნიშნული სტრუქტურა მხოლოდ მას შემდეგ უნდა ჩაერთოს პროცესში, როდესაც შესაბამისი დანახვები ანუ, ამ შემთხვევაში კომერციული ბანკი, მიანვდის ინფორმაციას საეჭვო ოპერაციის შესახებ. ოპერაციის „საეჭვოობას“ კი განსაზღვრავს შესაბამისი საკანონმდებლო და იურიდიული ბაზა, რომელიც ამ კანონის მიღების შემდეგ უნდა შეიქმნას. პირველ ეტაპზე უმთავრესი ამოცანაა კანონის მიღება, მისი რეალურად ამოქმედებისათვის საჭირო ნორმატიული აქტების შემუშავება კი მოხდება ყველა დაინტერესებული მხარისათვის აბსოლუტურად გამჭვირვალედ. ჩვენი მხრიდან ასეთი მიდგომის მიზანი დამატებით ფულის გამოძალვის ან პოლიტიკური ზენოლის მექანიზმის შექმნის შესაძ-

ლებლობის გამორიცხვაა. კანონის შემუშავების პროცესში მის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება მაქსიმალურ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა - კომერციული ბანკი თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული რომ მისი რეპუტაცია არ ასოცირდებოდეს საეჭვო გარიგებებთან და, ამგვარი ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში, თვითონვე მიანოდოს ინფორმაცია შესაბამის ორგანოს. ანუ, პრინციპი, რომელიც ასევე ბაზელის სტანდარტებს ეყრდნობა, ის არის, რომ ბანკი უნდა იცნობდეს თავის კლიენტს. თუმცა, აქვე შევნიშნავ, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ კანონი არც ერთ მაკონტროლებელ ორგანოს და არც მონიტორინგის სამსახურს კლიენტის შესახებ ინფორმაციის თავისუფლად მოპოვების უფლებამოსილებას არ ანიჭებს, ვიდრე ამას ბანკი არ გადაწყვეტს.

რაც შეეხება კანონისა და საბანკო საიდუმლოების დაცვის წინააღმდეგობრივ მომენტებს, ამასთან დაკავშირებით გავაგებებ პარალელს - 2001 წლის ოქტომბერში საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკმა (BIS) შეიმუშავა დოკუმენტი კლიენტთა მიმართ წმინდა რეალობის სტანდარტების გამოყენების შესახებ, რომელიც საბანკო საიდუმლოების დაცვის ვალდებულებებთან წინააღმდეგობაში არ მოდის. ვფიქრობ, ასევე იქნება ჩვენს შემთხვევაშიც. საბანკო საიდუმლოების დაცვა საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, არ გულისხმობს ბანკში კრიმინალური ფულის მიმოქცევის დაფარვას.

- საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ძირითადი რეკომენდაცია, როგორც წესი, ეროვნული ბანკის მიერ საბანკო ზედამხებელობის გამკაცრებაა. რა სახის ქმედითი ზომები ელის ამ თვალსაზრისით საბანკო სისტემას ეროვნული ბანკისაგან?

- პრაქტიკამ ცხადყო, რომ საბანკო საქმიანობის განვითარების, სისტემური რისკების წარმოქმნის ალბათობის მინიმიზაციისა და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული სტანდარტების შესაბამისი ზედამხებელობა. ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხებელობის პოლიტიკა, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ეფუძნება საერთაშორისო ორგანიზაციის „საბანკო ზედამხებელობის ბაზელის კომიტეტის“ მიერ შემუშავებულ „ეფექტურ საბანკო ზედამხებელობის ძირითად პრინციპებს“. ამ პრინციპების შესაბამისი პოლიტიკისა და პროცედურების სრულყოფასა და მათ პრაქტიკაში დანერგვაზე ეროვნული ბანკი სისტემატურად მუშაობს, რაც საერთაშორისო სავალუტო

ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან ყოველთვის დადებითად ფასდება. კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირებაში, საბანკო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, მომავალშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ბანკების კაპიტალიზაციას, ბანკების მიერ რისკების მართვისა და დივერსიფიკაციის საკითხებს, კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვასა და შიდა კონტროლის სისტემების სრულყოფას.

ბანკების სადამფუძნებლო კაპიტალის სისუფთავისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, გასულ წელს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონში შეტანილი დამატების თანახმად ამოქმედდა ნორმატივი, რომლის მიხედვით ბანკის მსხვილი აქციონერები და ადმინისტრატორები უნდა აკმაყოფილებდნენ შესაფერისობის დადგენილ კრიტერიუმებს. ესეც საერთაშორისო სტანდარტია, ანუ, ბანკს და ბანკირს აბარია სხვისი ფული, რომელსაც იგი თავისი შეხედულებისამებრ განკარგავს და, ბუნებრივია, უზრუნველყოფილი უნდა იყოს კომერციული ბანკების მართვის უმაღლეს რგოლებში ისეთი პირების მოხვედრა, რომელთა საქმიანობა წარსულში და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ამის უფლებას აძლევს მათ. ამ ნორმატივის გამოყენება საბანკო სისტემას კრიმინალებისა და „შავი ფულის“ გავლენისაგან დაცავს. საბანკო დანახვების შესახებ პატიოსანი მმართველობა ხელს შეწყობს ბანკების ეფექტურად, მომგებიანად მართვას, ბანკებისადმი საზოგადოების ნდობის გაღრმავებას, შესაბამისად, საბანკო მომსახურებისა და საბანკო სისტემაში აკუმულირებული დეპოზიტების ზრდას.

- ექსპერტთა ერთი ნაწილი საყვედურობს ეროვნულ ბანკს ლარის კურსის ხელოვნურად გამყარებასთან დაკავშირებით, ასევე გაისმის პრეტენზია, რომ ეროვნული ბანკი ეკონომიკის ინფლაციური სტიმულირების წინააღმდეგია. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?

- საუბარი ლარის კურსის ხელოვნურად გამყარებაზე ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. განვლილმა პერიოდმა ნათლად დაგვანახა, რომ ისეთი მცირე ზომისა და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის, როგორცაა საქართველო, მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი ოპტიმალურია. ეკონომიკაზე გარეშე მოკლების ზემოქმედების დროს იგი ბუფერის ფუნქციას ასრულებს და, პრაქტიკულად, ავტომატურ რეჟიმში ასწორებს ქვეყნის საგარეო სექტორში წარმოქმნილ დისპროპორციებს.

მცურავი საკურსო რეჟიმის დამსახურებას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ 2001 წელს თურქეთში განვითარებულმა საფინანსო კრიზისმა შედარებით უმნიშვნელო გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე. ამგვარი რეჟიმი ამცირებს სავალუტო კრიზისის მოხდენის შესაძლებლობას. ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს ექსპორტის ხელშეწყობა წარმოადგენს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დეფლაციური პოლიტიკა უნდა გავატაროთ და ჩვენ თვითონ მოვახდინოთ ლარის გაუფასურების პროვოცირება. შიდა სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის შეტენა მხოლოდ მისი ჭარბი მონოდების შემთხვევაში ხდება. ჩვენი მხრიდან ამგვარი მიდგომა ლარის გაცვლით კურსს ეკონომიკურად გაუმართლებელი გამყარებისაგან იცავს. ლარის კურსის დაქვეითების მიზნით აქტიურმა ჩარევამ შესაძლოა, ეკონომიკური აქტივობის წახალისების ნაცვლად, მისი მკვეთრი ვარდნა გამოიწვიოს.

დღეს თეორეტიკოსი თუ პრაქტიკოსი ეკონომისტები თითქმის ერთხმად აღიარებენ მონეტარიზმის ფუძემდებლად ცნობილ მილტონ ფრიდმანის მიერ ჯერ კიდევ 70-იან წლებში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ერთადერთი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელზეც გრძელვადიან პერიოდში ფულად-საკრედიტო პოლიტიკას შუძლია იქონიოს გავლენა, არის ინფლაცია. შესაბამისად, მრავალი ქვეყნისა და, რასაკვირველია, მათ შორის, საქართველოს ცენტრალური ბანკის უმთავრეს ამოცანად ფასების სტაბილურობისა და ინფლაციის დაბალი ტემპების შენარჩუნება იქცა, ხოლო, ეკონომიკურმა ზრდამ, დასაქმებამ და რეალური სექტორის განვითარების სხვა მახასიათებლებმა, როგორც ცენტრალური ბანკის მიზნებმა, უკანა პლანზე გადაინია.

რაც შეეხება ინფლაციური სტიმულირების „დოქტრინას“, გეთანხმებით, ხშირად გაისმის მოსაზრება, რომ ქვეყანაში გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ზედმეტად მკაცრია, რის გამოც საჭიროზე დაბალია ინფლაცია, და რომ ეკონომიკის აღმავალი განვითარებისათვის აუცილებელია ინფლაციური სტიმულირება, რისთვისაც ეროვნულმა ბანკმა უფრო ინტენსიურად უნდა აწარმოოს ფულის ემისია. ეს მოსაზრებაც გასული საუკუნის 60-იან წლებში მსოფლიოში დომინირებდა „ფილიპსის მრუდის“ თეორიას ეფუძნება. ამ უკანასკნელის თანახმად, ინფლაციის ტემპის მატება იწვევს უმუშევრობის შემცირებასა და ეკონომიკური აქტივობის ზრდას.

აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, ინფლაციის შედარებით მაღალი ტემპების ხარჯზე ცენტრალურ ბანკს შე-

საძლებლობა აქვს ხანგრძლივად შეინარჩუნოს უმუშევრობის დაბალი დონე და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი. შესაბამისად, იმ პერიოდში ცენტრალური ბანკების პოლიტიკის მთავარ ორიენტირსაც სრული დასაქმების მიღწევა და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მთლიანად ათვისება წარმოადგენდა. ასეთი მიდგომა რომ მცდარი იყო, შემდგომი წლების გამოცდილებამაც დაადასტურა. ანუ, მონეტარულ ექსპანსიას დადებითი ეფექტი, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში მოაქვს. დროთა განმავლობაში ეკონომიკა გადადის წონასწორობის ახალ მდგომარეობაში, როდესაც რეალური მაჩვენებლები – დასაქმება და ეკონომიკური აქტივობა კვლავ იზრუნებს თავის გრძელვადიან ტენდენციას, "ბუნებრივ", ანუ იმ დონეს, რომელიც ინფლაციური სტიმულირების გარეშეც იქნებოდა მიღწეული. ინფლაციის ტემპები კი გაცილებით ალემატება მანამდე არსებულს. ეს ნიშნავს, რომ საბოლოო შედეგი უარყოფითია –



ირაკლი მანავაძე: "საბანკო საიდუმლოების დაცვა არ გელისხმობს ბანკში კრიმინალური ფულის მიმოქცევის დაფარვას"

საქართველოს ფინანსთა მინისტრის აპარატი

ის ეკონომიკის დინამიური ზრდისათვის სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნებას ითვალისწინებს, ფულის არაინფლაციური მინოდების ფონზე. შედეგად, ბოლო სამი წლის მანძილზე ინფლაციის მაჩვენებელი ქვეყანაში ერთ-ნიშნა ციფრით გამოიხატება, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი თანდათან მატულობს და 2002 წელს 5,4 პროცენტი შეადგინა.

- როგორ ურთიერთობებს უნდა ველოდეთ 2003 წელს ეროვნულ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროს შორის?

ირაკლი მანავაძე: როგორც აქამდე იყო – კონსტრუქციულს და კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში შეთანხმებული. ხოლო, რაც შეეხება ამ ეტაპზე ჩვენთვის უკვე ცნობილ მოსალოდნელ ურთიერთობებს, გეტყვით, რომ საქართველოს 2003 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ პარლამენტის დადგენილებით, გათვალისწინებულია ეროვნული ბანკის მიმართ 1998 წელს წარმოქმნილი მთავრობის სასესიო დავალიანების გრძელვადიან სავალ ვალდებულებებში გადაფორმება. ამის საფუძველზე შეიქმნება სახელმწიფო ობლიგაციების პორტფელი, რომელსაც ეროვნული ბანკი სახელმწიფო ობლიგაციების მეორადი ბაზრის ჩამოყალიბების მიზნით გამოიყენებს ღია ბაზარზე ოპერაციების განსახორციელებლად.

ასევე, "საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით დადგენილია, რომ 5 წლით გადავადდება ფინანსთა სამინისტროზე 1998 წელს გაცემული სესხების დაფარვა. მთავრობის დაკრედიტება 2003 წლის განმავლობაში განხორციელდება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული საფინანსო პროგრამის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული

ბანკისადმი მთავრობის წმინდა დავალიანების ზრდა 40 მლნ ლარს არ გადააჭარბებს.

22 მლნ ლარის ოდენობით არის განსაზღვრული, აგრეთვე, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შევსება ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებით, რომელთა განთავსებასაც ახორციელებს ეროვნული ბანკი, როგორც მთავრობის ფისკალური აგენტი. ამდენად, თუ ამ ურთიერთობის ფორმატში რაიმე შეიცვლება, შემდეგში მოგახსენებთ.

- როგორ შეფასებათ მისცემს ქვეყნის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი საქართველოს საბანკო სისტემას 2002 წლის შედეგების ფონზე. რომელ დადებით და უარყოფით მომენტებს გამოიყვანთ?

დავინწყით იმით, რომ ზოგადად, ბანკის და, აქედან გამომდინარე, მთლიანად საბანკო სისტემის ფინანსური მდგომარეობის შეფასების უმთავრეს კრიტერიუმებს აქტივების, კაპიტალისა და დეპოზიტების მაჩვენებლები წარმოადგენს. ამ მონაცემების ფონზე, გადაჭარბებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ ყველა ის პარამეტრი, რომელიც საბანკო სისტემის განვითარებასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებაზე მიანიშნებს, დადებითი ტენდენციით ხასიათდება. საყურადღებოა, რომ კომერციული ბანკების რიცხვის მნიშვნელოვნად შემცირების მიუხედავად, 2002 წლის განმავლობაში საბანკო სექტორის მთლიანი აქტივების მოცულობა 27 პროცენტით გაიზარდა და ერთი მილიარდ 115 მილიონი ლარი შეადგინა. ბანკებში განთავსებული ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტების მოცულობა კი გაიზარდა 36 პროცენტით და 575 მილიონ ლარს გაუტოლდა. საბანკო აქტივების თანხობრივი მოცულობა გასული წლის მეორე ნახევარში სტაბილურად გასცდა ერთი მილიარდი ლარის, ხოლო დეპოზიტების მოცულობა –

500-მილიონიან ზღვარს. ამ ციფრების დატვირთვას აძლიერებს იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ საბანკო სისტემის ასეთი ტემპებით ზრდა, ბოლო 3 წლის მანძილზე, ქვეყნის ეკონომიკის წლიურად 2-5-პროცენტის მატების პირობებში გახდა შესაძლებელი.

ადეკვატურ დონეზეა ბანკების მიერ მიღებული შემოსავლების მოცულობა - საბანკო სისტემის ერთობლივმა წმინდა მოგება 43 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც მნიშვნელოვნად ალემატება გასული წლების ანალოგიურ მონაცემებს.

დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს სასესიო საპროცენტო განაკვეთების კლების ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ წინა პერიოდებთან შედარებით ეს მაჩვენებელი 3-4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და დღეისათვის 22-25 პროცენტის ფარგლებშია, ჯერჯერობით სასესიო საპროცენტო განაკვეთების ასეთი დონე მაინც მაღალია. დაგეგმილია კომერციული ბანკების საკორესპონდენტო და სარეზერვო ანგარიშების გაერთიანება. ვფიქრობ, ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს სასესიო განაკვეთების კლებას. აღსანიშნავია, რომ სასესიო საპროცენტო განაკვეთი მცირდება ბანკების მიერ ეკონომიკის სექტორების დაკრედიტების ზრდის პარალელურად, რაც, ვფიქრობ, მენარმეობის განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოს ქმნის.

კომერციულ ბანკებში ყოველწლიურად დეპოზიტების არანაკლებ 20 პროცენტის მატების მიუხედავად, რაც, თავისთავად, ბანკებისადმი ნდობის გაზრდას ხელს უწყობს, საბანკო სისტემის მიმართ ნდობის ამაღლება კვლავ რჩება ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად. თუმცა, აქ გათვალისწინებულია ის ფაქტორი, რომ ბანკებში დეპოზიტების სიმცირეს განაპირობებს არა იმდენად საბანკო სისტემისადმი ნდობის დეფიციტი, რამ-

დენადაც მოსახლეობაში თავისუფალი ფულადი სახსრების უკმარისობა და ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები. ჩრდილოვანი ეკონომიკაში არსებული ნაღდი ფულის საბანკო არხებში მოქცევის ძირითად სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკასთან დაკავშირებული მენარმე სუბიექტები დაინტერესებულნი არ არიან, თავიანთი საქმიანობა საბანკო არხების მეშვეობით აწარმოონ და რეალური შედეგები ფინანსურ უწყისებში ასახონ. ბუნებრივია, ამ მიზეზით ისინი თავს არიდებენ გადასახადების სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდას.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ჩამოყალიბებულია საბანკო საქმიანობისათვის აუცილებელი კონკურენტუნარიანი გარემო, რაც შესაბამისი საინვესტიციო კლიმატის პირობებში დამატებით ბიძგს მისცემს საბანკო სისტემაში უცხოური კაპიტალის მოზიდვას, საქართველოს ბაზარზე სერიოზული უცხოური საბანკო დაწესებულებების შემოსვლას და საბანკო სექტორში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას.

- რას გვეტყვით 2003 წლის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიმართულებების შესახებ?

ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა კომპლექსურ ხასიათს ატარებს. როგორც ვითხარით, მისი უმთავრესი მიზანია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ამ პროცესში სამი მნიშვნელოვანი და ერთმანეთთან დაკავშირებული პრიორიტეტი იკვეთება: ეკონომიკის მონეტიზაციის დონის გაზრდა, დოლარიზაციის მასშტაბების შემცირება და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება. ამიტომ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი ამოცანა დაბალი ინფლაციისა და ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის

რვენ - „ბლიყვირელები“!

ვლადიმერ შაპავა

საპარტოვლო სტრატეგია და საარსებო პოლიტიკის კვლევის ფონდი

რამაც შეიძლება სრულად ვიყო დარწმუნებული ისაა, რომ ჩვენ საშინლად ვგავართ სხვა ადამიანებს.

ვერის რასელ ლოული

ის, ვინც ამბობს „ჩვენ“, თავის თავს არ გულისხმობს.

სტანისლავ ეფი ლეცი

იმ მკითხველთათვის, ვინც „რადიო-101“-დან რაიმე მიზეზით პოპულარული წამყვანის მიმა მშვილდაძეს მიერ მომზადებულ ახალ ამბებს არ (ან ვერ) ისმენს, აუცილებელია იმის მინიშნება, რომ „ბლიყვირი“ საქართველოშია და იქ ჩვენი „ბლიყვირელი“ თანამემამულეები ცხოვრობენ. მართალია, საქართველოში „ბლიყვირის“ კონკრეტული ადგილმდებარეობა თავად მიმა მშვილდაძეს არც არასოდეს დაუკონკრეტებია, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც „ბლიყვირელთან“ შეხვედრა არა მარტო საქართველოს ნებისმიერ კუთხეშია შესაძლებელი, არამედ, სამწუხაროდ, „სარკეში ჩახედვაც“ კი საკმარისია - „ბლიყვირელობა“ ხომ მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა ჩვენთან განიშტია.

ამ წერილისათვის ასეთი სათაურის მისაცემად სტიმული ბატონ მიმა მშვილდაძის მიერ მომზადებული ახალი ამბების ერთ-ერთმა გამომწვევამ მომცა. კერძოდ, 2002 წლის ბოლოს, როცა „გაერთიანებულმა დემოკრატებმა“ საკითხი მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდის შესახებ დააყენეს, „რადიო-101“-ის ერთ-ერთი უახლოესი გადაცემიდან შევიტყვე, რომ „ბლიყვირელები“ გაფიცულან და მთავრობისათვის მოთხოვნა წაუყენებიათ ან ძველი სახელფასო დავალიანება გაესტუმრებინა, ან ხელფასები მოემატებინა; როგორც მოსალოდნელი იყო, მთავრობა ფიქრის შემდეგ ხელფასების მომატებას დათანხმდა და გახარებულმა „ბლიყვირელებმა“ გაფიცვა შეწყვიტეს. სხვა სიტყვებით, „ბლიყვირელთა“ მოთხოვნას მთავრობამ „ბლიყვირული“ გადაწყვეტილება შეაგება.

ჩვენი „ბლიყვირელობა“ თითქმის ყველაფერშია თვალშისაცემი: „ბლიყვირელები“ არჩვენების დროს, როგორც წესი, მხარს თავისიანებს უჭერენ, არჩვენების გამყალბებელი „ბლიყვირელები“ არჩვენებს თავისიანების სასარგებლოდ აყალბებენ და, რასაკვირველია, „ბლიყვირელთა“ ყველა დონის მთავრობაშიც მათსავე „ლირსულ“ წარმომადგენლებთან შეხვედრა სულაც არ არის ძალიან ძნელი.

საკითხის ამგვარმა დაყენებამ შეიძლება ზოგიერთი მკითხველი აღაშფოთოს, ან სულ ცოტა, გააღიზიანოს მაინც: ჩვენ სულაც არ ვართ „ბლიყვირელები“! პასუხად შეიძლება ითქ-



ვლადიმერ შაპავა

ვას: „არცოდნა - არცოდვავა“. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს გარშემო არიან ადამიანები, რომლებშიც „ბლიყვირელობა“ ან საერთოდ არ არის, ან თუნდაც ძნელად შესამჩნევია, სამწუხაროდ, საზოგადოებაში ისინი უმრავლესობას არ შეადგენენ. ამასთან აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ მთავარი არა ისაა, თუ თავს რად ვთვლით, არამედ ის, თუ როგორ ვჩანვართ...

მართლაც და როგორ ვჩანვართ? 2001 წლის მიწურულს დაწყებული სახალხო მღელვარების „ჩასაქრობად“ საკმარისი აღმოჩნდა პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომა, თუმცა „მღელვარე“ ხალხი მაინცა და მაინც მის გადადგომას არ ითხოვდა („ბლიყვირელთა“ ერთ-ერთი ნიშანი ხომ იმითი კმაყოფილებაა, რომ მიღწილი იმას, რასაც არ ითხოვ). თავმჯდომარის გადადგომამ ხელი შეუწყო მთავრობის გადაყენებას და ხალხიც დანყნარდა, თუმცა ახალ მთავრობაში მაინც ბევრი ძველი სახე დარჩა და ამას „ბლიყვირელებში“ დიდი აღშფოთება სულაც არ გამოუწვევია. ალბათ, „ბლიყვირელობა“ იმის მთავარი მიზეზი, რომ პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ისევ და ისევ იმ „ბლიყვირელებთან“ შეხვედრისას თითქმის ყოველთვის ესაჭიროება იმის ახსნა, რომ მან თავისი გადადგომით ქვეყანაში სიმშვიდე შეინარჩუნა.

2001 წლის მიწურულს მომხდარი მოვლენების გამოსახატავად ქართულ ენაში არის ერთი ძალიან კარგი სიტყვა - „ყრიაშული“. ეს მოვლენები, განსაკუთრებით - შედეგებიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, ყველაზე რე-

ლიეფურად სწორედ ამ სიტყვით შეიძლება შეფასდეს - „ბლიყვირელთა ყრიაშული“.

ამჟამად „ბლიყვირელობაზე“ გათვლილი ოპოზიციური პარტიათა ხელისუფლებასთან ურთიერთობების დათბობა-გამწვავება; თუმცა, იმავე „ბლიყვირელისათვის“ ძნელი დასაჯერებელია იმ პოლიტიკოსის გულწრფელობა, რომელიც ორიოდე წლის წინ პრეზიდენტს ადგილს „ისტორიის სანაგვეზე“ განუსაზღვრავდა, ხოლო დღეს მას ერთგულებას ეფიცება, ან იმ პოლიტიკოსთა დაპირისპირება პრეზიდენტისადმი, რომელთა წარმომადგენლები მთავრობასა და კანცელარიაში (ამ უკანასკნელში კი „ფხიზელი თვალისა“ და „მახვილი ყურის“ ფუნქციის განსახორციელებლად) ადგილებს ინარჩუნებენ, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციაში ელჩად, ან საზოგადოებაში პრეზიდენტის ოჯახის მეურვეობის ქვეშ მყოფის სახელით ცნობილი ერთ-ერთი ბანკის ერთ-ერთ ხელმძღვანელად ინიშნებიან.

შეიძლება ასეთი აზრები ვინმეს (განსაკუთრებით კი ამ ადამიანების გულშემატკივრებს) ძალზედ „ბლიყვირულად“ მოეჩვენოს, მაგრამ, როცა ქვეყანაში „ბლიყვირელები“ გვყავს, „ბლიყვირულ“ აზრებს ვითომ არსებობის უფლება რატომ არა აქვს?

აბა, განა მართლაც და „ბლიყვირული“ აზრი არ მოუვიდა თავში ერთ „პახმელიაზე“ გამოსასვლელად მშვენიერ დილას ქალაქის ხელმძღვანელს, როცა განაცხადა, რომ კონსტიტუციაში ცვლილება უნდა შევიტანოთ საპრეზიდენტო ვადებთან დაკავშირებით. კიდევ კარგი, ასევე „პახმელიაზე“ მყოფ (რად-

განც, როგორც ვთქვით, დღე იყო „საპახმელიო“) „ბლიყვირელთა“ დიდმა ნაწილმა ნათქვამის არსი ვერ აღიქვა, თორემ ხომ შეიძლებოდა უკვე ცენტრალურ-აზიური ტიპის „ბლიყვირისტანშიც“ კი გვეცხოვრა.

ჩვენი პარლამენტის აბსოლუტური უმრავლესობის ამჟამად „ბლიყვირელობა“ მაშინ გამოჩნდა, როცა 2002 წლის დეკემბრის მიწურულს მისმა ერთმა ნაწილმა ჩათვალა, რომ 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი დიდი ზარ-ზეიმით ჩააგდო, ხოლო მეორე ნაწილი კი თავს ამ პროცესის „ჭირისფულს“ მიაკუთვნებდა. სინამდვილეში, ის რაც პარლამენტში ჩავარდა იყო არა 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, არამედ ორ ფურცელზე განერილი ცხრილი. განა „ბლიყვირელობა“ არაა ან გიხაროდეს, ან მისტიროდეს იმის ჩავარდნას რაც არ არსებობს?

იმ მიზნით, რომ ზოგიერთ „ბლიყვირელ“ პარლამენტარს თავი ყველაზე დიდ „ბლიყვირელად“ არ ეგრძნო თითქმის ერთი წლის განმავლობაში ნებისმიერ ამინდში პარლამენტის შენობის წინ კიბეებზე, როგორც წესი, დღის მეორე ნახევარში „ბეჯითი ბლიყვირელების“ გუნდი იკრიბებოდა და „მჭევრმეტყველი ბლიყვირელების“ ორატორულ შედეგებს ისმენდა და მოსმენის საშუალებას (თანაც არა იმდენად ნებაყოფლობით, რამდენადაც იძულებით) საპარლამენტო „ბლიყვირელებსაც“ (და არა მარტო მათ) აძლევდა. ამ „ბლიყვირული“ აქციის დაშლამდე მის მონაწილეებს გული ყველაზე მეტად კი იმაზე წყდებოდათ, რომ დიდი მცდელობის მიუხედავად მათ არც „თემური და მისი რაზმი“ არბევდა და ამიტომ არც ტელეეკრანზე ჩნდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში გამწვლელ „კეთილ ბლიყვირელებს“ (ასეთები არც ისე ცოტაა) კიბეებზე მსხდომთა გულწრფელობაში ეჭვი არ ეპარებოდა, „გულბოროტი ბლიყვირელების“ (რომლებიც, სამწუხაროდ, მეტი თუ არა ნაკლები არ არის) აზრით ამ აქციის წევრებს მთავრობა აფინანსებდა: კიბეზე ჯდომისათვის დღემი ხუთი და სიტყვაში გამოსვლისათვის - ათი ლარის ოდენობით. ალბათ, „გულბოროტ ბლიყვირელებს“ ნაკლებად დაეჯერება, რადგანაც გაუცემელი ხელფასებისა და პენსიების ფონზე საბიუჯეტო სახსრების ამ მიმართულებით ხარჯვა „ბლიყვირელთა“ გარემოცვაშიც კი ძალზედ „ბლიყვირულ“ შთაბეჭდილებას დატოვებდა. მას შემდეგ კი, რაც ისევ „თემურისა და მისი რაზმის“ დახმარებით აქციის მონაწილე „ბლიყვირელები“ პარლამენტის კიბეებზე განსათავსებლად აღარ დაუშვეს, „ბლიყვირული“ აქციების გასამართლავად მათთვის თბილისის ცენტრში ახალი მიმზიდველი ადგილის მიჩენის გარეშე ისინი ამჟამად დაუსაქმებლნი დარჩებიან.

„ბლიყვირელობაში“ საპარლამენტო გამოვლინებებს არც ზოგიერთი არასაპარლამენტო

პარტია ჩამორჩა: ამ მხრივ ის პარტიები გამოირჩევა, რომლებმაც განსაკუთრებული მახვილგონიერი „ბლიყვირელობა“ გამოამჟღავნეს, როცა ფლორისა და ფაუნის ბავშვებისთვისაც კარგად ნაცნობი წარმომადგენლების სახელები დაირქვეს.

სამწუხაროდ, 2002 წლის ადგილობრივი არჩევნებშიც ხომ „ბლიყვირელობის“ გამოვლინება იყო: ის, რომ ცენტრალურმა (და არა მარტო ცენტრალურმა) საარჩევნო კომისიამ მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ მოაბა, საკამათო არავისათვის არ არის, მაგრამ ყველაზე კურობული მაინც ისაა, რომ უმთავრესად არჩევნებში გამარჯვებული (და არა დამარცხებული!) ძალების სასამართლოში ჩივილის შედეგად თბილისი ნახევარი წლის განმავლობაში საკრებულოს გარეშე დარჩა.

ეკონომიკაში მთავრობის ამჟამად „ბლიყვირული“ დამოკიდებულება გამოიკვეთა სახელმწიფო ქონების მართვის მიმართ: 2002 წლის დასაწყისში სახელმწიფო მინისტრის ინიციატივით პრეზიდენტის ის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ქონების მართვა დარგობრივ სამინისტროებს გადაეცა, სამართლიანად გაუქმდა, მაგრამ იმავე წელს პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე წარსდგა ინიციატივით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მრეწველობის ისედაც ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სახელმწიფო ქონების მართვაში ძველი, სოციალისტური მიდგომისადმი დაბრუნებას ნიშნავს.

„ბლიყვირელებს“ არც ის აწუხებთ, თუ რატომ, რა მიზეზითაა განპირობებული ის, რომ ქვეყანაში საფინანსო სექტორის მართვა ტრადიციულად არა მარტო არაეკონომისტების, არამედ მართვის ელემენტარული გამოცდილების არმქონეთა ხელთაა მოქცეული, ან ის, რომ პრეზიდენტი პარლამენტს პრაქტიკულად ერთდროულად წარუდგენს ამა თუ იმ სამინისტროს გაუქმებისა და სწორედ ამ სამინისტროში (!) დასანიშნი მინისტრის კანდიდატურას.

საინტერესოა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობაშიც ამჟამად „ბლიყვირული“ სახე მიიღო: ე.წ. „სამთავრობო გუნდის“ სახელის მქონე „გუნდის“ წევრები ერთად დაჯდომას მათთან სამუშაო შეხვედრების დროს „ვერს ახერხებენ“, რის შედეგადაც მათგან (ამ ინსტიტუტებიდან) მისაღები დახმარება სულ უფრო და უფრო პრობლემური ხდება. მაგალითად, როცა მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნების

სიღარიბის დაძლევის პროგრამა და საქართველო

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შვიდი დაბალშემოსავლიანი ქვეყნის დასახმარებლად ახალი ინიციატივით გამოდიან. მსოფლიო ბანკის (WB), საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) ახალი სტრატეგია ითვალისწინებს ხელშეწყობას იმ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში, რომლის წინაშეც დსთ-ს ქვეყნები დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აღმოჩნდნენ. მსოფლიო ბანკის მმართველი დირექტორის შენგმან ზანგის შეფასებით, საერთაშორისო ორგანიზაციათა შეღავათიანი ფინანსური დახმარება და საგარეო ვალდებულებათა სიმძიმის შემსუბუქება შედეგს მხოლოდ მას შემდეგ გამოიღებს, თუკი ეროვნული მთავრობები ეფექტურ რეფორმებს განახორციელებენ. ეს განცხადება შენგმან ზანგმა შვეიცარიის ქალაქ ლუცერნში 20-22 იანვარს გამართულ კონფერენციაზე გააკეთა, რომელსაც დსთ-ს შვიდივე ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრო.

შოთა გვენეტაძე

საგარეო ვალდებულების საკითხი დსთ-7-ის ქვეყნებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციაზე მინვეულ სახელმწიფო მოხელეთა სრული შემადგენლობა დიდი გულსყურით მოელოდა ამ თემის ირგვლივ დისკუსიების გამართვას. შეკითხვა საგარეო ვალდებულების ჩამოწერის შესახებ ყირგიზეთის რესპუბლიკის დელეგაციიდან დასვეს, რომ **“ხომ არ იყო შესაძლებელი და უპრიანი, რომ განხილულიყო საგარეო ვალდებულების ჩამოწერის საკითხი ამ ქვეყნებისათვის.”**

ეს თემა საქართველოს საზოგადოებისათვისაც ნაცნობია. რამდენიმე თვის წინ საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა კიდევ, რომ საერთაშორისო საზოგადოებასთან შესაძლებელია დანიშნოს დიალოგი საქართველოსთვის საგარეო ვალდებულების ჩამოწმად. მართალია, ამ საკითხზე აღარ გაგრძელებულა დისკუსია, თუ რა მოტივებით აცხადებდა პრეზიდენტი ქვეყნის დეფოლტს, მაგრამ სახელისუფლებო წრეებში მაინც არსებობს იმის “იმედი”, რომ ჩვენ შესაძლებელია თავი ავარიდოთ აღებული ვალდებულებების გადახდას.

ამ ინიციატივას ლუცერნის კონფერენციაზე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები საკმაოდ აგრესიული და პარალელურად უარყოფითი განცხადებებით შეხვდნენ. ფორუმზე კიდევ ერთხელ განიმარტა, რომ ვალდებულების ჩამოწმის საკითხი დადგება იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა გადახდისუნარი აღმოჩნდება. ის, რომ ვერ ახერხებ გადასახადების მობილიზებას და სახელმწიფო მმართველობას კორუფციის ხარჯზე ახორციელებ, ვერანაირად ვერ გახდება ვალდებულების ჩამოწმის მიზეზი;

მეორე მხრივ, ასეთი პრეცედენტის დაშვება ნიშნავს ახალ მიდგომას განვითარებადი ქვეყნების მიმართ. ეს ნიშნავს, რომ დონორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მხრიდან გადახდილი უნდა იქნას დახმარებების სტრატეგია, რამდენადაც მათთვის

გაუგებარი იქნება ვალის პატივის დასაბუთება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ 2004 წელი საქართველოსთვის საგარეო ვალდებულების გასტუმრების პიკია, ამ თემის წინ წამოწევა ხელისუფლებისა თუ პოლიტიკური სტრუქტურების მხრიდან აუცილებლად მოხდება, მითუმეტეს, პრეზიდენტ შევარდნაძის ცნობილი განცხადების შემდეგ.

საგარეო ვალდებულების გასტუმრებისათვის ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს საგადასახადო შემოსავლების ზრდა და ვალდებულების რესტრუქტურისაციის პროცესის ახალი ეტაპის დაწყება ერთი მხრივ, პარიზის კლუბთან და მეორე მხრივ, თითოეულ კრედიტორ ქვეყანასთან.

კონფერენციის ფარგლებში ასევე ერთ-ერთი მთავარი თემა იყო სიღარიბის დაძლევის პროგრამის არსებობა. მთავარი რეცეპტი ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. იგი ვერანაირად ვერ მოგვარდება რაიმე დახმარებების ხარჯზე, ან მხოლოდ სოციალური ტიპის შეღავათების დაწესებით. სხვათა შორის, სოციალური მოტივით შეღავათების დაწესება (ჩვენს შემთხვევაში ძირითადად, საგადასახადო კოდექსი) და კონკრეტული სანარმოების (ძირითადად, ენერგეტიკა) სუბსიდირება ერთ-ერთ უარყოფით მხარედ იქნა შეფასებული. მთავარი მოტივი, ამ ტიპის “დახმარებების” უარყოფითად შეფასებისა გახლავთ ის, რომ ისინი არ არის ადრესირებული რეალურად სოციალურ დაუცველ ფენებზე.

ამდენად, სახელმწიფოს პრიორიტეტი სოციალური დაცვის საკითხებთან მიმართებაში მის პერსონიფიცირებაზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა ზოგადად საგადასახადო შეღავათებსა და კომუნალური, თუ ენერგეტიკული სფეროების სუბსიდირებაზე.

ქვეყანაში არსებული სიტუაცია ეკონომიკური განვითარების და ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული, რაც პირდაპირ უკავშირდება გართულებულ კრიზისოვანულ სიტუაციას და მოლოდინებს “გაყინული” კონფლიქტების გააქტიურების კუთხით. ამას ემა-



საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები საქართველოში სიღარიბეს შეებრძოლებიან

ტება ის ფაქტი, რომ ინვესტირებისათვის მიცემული პირობები, საკანონმდებლო დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები, მხოლოდ განცხადებების დონეზე რჩება და მუდმივი გადახედვის (ინვესტორთა სანაღმდეგოდ შეცვლის) საგანია, რაც ასევე არასტაბილურობის განცდას ტოვებს. ეს არის ის რეალური მიზეზები, რომლის გამოც პრივატიზაციის პროცესი საკმაოდ ნელი ტემპებით მიმდინარეობს.

ზოგადი შეფასებით, დსთ-7-ს სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველო უკეთესი მაჩვენებლებით ხასიათდება პრივატიზაციის პროცესში. თუმცა, ეს სრულად არ ასახავს დადებით ტენდენციას, რამდენადაც მაგალითის სახით თუ გავანალიზებთ 2002 წლის მაჩვენებლებს ვნახავთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში დაგეგმილი 15 მილიონი ლარის ნაცვლად მობილიზებული იქნა მხოლოდ 8,6 მილიონი ლარი (ანუ 58 პროცენტი). ეს მაჩვენებელი აბსოლუტური განგაშის საფუძველი უნდა გახდეს, რამდენადაც ერთი მხრივ, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული სანარმოების რეალურ მართვას (მოგების მიღებას) და მეორე მხრივ, რეალურად არც მათ პრივატიზაციაზე ფიქრობს, რამდენადაც ეს არის არსებული სახელმწიფო მანქანის რჩენის (თავის შენახვის) ერთ-ერთი კარგი საშუალება. სახელმწიფოს მმართველობაში საკმაოდ დიდი სანარმოო რესურსებია დარჩენილი და მათი ამოქმედება მხოლოდ განსახელმწიფოებრიობის ხარჯზეა შესაძლებელი. თავის მხრივ,

პრივატიზაციიდან შემოსული თანხები კი საგარეო ვალდებულების მომსახურებისათვის ერთ-ერთი მთავარი წყაროა.

მიუხედავად ზემოთ აღწერილი პესიმისტური სურათისა, რომელიც ბიზნეს-კლიმატის გაუმჯობესებას ეხებოდა, მთავრობა 2003 წელს 45 მილიონი ლარით გეგმავს პრივატიზაციიდან შემოსავლებს, რაც პირდაპირ უნდა ითქვას რომ პრაქტიკულად შეუსრულებელი იქნება და დარჩება ქალაქზე დატანილი პირობად, რამდენადაც მას არ აქვს შესაბამისი დასაბუთება, თუ რა ობიექტურ გადაწყვეტილებებს, გათვლებს ემყარება ხელისუფლების პროგნოზი.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების ფონზე აბსოლუტურად გასაგებია, რომ საქართველოსათვის მთავარ პრობლემად დასახელდა ქვეყანაში არსებული კორუფციის მაღალი დონე.

რამდენადაც დსთ-7-ის ქვეყნებში ყველაზე მეტად კორუმპირებულ ქვეყნად საქართველო მოინათლა, ამან გარკვეული უსიამოვნო დამოკიდებულება გამოიწვია საქართველოს დელეგაციის სამთავრობო წარმომადგენლობაში. ამ პოზიციას ირონიით გამოეხმაურა კონფერენციის სპიკერი, სავალუტო ფონდის მეორე ევროპული დეპარტამენტის დირექტორი ჯონ ოდლინგ-სმი, რომელმაც დებატების ბოლოს განაცხადა: **“შე საქართველოს დელეგაციას მინდა ვუთხრა, რომ ჩვენ ვერ კიდევ გვაქვს თქვენი იმედი კორუფციასთან ბრძოლის კუთხით”**.

კონფერენციაზე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან კორუფციის საკითხს პრაქტიკულად ერთგვარი შეფასება მიეცა, რომ ეს პრობლემა გამოწვეულია სიღარიბის მაღალი დონით. ხოლო მასთან ბრძოლის მთავარ იარაღად ინფორმაციის მაქსიმალური გახსნილობა და ხელმისაწვდომობა დასახელდა.

საქართველოს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად სტრუქტურული რეფორმები და სახელმწიფო მმართველობა დასახელდა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ საქართველოსათვის მთავარი პრობლემა მთავრობის მიერ მიცემული დაპირებების შეუსრულებლობაა.

ამ პრობლემათა შეფასების ფონზე ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ ჯორჯ სოროსის შეფასება ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარი ინდიკატორი განათლებაა, კერძოდ, რამდენი ტოვებს ქვეყნის საზღვრებს განათლების მისაღებად და რამდენი ბრუნდება უკან. მან ამ საკითხის დასაზუსტებლად და გასამყარებლად მოიყვანა უნგრეთის მაგალითი, სადაც სასწავლებლად წასული 100 სტუდენტიდან 100-ვე უკან ბრუნდება, დსთ-7-ის ქვეყნებში კი ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. ამდენად, განათლებას და ამ სფეროში რეფორმების სწორად განხორციელებას დიდი ყურადღება დაეთმო, რაც ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების შეფასების რეალურ საშუალებას იძლევა.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები

რვენ - „ბლიყვირელები“!

D4 გვარდიანს

შელავათიანი მეოთხე (წინა სამი საქართველოს უკვე მიღებული აქვს) კრედიტის 2003 წელს არმილების ერთადერთი მიზეზი ამ ბანკთან სათანადო მოლაპარაკების გამართვის თავმოებელობა აღმოჩნდა, ქვეყნის ფინანსების განმკარგავის განცხადება, რომ თურმე საქართველომ ამიერიდან არა შელავათიანი, არამედ კომერციული (არაშელავათიანი) კრედიტები უნდა აიღოს, უემოციო კომენტარს არ ექვემდებარება. ერთი, რისი თქმაც შეიძლება ისაა, რომ რადგანაც ეს არა ქართულ-ხალხური ზღაპარი, არამედ ჩვენი სამხუხარო რეალობაა, იმის „პატარა ქვაბში ჩაძრომას“ (არაშელავათიანი კრედიტების აღებას), რაც „დიდ ქვაბში არ ეტეოდა“ (შელავათიანი კრედიტების მიუღებლობისას) მართლაც განსაკუთრებული „ბლიყვირული“ დიდოსტატობა დასჭირდება.

ქვეყნის პრეზიდენტის თითქმის ათწლიანი მცდელობა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტი რეალობად ქცეულიყო, სამხუხაროდ, სამთავრობო „ბლიყვირელებმა“ თითქმის ჩამალეს, როცა ის ეროვნულ სიამაყეს - „ბორჯომის“ მინერალურ წყალს დაუპირისპირეს; შედეგად, რიგითი „ბლიყვირელი-სათვის“ (და არა მარტო მისთვის) გამოუცნობ თავსატეხად რჩება, თუ რატომ არ შეიძლება ბოლოდა ისე გაკეთებულიყო, რომ თავიდან აგვეცილებინა ბორჯომის წყლის ნავთობსადენში (თუ პირიქით) ჩაღვრის საშიშროება, ... ხოლო კითხვა იმის შესახებ, თუ რაში სჭირდება პრეზიდენტს ზოგიერთი არა „უბრალოდ ბლიყვირელი“, არამედ „განსაკუთრებით ბლიყვირელი“ მინისტრი დღეს, სამხუხაროდ, ნაკლებად ქტუალურია.

ჩვენს თანამემამულე „ბლიყვირელს“ რა მოვთხოვთ, როცა „არაბლიყვირელისთვისაც“ კი ძალზედ ბუნდოვანი სიტუაცია ჩამოყალიბდა ე.წ. „ცენტრსა“ და საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი „რეგიონის“ ურთიერთობაში, როცა გაუგებარია, ვის ვისი - „ცენტრს“ „რეგიონის“ თუ პირიქით მართებს, ან ამდენი ხნის განმავლობაში რატომ ვერ მოხერხდა ამ სადავო საკითხის „გაიასნება“.

განსაკუთრებული „ბლიყვირული“ სიტუაცია შეიქმნა ე.წ. თავისუფალი ეკონომიკური ზონის საკითხთან დაკავშირებით: როცა ეკითხები, თუ რა საჭიროა ასეთი ზონის შექმნა, რომ ის რაც ამ ზონამ „შელავათის“ სახით უნდა მიიღოს, მთელს ქვეყანაში (და არა რომელიმე ზონაში) მოქმედი კანონმდებლობით თითქმის უკვე ისედაც არის დაკანონებული, ინიციატორები გასაუხოზენ (თუ კი ამას პასუხი შეიძლება ენოდოს), რომ ზონის შექმნა საქართველოს პრეზიდენტის პრეროგატივა იქნებაო და ეს არა მარტო მოცემული „რეგიონისათვის“ არის გათვლილი. აღსანიშნავია, რომ ჩვენს „მიამიტ ბლიყვირელებს“ გულწრფელად ჰგონიათ, რომ ეს დაპირისპირება საქართველოს ჩრდილოეთი, სამხუხაროდ, „არაკეთილი“ მეზობლის ინსპირირებულია და თუ ეს ასე არ არის, მაშინ საქმე მართლაც ჩვენს ტრადიციულ, მამა-პაპურ „ბლიყვირელობასთან“ გვექონია და ამ საკითხში დიდი თავსატეხი არც აღარაფერი დავგრჩენია.

„ბლიყვირელთა“ ერთ-ერთი საქვეყნოდ აღიარებული ლიდერის გამარჯვებით დამთავრდა ქვეყანაში მოქმედი პრაქტიკულად ერთადერთი უდიდესი უცხოელი ინვესტორის წინააღმდეგ აღძრული სასამართლო პროცესი, რის შემდეგაც საჯაროდ გაისმის მონოდება, რომ

„ბლიყვირელებმა“ „ბლიყვირული“ ტრადიციის შესაბამისად მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური არ გადაიხადონ.

ისე, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მოხმარებული ელექტროენერჯისა და გაზის საფასურის არგადახდის ამ „ბლიყვირული“ ტრადიციის დამკვიდრებაში, სამხუხაროდ, თავისი წვლილი ინფორმაციის მასობრივ საშუალებებსაც მიუძღვის: სატელევიზიო ეთერიდან თუ გაზეთის ფურცლებიდან „ბლიყვირელებს“ გამუდმებით მოძღვრავენ იმის შესახებ, რომ ამ სფეროში წარმოქმნილ დავალიანებათა დაფარვა ხან ფინანსთა სამინისტროს, ხანაც თბილისის მერიის ვალდებულებაა, და ერთი სიტყვიტაც არ არის ნახსენები თავად „ბლიყვირელთა“ ვალდებულების შესახებ.

არანაკლებ „ბლიყვირული“ აღმოჩნდა ხუთჯვრიანი დროშის გარშემო ატეხილი „ყრიაშული“: როცა საქართველოს პასპორტსა თუ ეროვნულ ვალუტაზე ბორჯღალი იქნა დაფიქსირებული, მის შესახებ დიდად არც არავინ ახმაურებულა, რომ ის (ბორჯღალი) ოფიციალურ სახელმწიფო სიმბოლოს სულაც არ წარმოადგენს და, ჩვენდა საბედნიეროდ (ხოლო, ალბათ, „ბლიყვირელთა“ გასაკვირად), მის სანინააღმდეგოდ შიმშილობის დაწყება თავში აზრად არც არავის მოსვლია; მაშ, რა შეიცვალა თბილისის მერიის შენობის თავზე ხუთჯვრიანი დროშის აფრიალებით? პასუხი „ბლიყვირელთა“ ფსიქოლოგიაში უნდა მოვებნოთ. ეერძოდ, იმისათვის რომ „ბლიყვირელს“ რაიმე მოაწონოს, მისი ლანძღვა უნდა დაიწყოს. ამ პროცესს სათავეში ყველაზე უფრო გამოცდილი და, რაც მთავარია, ოდიოზური „ბლიყვირელი“ უნდა ედგას. აქ ლოგიკურად იბადება კითხვები: მაინც რა

არის ყოველივე ამის მიზანი? რატომ არ უნდა ატეხილიყო აურზაური პასპორტზე ბორჯღალის გამოჩენის გარშემო, ხოლო მერიის თავზე აფრიალებული ხუთჯვრიანი დროშა ვნებათაღელვის ობიექტად რატომ იქცა?

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ კამათი ჯვრების რაოდენობის გარშემო ატეხილი და თუ ხუთჯვრიანი დროშა ოფიციალურ სახელმწიფო სიმბოლოდ მაინც ვერ დაკანონდება, მაშინ ჯვრების სხვა რაოდენობის (თუნდაც ერთის) მქონე დროშას მიაცქენება შანსი, რომ ამგვარი სიმბოლოს სტატუსი მიენიჭოს; შედეგად, თუ „ბორჯღალისანი“ პასპორტი საქართველოს ნებისმიერი აღმსარებლობის მქონე მოქალაქის ხელში არავითარ გალიზიანებას არ იწვევს, ჯვრის შემცველი სახელმწიფო დროშის ფრიალი ქვეყნის არაქრისტიანებით ტრადიციულად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფოებრივი ერთიანობისათვის საფრთხის შემქმნელი ფაქტორი იქნება. თანაც აქ ისიც გასათვალისწინებელია, თუ რამდენად საშიში ფორმები მიიღო თბილისში ბოლო წლებში რელიგიურ თემებზე ალზევებულმა „აგრესიულმა ბლიყვირელობამ“.

„არაბლიყვირელობაზე“ პრეტენზიის მქონე ჩვენს ზოგიერთ თანამემამულეს გულწრფელად ჰგონია, რომ პანკისის ხეობის პრობლემა ჩვენი „ცბიერი და ხარბი ბლიყვირელების“ ნამოღვანარია. „ბლიყვირული“ გაგებით, კი სწორედ პანკისის ხეობის პრობლემის შექმნამ განაპირობა, ან დააჩქარა მაინც, ამერიკელი სამხედროების საქართველოში გამოჩენა, რაც „ბლიყვირული“ პოლიტიკის ტრიუმფადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

საგულისხმოა, რომ ქვეყანაში გამეფებული „ბლიყვირელო-

ბის“ ფონზე აღარც ჩვენს მტრებს ემინიათ რამის და აფხაზეთში რუსეთთან სარკინიგზო მიმოსვლა გახსნეს, ხოლო აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში გამარტივებული წესით დაიწყეს რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების დარიგება.

იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა შევიწარჩუნოთ და ტერიტორიული მთლიანობა აღვადგინოთ, რომ საბოლოო ჯამში ქართველობა არ დაეკარგოთ, აუცილებელია ჩვენვე - „ბლიყვირელებმა“ ჩვენსავე ყველაზე დიდ სენს - „ბლიყვირელობას“ დაუნდობელი ბრძოლა გამოვეცხადოთ. და უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ჩვენ ჩვენსავე თავს დავამარცხებთ, ამით გამარჯვებულნი ისევე ჩვენვე დავრჩებით ...

და ბოლოს, არ არის გამოირიცხული, რომ რომელიმე მკითხველი ამ წერილის წაკითხვით გაცხადდეს და თავისთვის მაინც თქვას: „ნუთუ მართლა „ბლიყვირელი“ ვარ, რომ ეს „ბლიყვირული“ წერილი წავიკითხეთ?“. მას დასამშვიდებლად ვაწუგებებ - ის მართალია! ამასთან, როგორც წერილის ავტორი, უფლებას ვიტოვებ, ის მაინც არ ვუთხრა, თუ ჩემი პასუხი დასმული შეკითხვის რომელ ნაწილს ეხება.

P.S. ეს წერილი უკვე დაწერილი და „24 საათის“ რედაქციისადმი გადაცემული იყო, როცა რუსული FKYP-ს ქართულ-„ბლიყვირული“ ვერსიის გარშემო ალიაქოთი ატყდა. ნეტა რა გაუჭირდათ ქართველ FKYP-ისტებს? ალბათ, პრეზიდენტის „დასასვენებლად“ გასაგზავნად ფაროსის მსგავს ადგილზე ვერ შეთანხმდნენ, ხოლო „ბლიყვირი“ კი საქართველოს რუქაზე ვერ იპოვნეს ...

„ფულის ბათითრება“ მხოლოდ საბანკო დანაშაულებებში არ ხდება

D3 გვარდიანს

შენარჩუნების გზით საერთო სოციალ-ეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობა უნდა იყოს.

რაც შეეხება კონკრეტულ პარამეტრებს, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით, 2003 წელს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას საფუძვლად დაედება წლიური ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი ხუთი პროცენტის ფარგლებში.

ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკური ზრდისა და ფულის მოთხოვნიდან გამომდინარე, ფულის არაინფლაციურ მიწოდებას დაემყარება. შენარჩუნდება თანდათანობით რემონტიზაციის ტენდენცია იმ ანგარიშით, რომ ფართო ფულის

შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან წლის განმავლობაში 0,5 პროცენტული პუნქტით მაინც გაიზარდოს, ხოლო სამომხმარებლო ფასების ინდექსის მატებამ არ გადააჭარბოს მის მიზნობრივ მაჩვენებელს.

2003 წელს სავალუტო პოლიტიკის პრიორიტეტებად ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა და დოლარიზაციის მასშტაბების შემცირება განისაზღვრა. ეროვნული ბანკის ინტერვენციები განხორციელდება მხოლოდ უცხოური ვალუტაზე მოთხოვნის მეტობის შემთხვევაში, ლარის რეალური გაცვლითი კურსის დინამიკის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ თუ აქამდე, საფინანსო ბაზრებისა და შესაბამისი მონეტარული ინსტრუმენტების შეზღუდულობის გამო, ეროვნული ბანკის პოლიტი-

კა რამდენადმე მოუქნელი იყო, მიმდინარე წლიდან ვითარება საგრძნობლად შეიცვლება - საბანკო სისტემის ლიკვიდურობის ოპტიმალურად მართვისა და ეროვნული ვალუტის, როგორც გადახდისა და ინვესტირების საშუალების მოქმედების არეალის შემდგომი გაფართოების მიზნით, ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს ლარში დენომინირებული ახალი ფინანსური ინსტრუმენტების ათვისებას და უკვე არსებული ინვესტიციები გამოყენებას. მიმდინარე წელს ამოქმედდება კომერციული ბანკებისაგან ვადიანი, მათ შორის, ერთდღიანი დეპოზიტების მიღების წესი, რომელსაც საბანკო სისტემაში ჭარბი ლიკვიდურობის სტერილიზაციისათვის გამოვიყენებთ. დაიხვეწება ეროვნულ ბანკთან არსებული ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის

ფუნქციონირების მექანიზმი. ყოველდღიურად ჩატარდება ერთჯვრიანი საკრედიტო რესურსების აუქციონი. შემოდგომული იქნება ერთდღიანი საანგარიშსწორებო კრედიტების გაცემის პრაქტიკა საპროცენტო განაკვეთების გამოცხადებით და ა.შ.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში უკვე დაიწყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა, რომელიც თავისთავად ქვეყანაში დამატებითი ფინანსური ნაკადების შემოდინებას და საგადამხდელი ბალანსის გაუმჯობესებას გულისხმობს, შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ეროვნული ბანკი მის წინაშე არსებული მიზნების მიღწევას შეძლებს. ასევე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ მოვახერხებთ და შევიწარმუნებთ ლარის სტაბი-

ლურობა გასულ პერიოდში თქვენთვის კარგად ცნობილი თურქეთის საფინანსო კრიზისისა და რუსეთთან გართულებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში, შეიძლება ითქვას, რომ წელს ოპტიმიზმისათვის, ჯერჯერობით, გაცილებით ხელსაყრელი ფონი გვაქვს. თუმცა, აქვე მინდა შევნიშნო, რომ ამჟამად ვაანალიზებთ, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ერაყთან დაკავშირებული მოვლენებმა მსოფლიო საფინანსო ბაზრებსა და, აქედან გამომდინარე, საქართველოზე. ზოგადად, ჩვენი პროგნოზით, ყველა წინაპირობა არსებობს იმისა, რომ საქართველოს საბანკო-საფინანსო სფეროსათვის 2003 წელი, ტრადიციულად სტაბილურად, და არსებითი გართულებების გარეშე ჩაივლის.

ქართველი ფერმერები დაბალპროცენტიანი

სისხვის

მანა ურუხაძე

საქართველოში სოფლის მეურნეობის სუბსიდირებას სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ 11 პროცენტით ახდენს. ეს მაშინ, როცა სხვა ქვეყნებში სოფლის მეურნეობისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ხარჯების ოდენობა გაცილებით მეტია. სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი დავით კირვალიძე კიდევ ერთ პრობლემაზე ამხვილებს ყურადღებას. "იმისათვის, რომ ადგილობრივი ფერმერების წახალისება მოხდეს, დაბალპროცენტიანი, შეღავათიანი კრედიტები უნდა გაიცეს. თანაც, მნიშვნელოვანია, რომ სტიქიური მოვლენებით გამოწვეული დაბალმოსავლიანობის რისკის ფაქტორი, ფერმერებთან ერთად, კრედიტორებმაც გაინანილონ," - აცხადებს კირვალიძე. მინისტრი განმარტავს, რომ თუ ფერმერები დღეს კრედიტებს იღებენ, დიდ რისკზე მიდიან, რადგან თუ მოსავალი არ მოვიდა, ისინი არათუ ხარჯებს ვერ დაფარავენ, არამედ აუნაზღაურებელ ზარალსაც ნახავენ. კრედიტორები კი გვალვებსა და უამინდობას მათ ფორსმაჟორულ პირობად არ უთვლიან.



გია ქაიხოსროშვილს მცხეთაში სათესლე ხორბალი მოჰყავს

"სოფლის მეურნეობის ეფექტურობა მხოლოდ სასურსათო უსაფრთხოების მოგვარებით შემოიფარგლება და არა ბიუჯეტში შეტანილი თანხების ოდენობით," - აცხადებს სოფლის მეურნეობის მინისტრი და წუხს, რომ საქართველოს, როგორც ტრადიციების მქონე აგრარულ ქვეყანას, ამჟამად საკუთარი თავის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა მხოლოდ ადგილობრივი ძალებით არ ძალუძს. "სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს ისიც უშლის, რომ სოფლად არ არის ფერმერების ალტერნატიული დასაქმების საშუალება. გლეხები, რომლებიც სოფლებში ცხოვრობენ და მიწას ამუშავებენ, თუ მოსავალს ვერ მიიღებენ, შიმშილობისთვის არიან განწირულნი - სოფლად ხომ არ არის ინფრასტრუქტურები, სადაც ამ შემთხვევაში ისინი მუშაობას შესძლებდნენ და თავს გამოიკვებავდნენ," - მიიჩნევს მინისტრი.

ობა, არსებული ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარები არ იძლეოდა კონკურენტუნარიანი და მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღების შესაძლებლობას, - იხსენებს ჩაის მრეწველი, - სამი წელი დამჭირდა, რომ ფაბრიკა მომენყო."

ბასილაშვილმა საგრეხი როლები მანქანათმშენებელ ქარხანას მაშინვე შეუკვეთა, მაგრამ დანარჩენი ტექნიკური მოწყობილობისთვის: სახმობი ლუმელი, ნახევარფაბრიკატის დამხარისხებელი მანქანისა და მწვანე ელიტარული ჩაის საფიქსაციო დანადგარის შექმნას სამი წელი მოანდომა. სამაგიეროდ, მოანყო თუ არა ფაბრიკა, პრაქტიკულად, მაშინვე მიიღო სერიოზული შეკვეთა ამერიკის შეერთებული შტატებიდან. "მე მრავალი ნიმუში მქონდა გავზავნილი მითვისის. და აი, 2000 წლის 25 აგვისტოს მოვიდა პასუხი, რომ სამი ნიმუშიდან სამივე მოიწონეს. შემდეგ 2,5 ტონა ჩაი შემიკვეთეს. პარტია გაიგზავნა აშშ-ში და საკმაოდ წარმატებულადაც გაიყიდა," - ყვება ბასილაშვილი. ამერიკულ ფირმას ქართული ჩაის მიმართ ინტერესი არც შემდგომში დაუკარგავს. როგორც გაირკვა, ის დღემდე "საქართველოს თაიგულის" ჩაის ერთგულ კლიენტად რჩება. "ახლა მათგან სერიოზულ შეკვეთას ველოდებით, რადგან მწვანე ჩაის წარმოებაც დაიწყო," - აცხადებს ბასილაშვილი და იმედოვნებს, რომ 2003 წელს აშშ-ში ქართული მწვანე ჩაის მოზრდილ პარტიას გაიტანს.

ბასილაშვილის წარმოებული ჩაით დაინტერესებულია ერთ-ერთი ქართული კომპანია, რომელიც თურქმენეთში ქართული ჩაის ძირითადი გადამმწვანებელია. "მწვანე ჩაი ჩვენ 2002 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მივიღეთ. ახლა დაიწყეთ ელიტარული, მწვანე ელიტარული, მწვანე ოდიზირებული ჩაის წარმოებაც, რომელიც 3 იანვარს წარვადგინეთ პატენტისა და საავტოროს მისაღებად, მივიტანეთ ლაბორატორიასა და ჯანდაცვის სამინისტროში, ადგენენ, თუ

რამდენ ხანს შეინარჩუნებს იოდიზაციას. ამ პროცედურების გავლის შემდეგ კი მისი წარმოება დაიწყო," - აღნიშნა ჩაის მენარმე.

"მე არავითარი ფინანსური მხარდაჭერა არ მქონდა. წარმოების ასამუშავებლად მყავდა ერთი ავტომანქანა, რომელსაც შეველიე. ასევე გავყიდე ახალაშენებული სახლისთვის შეძენილი სამშენებლო მასალა. ეს თანხა მხოლოდ საცდელ და საკვლევ საშუალებად ვყიდე," - იხსენებს ბასილაშვილი. ჩაის წარმოება მან, პრაქტიკულად, 17-18 ათასი ლარით აამუშავა. თუმცა სულ ახლახანს, ანუ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა პირადად გასინჯა "საქართველოს თაიგულის" მიერ ნაწარმოები ჩაი და მოიწონა, ბასილაშვილს 2003 წლისთვის გრძელვადიანი შეღავათიანი სესხის აღების იმედი ჩაუტანა.

ბასილაშვილის სახლის პირობებში გამართული მინი-ფაბრიკაში შეიდი ადამიანია დასაქმებული, ხოლო მისი წარმადობა სეზონზე შავი ჩაისთვის 8-10 ტონას, მწვანე ჩაისთვის კი - 10-12 ტონას აღწევს. "1996-1998 წლებში, როცა ეროვნული ბაზარი უცხოური, კარგად რეკლამირებადი პროდუქციით ჯერ კიდევ ახალი გაჯერებული იყო, ჩემი პროდუქციის რეალიზაცია ძალიან მიჭირდა, - იხსენებს ბასილაშვილი, - პირველ წელიწადს საცდელად ნაწარმოები 300 კილოგრამი ჩაის გაყიდვაც კი გამიჭირდა."

ნითელმთელ ჩაის პლანტატორს საკუთარი პლანტაცია არ გააჩნია, ის მიტოვებული პლანტაციის იჯარით ალებას გეგმავს. "დღესდღეობით მე მაქვს 70-80 ჰექტარი მიწის ნაკვეთი მაქვს. ეს არის კერძო ნაკვეთები, რომლებსაც თვითონ მეჩაიები უვლიან," - აცხადებს ბასილაშვილი. ეს პლანტაციები საგანგებო რეაბილიტაციას არ საჭიროებენ. სამაგიეროდ, ის ამ ტერიტორიაზე წელს 40 ტონა ჩაის მოსავალს ელის. თუმცა, ის ტერიტორია, რაც დღეს პლანტატორის განკარგულებაშია, საკმარისი არ არის. ბასილაშვილი უახლოეს მომავალ-

ში თავისი საჩაიე ტერიტორიის 120 ჰექტარამდე გაფართოებას აპირებს. "არის სოფლები, სადაც გლეხებს აქვთ საჩაიე მიწები, მაგრამ არა აქვთ სახსრები, რომ პლანტაციას მიხედონ, ან რაღაც ალტერნატიული კულტურით ჩაანაცვლონ. ვცდილობ ისინი დავარწმუნო, რომ ჩაის დრო საქართველოში ისევ შემორჩენდება და მისი რეაბილიტაცია უფრო მომგებიანი იქნება, ვიდრე მისი ახალი კულტურით ჩაანაცვლება. ის მიწები ხომ, სადაც ჩაია განლაგებული, სხვანაირი რეაბილიტაციას, მუავიანობის შემონახვას და მოვლას მოითხოვს, ეს კი კიდევ უფრო გაურთულებს მენარმეებს საქმეს," - აცხადებს იგი.

თურმე ჩაის დაფასობასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონია და ნითელმთელ მენარმეს ეს საკითხი სერიოზულად აშფოთებს. "ჩემს მომხმარებლებს სხვა ფირმის დაფასობული პროდუქციის მიღება არ სურს. ამიტომ, მალე ჩვენი შპს-ს სახელით დაახლოებით 10-15 ტონა დაფასოვდება. როცა მე ჩემი მოვახდენ დაფასობას, მექნება ჩაის სარეზერვო რაოდენობაც. ჩემი საფირმო ნიშნით გამოშვებულ ჩაის სოლიდური მომხმარებელი ჰყავს," - აცხადებს ბასილაშვილი და იქვე იხსენებს, რომ თურმე, "საქართველოს თაიგულის" მიერ გამოშვებული ჩაი თავიდან ყველას ინდური ეგონა. ჩაის მენარმე გამოგვიტყდა, რომ თურმე თავად სურდა საკუთარი პროდუქციის სარეალიზაციო სახის ცეილონის ჩაისთვის მიმსგავსება: "ეს იმიტომ, რომ ქართულმა ჩაიმ, მიუხედავად იმისა, რომ ხარისხიანი ფოთოლიც მოიკრიფა და კლასიკური ტექნოლოგიითაც დამზადდა, მაინც ვერ მიიღო ის სახე, როგორც ჰქონდა ცეილონის ჩაის." ამის გამო "საქართველოს თაიგულმა" აქცენტი იმაზე გადაიტანა, რომ ქართული ჩაი არა მხოლოდ ხარისხობრივი, არამედ გარეგნული იერითაც დაემსგავსებინა ცეილონურისთვის.

შემდეგად, ბასილაშვილი დღეს არც მოგებას უჩივის, თუმცა მიიჩ-

ნევს, რომ კარგი ადმინისტრირების პირობებში მდგომარეობის საგრძობლად გაუმჯობესება შეიძლება. "მე ამერიკელს რომ ჩაის სამ დოლარად მივყიდი, ის 50 დოლარად ყიდას. მოვა დრო, როცა ის ჩემგან სამ დოლარად კი არა, 10-ად და მეტად იყიდის. მაშინ ჩაის მკრეფავსაც მეტი შემოსავალი ექნება და წარმოების გასაუმჯობესებლადაც მეტი საშუალებები გაჩნდება," - იმედოვნებს ჩაის მენარმე. ჯერჯერობით, "საქართველოს თაიგულის" მიერ გამოშვებული ჩაის რენტაბელობა 25 პროცენტს აღწევს. ეს, განსაკუთრებით, საქართველოს პირობებში, ბასილაშვილის შეფასებით, "არც ისე ცოტაა", საერთოდ კი, ერთობ წარმატებულ ბიზნესად ითვლება.

საქართველოში საუკეთესო სათესლე ხორბლის მოყვანა შეიძლება

შპს "ალავერდი" 1992 წელს ჩამოყალიბდა და თავიდანვე მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასა და მის გადამამუშავება-რეალიზებაზე იყო ორიენტირებული. მართალია, ათი წლის მანძილზე ფერმა დიდი მოგებით ვერ დაიკვებინა, მაგრამ სამაგიეროდ მან უკვე შესძლო და ძირითადი წარმოების საშუალებებიც შეიძინა. მისი ბოლო შენაძენი მინი-წისქვილკომბინატია, რომლის საშუალებითაც "ალავერდი" საკუთარ მოყვანილ ხორბალს თავადვე ამუშავებს და უკვე მზა პროდუქციის სახით გააქვს ბაზარზე.

"ალავერდს" წარმატების მიღწევაში "აგრობიზნესბანკის" შეღავათიანი კრედიტიც დაეხმარა. ორი წლის განმავლობაში დანადგარებს ფერმა, ფაქტობრივად, ამ კრედიტით გამოყოფილი სახსრებით იძენდა. ეს არის მიზეზი იმისა, რომ დღეს "ალავერდს", სხვა ფერმებისა და ადგილობრივი მწარმოებლებისგან განსხვავებით, ხორბლის რეალიზაცია არ უჭირს. "ტექნიკისა თუ გადამამუშავებელი დანადგარების შექმნით ყოველწლიურად ვამცირებთ ჩვენს ხარჯებს. თუ ამინდმაც შეგვიწყობს ხელი, მალე კარგი მოგებაც გვექნება," - იმედოვნებს "ალავერდის" გენერალური დირექტორი გია ქაიხოსროშვილი.

ფერმაში ორმოცამდე ადამიანია დასაქმებული. გადამამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენები "ალავერდს" იმის საშუალებასაც აძლევს, რომ საქონელიც იყოლიოს. მიუხედავად იმისა, რომ შპს "ალავერდის" გენერალურ დირექტორს გია ქაიხოსროშვილს ხორბალი უკვე რვა წელია, მოჰყავს, დღემდე ცუდი მოსავლის აღების რისკის ფაქტორთან გამკლავება, ფაქტობრივად, შიშველი ხელებით უწევს. "ყველა, ვინც საქართველოში მარცვლოვ კულტურებს აწარმოებს, მხოლოდ ამინდზეა დამოკიდებული," - აცხადებს ფერმერი, - ამ რისკის ფაქტორის შემცირება კი ფერმერთა ძალებს აშკარად აღემატება." განვითარებულ ქვეყნებში ამ რისკს, საქართველოსგან განსხვავებით, საგრძობლად ამცირებს მონესრიგებული საირიგაციო სისტემების არსებობა.

ბაბრძილა DIO გვირდვა

ყველაფერი ფასიანი ქალაქების შესახებ

მიხეილ ჭიჭუაძე

საქართველოს ფასიანი ქალაქების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს სამომავლო მიზნებზე მოსაზრებების ფართო სპექტრი: დაწყებული ასეთი მიზნების არარსებობის მტკიცებითა და დამთავრებული წმინდა იდეოლოგიური კონსტრუქციებით. ჩემის აზრით, საქართველოს მომავალი სტრატეგიული მიზანი ესაა ევროკავშირის წევრობა. ეს მიზანი ემთხვევა საქართველოს ოფიციალურად განცხადებულ კურსს და ის შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

ევროკავშირის წევრობა - ეს ნიშნავს საქართველოში დღევანდელი სახით არსებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრასა და მოსახლეობისათვის ევროპის ქვეყნების ცხოვრების სტანდარტებით უზრუნველყოფას.

ევროკავშირის წევრობა ეს არ არის მარტო მოცემული ქვეყნის პოლიტიკური ნება. ამისათვის არც ის არაა საკმარისი, რომ საქართველო აღიარებულ იქნას დანარჩენი ევროპის მიერ ევროპულ სახელმწიფოდ. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ საქართველო გადამწყვეტ ევროპული ოჯახის წევრობას. მას იქ მიიღებენ და ევროპა უზრუნველყოფს საქართველოსა და ქართველთა ევროსტანდარტებით ცხოვრებას. საკითხი პრიორიტეტად, ევროკავშირის წევრობის კანდიდატმა ქვეყანამ უნდა დააკმაყოფილოს მთელი რიგი მოთხოვნები ევროკავშირში შესასვლელად. სხვანაირად, ჯერ უნდა მიაღწიოს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ცხოვრების დონე და შემდეგ შეიძლება გახდეს ევროკავშირის წევრი.

აღნიშნული მოთხოვნების სისტემას "კოპენჰაგენის კრიტერიუმებს" უწოდებენ. ეს სახელწოდება წარმოსდგება იქიდან, რომ 1993 წელს ევროსაბჭოს შეხვედრაზე კოპენჰაგენში ჩამოყალიბდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებისათვის მოთხოვნათა სისტემა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ევროკავშირის წევრობის მსურველი ქვეყანა.

"კოპენჰაგენის კრიტერიუმები" გულისხმობს ქვეყანაში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის, შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობის არსებობას. აგრეთვე უკიდურესად კონკრეტულ სფეროებში და უკიდურესად კონკრეტულ საკითხებში რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი პარამეტრების არსებობას. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) მოსახლეობის ერთ სულზე, მიწების პრივატიზების მაჩვენებელი და ა.შ. ფასიანი ქალაქების ბაზართან მიმართებაში საინტერესოა, რომ აქციების ვაჭრობისა და ფასიანი ქალაქების ბაზრის კაპიტალიზაციის ნიშმა მშპ-ში შესაბამისად უნდა შეადგინოს არანაკლებ 1,5 და ოთხი პროცენტი.

ჩვენი სტატიის მიზნებიდან გამომდინარე აღნიშნული კრიტერიუმების საქართველოს სინამდვილესთან შედარებასა და შეფასებას მოახდენთ მხოლოდ საკანონმდებლო ბაზასთან დაკავშირებით და ისიც ფასიანი ქალაქების ბაზრის მარეგულირებელ სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით.

ფასიანი ქალაქების ბაზარი, საბანკო საქმესა და დაზღვევასთან ერთად, ქმნიან რა ფინანსური მოსახურების სფეროს, წარმოადგენენ ეკონომიკის ფუნქციონირების იმ ელემენტებს, რომლის გარეშე საბაზრო ეკონომიკის არა თუ კარგად ფუნქციონირება შეუძლებელი, არამედ ის შეუძლებელია არსებობდეს საერთოდ. ეკონომიკის ტრანსფორმაციის



მიხეილ ჭიჭუაძე

პროცესში ფინანსური სექტორი ერთდროულად მიზეზიცაა და შედეგიც, ამასთან, არსად ისე, როგორც ფინანსური მომსახურების დროს, მიწვევლობა აქვს ფსიქოლოგიურ ფაქტორებს - მომხმარებელთა ნდობას. აღნიშნულ ნდობას განსაზღვრავს ამ სექტორის სრულფასოვანი და უსაფრთხო ფუნქციონირება. ამისათვის ქვეყანაში, ფასიანი ქალაქების თვალსაზრისით, უნდა არსებობდეს: ფასიანი ქალაქების ინდუსტრიის განვითარებული ინფრასტრუქტურა; კვალიფიციური, პროფესიული კადრები; ეფექტიანი ზედამხედველობა და კონტროლი; შესაბამისი სამართლებრივი ბაზა.

ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ საკანონმდებლო ბაზა საქართველოში ვაკუუმის პირობებში შეიქმნა. საბჭოთა კავშირის დროს ფასიანი ქალაქების ბაზარი, როგორც ასეთი, მკაცრი გაგებით არ არსებობდა. ფასიანი ქალაქების ბაზრისათვის არ არსებობს გარდამავალი პერიოდი. იგი საქართველოში ხელახლა იწყებს ფუნქციონირებას და ხელახლა ყალიბდება მისი საკანონმდებლო ბაზაც.

საქართველოში ფასიანი ქალაქების სფეროში სამართლებრივი ჩარჩო შექმნილია. ამ სფეროში მარეგულირებელი კანონები: "მენარმეთა შესახებ" (1994), "არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" (1998), "ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ" (1998) საქართველოს კანონები. თუმცა ამ სფეროში კანონმდებლობის ჩამოყალიბების სტადია არ დასრულებულა. არის მთელი რიგი საკანონმდებლო ვაკუუმები. ამასთან, საქართველოში ფასიანი ქალაქების ბაზრის სტიქიური თუ ორგანიზებული ფუნქციონირების ათწლიანი პრაქტიკის განზოგადება აყენებს ასევე უკვე მიღებული კანონების სრულყოფის ამოცანას.

კანონის ადმინისტრირების ზომის მიუხედავად აუცილებელია სრულყოფილი, მონესრიგებული და სამართლებრივი სისტემის შექმნა, რამეთუ თავიდან იქნეს ამორებული გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის ფინანსური პირამიდების მსგავსი ნებისმიერი საფრთხე.

ქვეყანამ უნდა სრულყოფს ის კანონები, რომლებიც მოქმედებენ და მოახდინოს შიდა ჰარმონიზაცია. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს კანონი "მენარმეთა შესახებ" ეფუძნება სააქციო კორპორაციების შესახებ გერმანულ კანონს, ხოლო საქართველოს კანონი "ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ" ანგლო-ამერიკულ კანონმდებლობაზე დაყრდნობითაა შექმნილი. უფრო მეტიც, ერთ-

სა და იმავე წელს მიღებული საქართველოს კანონი "არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" არ არის შესაბამისობაში საქართველოს კანონთან "ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ".

ევროპის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს და ამდენად საკამათო აქ მხოლოდ მისი განხორციელების პრინციპები შეიძლება იყოს.

1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ხელი მოეწერა და 1999 წლის 1 ივლისს მოქმედებაში შევიდა საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება თავისი კანონმდებლობა თანდათანობით შესაბამისობაში მოიყვანოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან. პრიორიტეტებს შორის ფინანსური მომსახურების კანონმდებლობა გამოიკვეთება. აღნიშნული შეთანხმების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით 1997 წლის 2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს. ამავე შეთანხმების რეალიზების მიზნით იქნა მიღებული საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 24 ივლისის N317 ბრძანებულება "საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელების თაობაზე", საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 31 დეკემბრის N1422 განკარგულება "საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგიის შემუშავების შესახებ", საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის N150 ბრძანებულება "ევროკავშირთან თანამშრომლობის საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ".

საქართველომ უნდა განახორციელოს ევროკავშირის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგიის შემუშავების შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის N150 ბრძანებულება "ევროკავშირთან თანამშრომლობის საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ".

საქართველომ უნდა განახორციელოს ევროკავშირის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგიის შემუშავების შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის N150 ბრძანებულება "ევროკავშირთან თანამშრომლობის საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ".

1994 წელს ევროკომისიამ შეიმუშავა ე.წ. "თეთრი ნიგნი" ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს. ამავე შეთანხმების რეალიზების მიზნით იქნა მიღებული საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 24 ივლისის N317 ბრძანებულება "საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელების თაობაზე", საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 31 დეკემბრის N1422 განკარგულება "საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგიის შემუშავების შესახებ", საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის N150 ბრძანებულება "ევროკავშირთან თანამშრომლობის საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ".

1994 წელს ევროკომისიამ შეიმუშავა ე.წ. "თეთრი ნიგნი" ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს. ამავე შეთანხმების რეალიზების მიზნით იქნა მიღებული საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 24 ივლისის N317 ბრძანებულება "საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელების თაობაზე", საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 31 დეკემბრის N1422 განკარგულება "საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგიის შემუშავების შესახებ", საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის N150 ბრძანებულება "ევროკავშირთან თანამშრომლობის საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ".

ესენის შეხვედრამ. "თეთრი ნიგნი" მოცემული იყო ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს. ამავე შეთანხმების რეალიზების მიზნით იქნა მიღებული საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 24 ივლისის N317 ბრძანებულება "საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელების თაობაზე", საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 31 დეკემბრის N1422 განკარგულება "საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგიის შემუშავების შესახებ".

1995 წელს ევროპის საბჭოს მადრიდის შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ევროკავშირის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგიის შემუშავების შესახებ. 1997 წელს ევროპის საბჭომ ლუქსემბურგის შეხვედრაზე მიიწინა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის სტრატეგიის შემუშავების შესახებ. 1997 წელს ევროპის საბჭომ ლუქსემბურგის შეხვედრაზე მიიწინა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის სტრატეგიის შემუშავების შესახებ. 1997 წელს ევროპის საბჭომ ლუქსემბურგის შეხვედრაზე მიიწინა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის სტრატეგიის შემუშავების შესახებ. 1997 წელს ევროპის საბჭომ ლუქსემბურგის შეხვედრაზე მიიწინა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის სტრატეგიის შემუშავების შესახებ.

საქართველოს ევროპულ საკანონმდებლო სივრცეში ინტეგრირება არ უნდა მოხდეს ბრმად. ჯერ ერთი, ევროპაში კანონმდებლობის კოორდინაციის ამოცანა დაისვა უკვე ჩამოყალიბებული ფინანსური ინსტიტუტებისათვის მაშინ, როდესაც საქართველოში ეს უკანასკნელი ჩამოყალიბების სტადიაზეა. მეორე, ევროპის დირექტივები მიიღება მოცემული დროისათვის მოცემული კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად და მუდმივად განახლების სტადიაშია და პირდაპირი გადმოლება საქართველოში ანალიზით შესაბამისი ამოცანის არსებობის დადასტურების გარეშე არ შეიძლება. მესამე, საქართველოში საკანონმდებლო ბაზა არა მარტო ევროპული, არამედ ანგლო-საქსურიცაა და საჭიროა მათი პრინციპების შეჯერება, ეკლექტიზმისა და კოლიზიების თავიდან ასაშორებლად. მეოთხე, გათვალისწინებულ უნდა იქნას კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ის პროცესი, რაც მიმდინარეობს ევროპისა და ამერიკის კანონმდებლობის შორის.

საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობა ფინანსური მომსახურების ფასიანი ქალაქების სექტორთან მიმართებაში ძირითადად შეესაბამება ევროპულ კანონმდებლობას, თუმცა სრული ჰარმონიზაციისათვის საჭიროა ზოგიერთი სამართლებრივი ნორმების დამატება ან ცვლილების შეტანა შესაბამის ნორმატიულ აქტებში. ყველაზე მეტი გასაკეთებელია საკორპორაციო სამართლის სფეროში, განსაკუთრებით კორპორაციული ღიაობის უზრუნველყოფისა და აქციონერთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. სამართლებრივი ჰარმონიზაციის განხორციელების დროს არ შეიძლება შეჩერება მარტო კანონების დონეზე. საქართველოში ფასიანი ქალაქების ბაზარზე "თამაშის წესები" ყალიბდება ნორმატიული აქტების სხვა შერეობით. ესაა თვითრეგულირებადი ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (მაგალითად, საფონდო ბირჟა), დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს - საქართველოს ფასიანი ქალაქების ეროვნული კომისიის (შემდგომში: კომისია) დადგენილებები. ეს უკანასკნელი ერთ-ერთი ყველაზე მობილური მექანიზმია სამართლებრივი საფუძვლების ჩამოყალიბების საქმეში. კომისიის მიერ ფასიანი ქალაქების ბაზრის ინდუსტრიასთან დაკავშირებით მიღებულია 27 წესი. მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება 2002 წელს მიღებული ნორმატიული აქტების (მიღებულ იქნა 14 წესი) შესახებ ინფორმაცია.

2002 წელს კომისიის სამართლებრივი საქმიანობის სფეროში მოექცა ძირითადად ის საკითხები, რომლებიც ეხება კორპორაციული მართვისა და აქციონერთა უფლებების დაცვის პრობლემებს.

საქართველოში კორპორაციული მართვის არასაკმარისი კულტურის გამო ხშირად ირღვევა ისეთი ელემენტარული წესებიც კი, როგორცაა სააქციო საზოგადოებათა მიერ საერთო კრებების ჩატარების საკითხი. აქ საქმე ეხება არა მარტო კრების დროულად ჩატარებას, არამედ საერთოდ ჩატარებას. ხშირად განცხადებები ქვეყნდებოდა ისეთი გაზეთებში, რომლებიც აქციონერებს უტოვებდა ყველაზე ნაკლებ მანის შეტყობის საერთო კრების შესახებ. კომისიის 2002 წლის 15 აპრილის "ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შეტყობინების გამოქვეყნებისა და აქციონერთათვის მოსაწვევთა დაგზავნის პროცედურების შესახებ" წესით დადგენილი უფლებები თუ რომელ გაზეთში იქნება მოცემულ წელს სააქციო საზოგადოებათა საერთო კრების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული. ამასთან, გამსაზღვრელია, რომ საწარმოს აქციონერს 0,5-დან 1 პროცენტამდე წილის მფლობელ აქციონერს საერთო კრების მოწვევის შეტყობინება უნდა გაეგზავნოს ფოსტით, დაზღვეული ნორმით.

ინვესტორთა დაცულობის გაზრდასა და აქციებით ვაჭრობის "ნაცრისფერი ბაზრის" შემცირების მიზნით მნიშვნელოვანია კომისიის 2002 წლის 2 დეკემბრის წესი "საჯარო ფასიანი ქალაქებით არასაბირჟო გარიგების შესახებ". აღნიშნული წესით პირველად ხდება საჯარო ფასიანი ქალაქებით ბირჟის გარეთ ფიგურის დროს სამართლიანი საბაზრო ფასის დადგენის და ფასიანი ქალაქებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის კანონიერების უზრუნველყოფა. აღნიშნული წესით განსაზღვრულია, რომ საბირჟო კომპანიის მემბერო უნდა დაიდოს ისეთი არასაბირჟო გარიგებები, როგორცაა საჯარო ფასიანი ქალაქების ჩუქება, დაგირავება, ნასყიდობა სატენდერო შეთავაზებით, მსხვილი პაკეტის ნასყიდობა, იმ საჯარო ფასიანი ქალაქების მიწოდება, რომლებიც არაა სავაჭროდ დაშვებული საფონდო ბირჟაზე. აღნიშნული წესი მკაცრ აქციონერებს თავიდან აააცილებს ბევრ პრობლემას და გააიფხვებს (ლიგალიზებასთან ერთად) აქციონერთა დაკავშირებულ პროცედურებს. იხსნება საბირჟო მომსახურების აუცილებლობა და სხვ.

აქციონერთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი იყო კომისიის 2002 წლის 2 დეკემბრის წესი "ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქალაქების მფლობელების უფლებებისა და მათ მიმართ მმართველი ორგანოს წევრების ვალდებულებების შესახებ". ეს წესი მნიშვნელოვნად აამაღლებს ე.წ. ნებაყოფლობითი თანამდებობის პირების - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეებისა და წევრების პასუხისმგებლობას. შემოღებულ იქნა პერსონალური პასუხისმგებლობა საწარმოს ფასიანი ქალაქების მფლობელთა უფლებების დაცვაზე და სამართლებრივად განსჯადი გახდა სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრების ქმედებები.

ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ზრდის ღიაობისა და საჯაროობის დონეს ფასიანი ქალაქების ბაზარზე მიმდინარე ოპერაციებთან დაკავშირებით. გარდა იმისა, რომ საფონდო ბირჟაზე გარიგების შესახებ ინფორმაცია საჯარო ხდება იმავე დღეს, კომისიის წესებით ღია ინფორმაცია კორპორაციებში სუით და მეტი პროცენტის მქონე მესაუბრეებზე, კორპორაციების ანგარიშებში მოცემულ მონაცემებზე. ღიაობა კი კორპორაციებზე საზოგადოებრივი კონტროლის საუკეთესო საშუალებაა, ზოგჯერ უფრო მოქნილი და ეფექტური, ვიდრე სახელმწიფო ზედამხედველობა.

აღმოსავლეთი იზურჩენა

ჩინური ეკონომიკური სასწაულის შესახებ

მეორე სტარა

ჩინეთში ისევ ძველებურად მღერიან: "ნითლად ინთება აღმოსავლეთი", მაგრამ ტიანანმენის მოედანზე მავზოლეუმში დაბრძანებული მათი მუშია მინც ბრუნავს თავის სარკოფაგში. "დიდი ბელადი" ხედავს, რომ მისი აღმოსავლეთი სულ უფრო მწვანდება, და ეს მწვანე ფერი - ამერიკული დოლარის ფერია. "დიდი ბელადის" თეორია "ქალაქის მტაცებლის" შესახებ სრულიად მოულოდნელი ფორმით ახდა - პატარა მწვანე ქალაქის სახით. მოვიყვან მხოლოდ სამად სამ "ნოკაუტში ჩამგდებ" (ციფრის: უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში უცხოურმა ინვესტიციებმა ჩინეთში 600 მილიარდი დოლარი შეადგინა. სახეზეა ინვესტიციების მზარდი დინამიკა. გასულ 2002 წელს მან რეკორდულ 55 მილიარდ დოლარს მიიღწია. დაბოლოს, მესამე ციფრი - შეერთებულ შტატებთან ცალმხრივი ვაჭრობის შედეგად ჩინეთში მხოლოდ გასულ წელს აკუმულირდა ნახევარი ტრილიონი დოლარი! ეს ციფრები უკვე თავისთავად გამოაგონებელია. შეადარეთ ისინი რუსეთის ანალოგიურ მონაცემებს და მაშინვე მიხვდებით, რა გიგანტური ნახტომი გააკეთა ამ აღმოსავლურმა ქვეყანამ. ჩინეთის ეკონომიკა უკვე მეორე ადგილზეა აზიაში (იაპონიის შემდეგ) და მეოთხეზე - მსოფლიოში (აშშ-ს, გერმანიის და იაპონიის შემდეგ).

ჩინურმა ექსპორტმა 2001 წელს 266,2 მილიარდი დოლარი შეადგინა. 2002 წლის საბოლოო მონაცემები ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, მაგრამ უკვე ნათელია, რომ ისინი ბევრად აჭარბებს წინა წლის შედეგებს. დღეისათვის ჩინეთი აწარმოებს ჩვენს პლანეტაზე გაყიდვაში არსებული ყველა ფოტოკამერის 50 პროცენტს, კონდიციონერებისა და ტელევიზორების 30 პროცენტს, სარეცხი მანქანების 25 პროცენტს, მაცივრების 20 პროცენტს. ევროპის ტერიტორიაზე არსებული ყველა მიკროტალღური ლუმენის 40 პროცენტს მხოლოდ ერთი ჩინური კომპანია - "გუანდუნ გალანც ენტერპრაიზ გრუპ კო" - აწარმოებს. ხოლო ჩინეთის აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ვენჩოუში იწარმოება მთელ მსოფლიოში გავრცელებული მეტალის საწარმოების 70 პროცენტი! ასე რომ, ჩინეთი ცეცხლს უკიდებს სპლანეტას არა მარტო გადატანით, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) შესვლით ჩინურმა ექსპორტმა ახალი სტიმული შეიძინა, ვინაიდან შემცირდა სავაჭრო ტარიფები, წარმოების ხარჯები და ზოგიერთი სავაჭრო-სავაჭრო ბარიერები. მსო-ში ჩინეთის განვითარება ხელი შეუწყო უცხოური ინვესტიციების ზრდას, ახალ წარმოებათა შექმნას და გაძლიერებას, ჩინური ინდუსტრიის ზოგიერთ დარგს ზედმეტად მწარმოებლობასაც კი. ლოგო "Made in China" ნალექა მსოფლიო.

ჩინური ეკონომიკური სასწაული კიდევ ერთი დადასტურებაა იმ ფაქტის, რომ ამქვეყნად სასწაულები არ ხდება. ყველა სასწაულს თავისი ახსნა აქვს. დავინყებ მაგალითით, რომელიც "უოლსტრიტ ჯორნალს" მოჰყავს. იგი ეხება ჩინეთსა და კონცერნ "ფილიპს ელექტრონიკს" შორის არსებულ



პეკინი. ტიანანმენის მოედანი

საქმიან ურთიერთობას. "ფილიპსმა" ჩინეთის რეგიონში ნიადაგის მოსინჯვა დაიწყო. მის ამოცანას წარმოადგენდა - ეწარმოებინა პროდუქცია ჩინეთში (პრინციპით - "ფილიპსის" ტექნოლოგია პლუს იაფი სამუშაო ძალა) და იქ გაეყიდა. "ფილიპსი" ოცნებობდა ჩინეთის უზარმაზარ ბაზარზე, რომელიც ხარბად ნთქავს მის რადიომიწოდებებსა და ელექტროუთოებს. მაგრამ მალე გამოიჩინა, რომ პლუსი - იაფი მუშა ძალა - იძლევა მინუსს - ლატაკ მომხმარებელს, რომელსაც არა აქვს მის მიერვე წარმოებული პროდუქციის შექმნის საშუალება. მაშინ "ფილიპსმა" მკვეთრად შეცვალა სტრატეგია. მან თავისი ქარხნები ჩინეთში დატოვა, მაგრამ პროდუქციის გაყიდვას აშშ-ში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში შეუდგა.

ამჟამად "ფილიპსს" 23 საწარმო აქვს ჩინეთში, და მათში წარმოებული პროდუქციის ორი მესამედი ექსპორტში მიდის (პროდუქციის საერთო ღირებულება - 5 მილიარდი დოლარი წლიურად). 23 საწარმოდან 6 მთლიანად "ფილიპსს" ეკუთვნის, დანარჩენი - ერთობლივია. აღნიშვნის ღირსია კავშირი "ფილიპსსა" და მის მთავარ ჩინელ კონკურენტს, ტელევიზორების მწარმოებელ "TCL LTD"-ს შორის. გასულ წელს "ფილიპსმა" დაიწყო ფაბრიკის (77 მილიონ დოლარად ღირებულებული) მშენებლობა, რომელმაც უნდა აწარმოოს მოდულური დისპლეები - ეკრანები ჯიბის - "ნიგნაკი" კომპიუტერებისათვის, მონიტორები და ტელევიზორები. თუ ამ წამოწყებას წარმატება ხვდა წილად, "ფილიპსი" აპირებს სამხრეთ კორეაში მდებარე ყველა თავისი ანალოგიური საწარმოს პერეზიდენტობას ჩინეთში. "ფილიპსის" საბოლოო მიზანია - მსოფლიო ექსპორტისათვის წარმოების ძირითად ბაზად ჩინეთი აქციოს. უკვე 2001 წელს "ფილიპსის" პროდუქციის 20 პროცენტი "Made in China" იყო. ეს ციფრი სწრაფად იზრდება, რის შედეგადაც "ფილიპსის" CD-ს დრაივები და DVD ფლეიერები კეთდება მხოლოდ ჩინეთში.

"ფილიპსისგან" გაკვალულ გზას დასავლეთის სხვა კომპანიებიც გაჰყვებიან. როგორც "უოლსტრიტ ჯორნალი" წერს, "დღეს ძნელია დაასახელო გლობალური ბაზრის ისეთი ნომენკლატურა, რომელიც ჩინეთში არ აწარმოებს. ბევრი უცხოური ფირმა იძულებულია აწარმოოს თავისი პროდუქცია ჩინეთში, ან გაზარდოს მისი შესყიდვა ჩინეთისაგან. ჩინეთი მთელი პლანეტის საწარმოო ცეხად იქცა. მისი მრეწველობა იმდენად მასობრივი და განტოტვილია, რომ უკვე მთელ მსოფლიოზე დეფლაციურ პრესინგს ახდენს - ტექსტილიდან ტელევიზორებამდე, ტელეფონებიდან სოკობამდე". ხოლო "მორგან სტენლის" ეკონომისტის - ენდი ჰაისის სიტყვებით, "ჩინეთის, როგორც წარმოების ბაზის, ზრდა მსოფლიო ეკონომიკაზე ისეთივე გავლენას მოახდენს, როგორც თავის დროზე აშშ-ს ინდუსტრიული რევოლუციამ იქონია და, შესაძლებელია, უფრო მეტსაც".

ჩინეთის ხელმძღვანელობა თანმიმდევრულად ამსუბუქებს ექსპორტის წესებს როგორც უცხოური კომპანიების, ასევე ჩინური კერძო ფირმებისათვის. ქვეყნის წარმოების ზრდა უკვე გაკვალული გზით მიემართება. ახალი პროდუქცია ბაზარზე თავიდან უცხოურ კომპანიას გამოაქვს. გარკვეული დროის შემდეგ (არა უმეტეს რამდენიმე თვისა) მის წარმოებას უკვე მრავალი ადგილობრივი საწარმო ითვისებს. ფასები დაბლა ეცემა და მწარმოებლები - უცხოელები თუ ჩინელები, ერთიანდებიან რა, იწყებენ თავიანთი პროდუქციის ექსპორტში გაშვებას. ამ ციკლს, სტიმულირებული კონკურენციით, ორივე მხარისათვის დიდი მოგება მოაქვს, ჩინეთისათვის კი დამატებით - თანამედროვე საწარმოო ტექნოლოგიები. ვინაიდან სამუშაო ძალა ჩინეთში ძველებურად იაფია, ხოლო მისი წყარო, პრაქტიკულად, ამოუწურავია, კომპანიებს შეუძლიათ არა მარტო აკონტროლონ პროდუქციის ღირებულება, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, მკვეთრად დაწიონ იგი.

ჩინეთი გადავსებულია დიდი ბიზნესის წარმომადგენლებით: ამერიკული "ჯენერალ ელექტრიკი", იაპონური "ტოიობა", გერმანული "სიმენსი", სამხრეთკორეული "სამსუნგ ელექტრონიკსი", ტაივანური "ასერ", რომელიც პერსონალურ კომპიუტერებს აწარმოებს... მოკლედ, ვეძახები: "ჯენერალ მოტორსი" ჩინეთიდან ფილიპინებზე ექსპორტში უშვებს საოჯახო ავტოფურგონებს, რომლებიც შანხაის ერთობლივ საწარმოში იწარმოება (ფაბრიკის ღირებულება 1,5 მილიარდი დოლარია). ამჟამად "ჯენერალ მოტორსი" ემზადება აზიის ქვეყნებში მინიპიკაპების ექსპორტისათვის, რომლებიც ასევე ჩინეთში დამზადდება.

ფრიად საინტერესოდ ვითარდება ჩინურ-ამერიკული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. ამერიკული ბაზარი ყველაზე დიდი და ტყვედია მსოფლიოში. და ის, ბუნებრივია, ჩინეთიდან იმპორტს იზიდავს. ამ თვალსაზრისით, პროდუქცია "Made in China" სულ უფრო და უფრო შორს ჩამოიტოვა საქონელი ნიშნით "Made in Japan". ამასთან, თუ ეს ადრე მხოლოდ ტექსტილსა და სათამაშოებს ეხებოდა, ახლა ლაპარაკია სრულიადაც არა სათამაშო ნივთებზე, როგორცაა კომპიუტერები და DVD ფლეიერები. გასული წლის მხოლოდ ივლისის თვეში ჩინეთმა ამერიკის ბაზარზე გაყიდა 1,2 მილიარდი დოლარის ელექტრონიკა (ექსპორტის დინამიკის საილუსტრაციოდ - იმავე წლის ივნისში გაყიდულ იქნა 12,5 პროცენტით ნაკლები). მაღალი ტექნოლოგიების (და არა "მატრიოშკების") ექსპორტი აშშ-ში ჩინეთის ექსპორტის ყველაზე სწრაფად მზარდი პრიორიტეტია (2002 წელს - 47 პროცენტით მეტი, ვიდრე 2001 წელს). აშშ-ს ვაჭრობის სამინისტროს მონაცემების თანახმად, ჩინური ტელევიზორებისა და აუდიო სისტემების ექსპორტი შეერთებულ შტატებში 1998-2001 წლების შუალედში გაიზარდა 13 პროცენტით, ხოლო 2001 წელს - 6 მილიარდი დოლარით. ინსტრუმენტებისა და დაზგების ექსპორ-

ტი ყოველწლიურად საშუალოდ 23 პროცენტით იზრდება (2001 წელს 1,5 მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინა). ჩინური ექსპორტის ზეწოლის შედეგად აშშ-ში საცალო ფასები სტაბილურად ეცემა: ტელევიზორებისა - საშუალოდ 9 პროცენტით წლიურად, დაწყებული 1998 წლიდან; სპორტული ინვენტარისა - 3 პროცენტით წლიურად; ინსტრუმენტებისა - 1 პროცენტით და ა.შ. რასაკვირველია, აშშ-ში ფასების დაცემას სხვა მიზეზებიც გააჩნია - ნატრა-ს მონაწილეობა, ევროპული ინტეგრაცია, შრომის მწარმოებლობის ზრდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად, ამერიკული ეკონომიკის დაქვეითება, რამაც ზედმეტი პროდუქციის არსებობა განაპირობა, და სხვა. მაგრამ წამყვანი ადგილი ამ სიაში ჩინურ ექსპორტს უჭირავს.

სწორედ ის არის დეფლაციური პრესის მთავარი ძალა. მაგალითისათვის ისევ "უოლსტრიტ ჯორნალს" მივმართავ. გაზეთში მოთხოვნილია ისტორია კომპანიისა "ნიშენელ პრესტო ინდასტრიზ", რომელიც სამხარეულოს მონოპოლიზტებს აწარმოებს. 1998 წლიდან 2001 წლამდე ამავე ნომენკლატურის ჩინური ექსპორტი ორჯერ გაიზარდა და 640 მილიონი დოლარი შეადგინა. "ჩინური სამხარეულოს" შემოტევის შედეგად "ნიშენელ პრესტო" იძულებული გახდა, თავის პროდუქციას საცალო ფასები საშუალოდ 49,99 დოლარიდან 29,99 დოლარამდე დაეწინა. ამაში გასაკვირი არაფერია. საკვირველი, აი, რა არის - კომპანიამ გადამწყვიტა, დახუროს თავისი ფაბრიკები მისისიპის და ნიუ-მექსიკოს შტატებში და... გადაიტანოს ჩინეთში. მოკლედ, ძველი ფორმულის მიხედვით - "თუ არ შეგიძლია დაამარცხო, მონიხააღმდეგის მხარეზე გადადი". "საწარმოთა გაქცევის" შესახებ ერთმა ჩემმა პარეზარდელმა კოლეგამ სვედიანად იხუმრა: "თუ ეს ტენდენცია ტრადიციად იქცა, მალე ჩვენი ეკონომიკა ჩინეთის მძევლად იქცევა. ომის შემთხვევაში ჩვენ მის დაბომბვასაც ვერ შევძლებთ, საკუთარ თავს ხომ არ ვესკვრი!"

ჩინურ ექსპორტთან დაკავშირებით შეერთებულ შტატებში გაორებული დამოკიდებულება არსებობს. სამუშაო ადგილების დაკარგვა საწარმოებში, რომლებიც ანალოგიურ პროდუქციას აწარმოებენ, ამერიკულ პროდუქციის მიმართული აიძულებს, დაიზინყონ "პროდუქტარული სოლიდარობა" და გახდნენ იზოლაციონისტები. სამაგიეროდ, ამერიკელი მომხმარებელი კმაყოფილებით იფუნქტს ხელებს. ჩინური საქონელი არა მარტო უფრო იაფი, არამედ უკეთესიც გახდა. როგორც ჩვენში ამბობენ, "მსოფლიოს სტანდარტების დონეს შესაბამება". ამჟამად "Made in China" - არა მარტო სიი-აფის, არამედ ხარისხის ნიშანიცაა და მის აფიშირებას არ ერიდებიან ყველაზე პრესტიჟული ფირმები - უმაღლესი ტექნოლოგიებიდან უმაღლეს კულტურებამდე.

ჩინური ექსპორტის ნაბიჯები აზანზარებს არა მარტო შეერთებულ შტატებს, არამედ იაპონიას, სამხრეთ კორეას და აზიის სხვა "ვეფხვებს". "ფუჯი ქსეროქსმა", რომელმაც 80-იან წლებში თავისი ფილიალი გახსნა შანხაიში, მალე ჩინურიდან მსოფლიო ბაზარზე გა-

ადმოსავლეთი იფურჩენა

09 გვარდობა

დაინაცვლა. შემდეგ კიდევ ერთი ქარხანა ააშენა შენჩინში და ამაჟამად ლაზერულ პრინტერებს აწვდის ტრიუმფირატს - "ინტერნემენელ ბიზნეს მემბერს", "დელ კორპორაციონს" და "ეფლ კომპიუტერს".

და მაინც, არა იმდენად ეს ფაქტი, რამდენადაც საავტომობილო ბიზნესი წარმოადგენს იმის ნათელ მაგალიტს, თუ როგორ ამარცხებს ჩინეთი თავის კონკურენტ-ექსპორტიორებს მათივე იარაღით. "ჰონდა მობილი" "გუანჩუ" აუტო კორპორაციონთან და ჩინეთის სიდიდით მეორე საავტომობილო კომპანიასთან "დონგფენი მობილი" ერთად ჩინეთში ქმნის ერთობლივ საწარმოს, რომელიც მთლიანად ექსპორტზეა ორიენტირებული. 2002 წლის სექტემბერში "ფორდ მობილსმა" განაცხადა, რომ აპირებს სათადარიგო ნაწილების ჩინეთში შესყიდვის მნიშვნელოვნად გაზრდას - 2003 წლიდან დაწყებული, ყოველწლიურად 1 მილიარდი დოლარით. "ჯენერალ მობილსმა" უკვე შეიძინა ჩინეთში 1 მილიარდი დოლარის სათადარიგო ნაწილები და აპირებს ამ თანხის მნიშვნელოვნად გაზრდას. შეკვეთებს მიიღებს "დელფი კორპორაციონი", "ჯენერალ მობილსმა" ყოფილი ფილიალი, და "ვისტონ კორპორაციონი", "ფორდის" ყოფილი მთავარი აგებელი. ახლა ეს კორპორაციები ჩინეთში მოღვაწეობენ. "დელფის" იქ ცხრა ერთობლივი საწარმო გააჩნია, რომლებშიც 400 მილიონი დოლარის ინვესტიციები აქვს ჩადებული, და ორი - "სუფთა თავისი" საწარმო. ეს 11 ქარხანა აწარმოებს ყველაფერს - ავტომობილების რადიოებს, კონდიციონერებს, კონსერვტრებს.

სავაჭრომობილო სათადარიგო

ნაწილების ბიზნესში დიდ როლს ასრულებს აზიის სტრატეგიული ინვესტიციების კორპორაცია ("აზინკო"), რომელიც უოლ-სტრიტელმა ბანკირმა ჯეკ პერკოვსკიმ დააფუძნა. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში "აზინკომ" ჩინეთში შეისყიდა და რეკონსტრუქცია ჩაუტარა ავტოსათადარიგო ნაწილების 15 საწარმოს. ეს საწარმოები ამჟამად ძალიან აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა შეკვეთის შესახებ ინტერნეტით გამართულ აუქციონებში და იღებენ შეკვეთებს ამერიკული ავტოკონცერნებისგანაც, რომლებიც ხარჯების შემცირებით არიან დაინტერესებული. რიგითი ამერიკელი მომხმარებლისათვის "Made in China" - ეს არის, პირველ რიგში, სუპერმარკეტების ქსელი. ისეთი ტიტანები, როგორცაა "ტარგეტ კორპორაციონი" და "ვოლ-მარტ სტორს ინკ", პირდაპირ "შეერთებული ჩინური ონკანზე". მათი დახლები "Made in China"-ნიშნისაა საქონლით გადასებული. "ვოლ-მარტ"-ის საწარმოებში ყოველწლიურად 10 მილიარდი დოლარის ჩინური საქონელი შედის. 2002 წლის თებერვალში "ვოლ-მარტმა" ჩინეთში შემსყიდველი ცენტრი დააარსა, რათა მისი საქონელი პირდაპირ აშშ-ში მიემართებოდეს. "ჯენერალ ელექტრიკი", რომელმაც 2001 წელს ჩინეთში 1,6 მილიარდი დოლარის საქონელი შეიძინა, აპირებს უახლოეს სამ წელიწადში წლიურ 5 მილიარდამდე გაზარდოს თავისი შესყიდვები ჩინეთში, ჩინური წარმოების მაცივრებისა - GE და ელექტროგენერატორების ჩათვლით.

ახლა კი დროებით ჩინეთიდან ამერიკულ ფლორიდაში გადავინაცვლოთ, სადაც, მკითხველს შევახსენებ, გუბერნატორია პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ძმა - ჯეჯ ბუში.

ახლახან, ვერ გაუძლო რა ჩინურ კონკურენციას, გაკოტრდა ბატარეების მწარმოებელი ფირმა ჰეისვილში - "მოლტეკ პაუერ სისტემს". კოორდინატორი, ბუშის ტენისურ რანჩოზე ამერიკის და ჩინეთის პრეზიდენტების შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე, დიდად პატივცემულმა სტუმარმა პეკინიდან 13 ამერიკულ ფირმასთან გააფორმა კონტრაქტი, ფლორიდაში "მოლტეკის" ჩათვლით (როგორც ჩანს, ოფიციალურმა პეკინმა მშვენიერად იცის, ვინ გუბერნატორობს ფლორიდაში). ეს ფირმა, თავისი 20-მილიონიანი საბრუნავი კაპიტალით, ნამდვილი ლიფსიტაა ისეთ ვეშაპებთან შედარებით, როგორებიცაა "ექსონ მობილი" და "აიპიზერ-ბუში". ოქროს თევზიც პატარაა, მაგრამ... ეს ფირმა მნიშვნელოვანია არა იმიტომ, რომ აწარმოებს ბატარეებს ელექტროველოსიპედებისათვის, რომლებიც სულ უფრო პოპულარული ხდება ჩინეთში. როგორც "მოლტეკის" პრეზიდენტი მარტინ ჰეისვილი ამბობს, "ჩინელებს სულ ცოტა რამ სურთ - ტექნოლოგია, ნოუ-ჰაუ, ალტერნატივა, მენეჯმენტი და კლიენტების სოლიდური ბაზა აშშ-ში". უკანასკნელ ხანებამდე პეკინი ატარებდა ტაქტიკას "hit-and-run" ("თავდასხმა-გაქცევა") - ის ეძებდა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ამერიკულ ფირმებს, ხელში იგდებდა მათ ტექნოლოგიას და ალტერნატივას და "აორთქლებდა". მაგრამ "მოლტეკის" შემთხვევაში კი თავსაც დაესხა და დარჩა კიდევაც, თუმცა ისევ დაარღვია "პროლეტარული სოლიდარობა" და შტრეიკერებრივად გახდა. "მოლტეკში" მუშაობენ დაბალი ანაზღაურების მქონე მექანიკელები. მუქარით, რომ კიდევ უფრო იაფ ჩინელებს დაიჭირებდნენ, მექანიკელებს შეუშვირეს ისედაც მიზერული ხელფასი

და ჩამოართვეს ისეთი პრივილეგიები, როგორცაა უფასო საუზმე და სამუშაოზე ავტობუსით უფასო მგზავრობა.

"მოლტეკი" - პირველი მერცხალია. დენი ფრენკი, საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი ამ ფირმაში, ამბობს: "ყიდულობს რა ფირმებს აშშ-ში, ჩინეთის მთავრობა, იაპონიის მსგავსად, სტრატეგიული მოსაზრებებით ზრდის აქ თავის გავლენას. მის ინტერესებს სულ უფრო მეტად გაითვალისწინებს კონგრესი და ადმინისტრაცია, ვინაიდან საქმე ეხება უკვე არა უცხოური, არამედ ადგილობრივი კადრების დასაქმებას". ჟურნალი "ტაიმში" დაიბეჭდა სტატია "ჩინეთი ფლორიდაში შეიჭრა", რომელიც ილუსტრირებულია ძველებური გრაფიკით, მასზე ტროას ცხენის გამოსახულებით. სტატიაში დაუფარავი შიშით არის საუბარი, რა შეიძლება მოხდეს, თუ აშშ-თან ცალმხრივი ვაჭრობის შედეგად მიღებულ 500 მილიარდ დოლარს ჩინეთი ამერიკული საწარმოებისა და ფირმების, აგრეთვე, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესაძენად გამოიყენებს. ჟურნალი "აშშ-ს ეკონომიკაზე ჩინეთის შესაძლო კონტროლის" შესახებაც კი აკეთებს პროგნოზს.

გარაუდობს რა ამერიკული კომპანიების ახალ ვიზიტებს ჩინეთში და შემხვედრ მოძრაობას პრინციპით "თავს დაესხა და დარჩა", ჩინეთის ქალაქებში სამშენებლო ბუმი. სამხრეთის ქალაქ ჩჟენჯინიდან ჩრდილოეთით პეკინამდე ქვეყანა ხარაჩობით და აშენებით არის დაფარული. CEIC-ის და "მორგან სტენლი რისერჩის" მონაცემებით, იქმნება ასობით მილიონი კვადრატული ფუტი მრავალსართულიანი საცხოვრებელი და საოფისე შენობები. 2001 წელს მშენებ-

ლობა გაიზარდა 30 პროცენტით, 2002 წლის პირველ ნახევარში - 16,6 პროცენტით. პეკინში 2002 წლის პირველ ნახევარში ინვესტიციები ქალაქის მშენებლობაში გაიზარდა 41,9 პროცენტით და შეადგინა 2,66 მილიარდი დოლარი.

2002 წლის მესამე კვარტლის ჯამური მაჩვენებელი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ "აღმოსავლეთის გამწვანება" გრძელდება. ეკონომიკა იზრდება 8,1-პროცენტით ტემპით. და ეს მსოფლიოში, განსაკუთრებით - აზიის ქვეყნებში, ვარდის ფონზე. ექსპორტი გაიზარდა 19,4 პროცენტით, იმპორტი - 17,2 პროცენტით. დეფლაციის მიუხედავად, საცალო ვაჭრობა გაიზარდა 9,1 პროცენტით. აზიის ქვეყნები სულ უფრო მეტ ყურადღებას აპყრობენ ჩინეთს. 2002 წლის პირველ რვა თვეში სამხრეთ კორეის ექსპორტი ჩინეთში გაიზარდა 42 პროცენტით, მალაიზიის - 38, ხოლო სინგაპურის - 31 პროცენტით. ტაივანის ექსპორტი მხოლოდ სექტემბრის თვეში გაიზარდა 171 პროცენტით!

ჩინეთის "გამწვანების" თავისებურ სერტიფიკაციად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ჟურნალი "ფორბსი" უკვე მეოთხე წელია ზედიზედ აქვეყნებს ჩინეთის ასი ყველაზე მდიდარი ბიზნესმენის სიას. ჟურნალის მიხედვით, მათი 25 პროცენტი ჩინეთის კომპარტიის წევრია. მეორე მხრივ, "ფორბსი" თვლის, რომ ჩინეთის 1,2-ტრილიონიანი (დოლარებში) ეკონომიკის მესამედს კერძო სექტორი შეადგენს.

ეს ყველაფერი თვითმფრინავიდან, თუნდაც პრეზიდენტისა იყოს, რომლითაც ამას წინათ ვლადიმირ პუტინმა იმოგზაურა პეკინში, რა თქმა უნდა, არ ჩანს. და, მიუხედავად ამისა, დაფიქრების საბაზი არსებობს. თანაც სერიოზული.

ქართველი ფერმერები დახალკროცენტიანი სისხლის არარსებობას ურიცხვან

07 გვარდობა

"ყველაფერს მოველება, გარანტირებული სადაზღვევო სისტემა რომ არსებობდეს და გლეხი მოსავლის გვალვებითა და უამინდობით გამოწვეული კარგებისგან რომ იყოს დაზღვეული," - ჩივის ქაიხოსროშვილი. ის იხსენებს, რომ ამ ათიოდე წლის წინ გლეხების დაზღვევის სისტემა ისევე მუშაობდა, როგორც სხვა განვითარებულ ქვეყნებში. თუმცა მოგვიანებით, რაც სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია გაკოტრდა და ქართველ ფერმერთა ვალები გაიყოლა თან, ვითარება მართლაც სავალალო გახდა. "მე ჩემი მიწები სეტყვისგან და გვალვისგან დავაზღვეე. თანაც ვადავიხადე, მაგრამ კომპანია ვალდარ ამინაზღაურა. ამ ორგანიზაციას ჩვენი დაახლოებით 34 ათასი ლარი მართებდა. ეს თანხა 1997 წელს დაფიქსირდა. სწორედ მაშინ გაკოტრდა ეს კომპანია, დააფიქსირა ეს ვალი, რომელიც სასამართლომაც აღიარა, დააკისრა გადახდა, მაგრამ ვინ ამოიღებს დღეს ამ ფულს?" - წუხს ფერმერი. მისი თქმით, ამ ფაქტის შემდეგ არც ერთი კერძო კომპანია აღარ აზღვევს თავის მიწებს. შედეგად, ფერმერთა რისკის ფაქტორიც დიდია, რადგან გლეხს სტიქიური მოვლენებით გამოწვე-

ული ზარალის დაფარვის შანსი არსაიდან აქვს.

მეორე მთავარი პრობლემა, რომელიც მარცვლეული კულტურების მოყვანით დაკავებულ ფერმერებს აწუხებს, ხარისხიანი ტექნიკის ნაკლებობაა. "ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავე იდება ამ სამი-ოთხი წლის წინათ, როდესაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის არქონის გამო ფერმერებმა უკვე მოყვანილი მოსავალი ვეღარ აიღეს," - იხსენებს გია ქაიხოსროშვილი. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ დღეს საქართველოში ტექნიკის მხრივ დადებითი ძვრები უკვე შეინიშნება და ეს, უმთავრესად, იაპონიის ხელისუფლების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი ტექნიკური დახმარების შედეგია.

"იაპონური გრანტის ფარგლებში საქართველოში შემოვიდა 112 ერთეული კომბაინი, წელს კიდევ 120 შემოვა. ტექნიკის ამ რაოდენობამ, პრაქტიკულად, მთლიანად მოიცვა ჩვენს ქვეყანაში მოსავლის აღების ფართობი," - განაცხადა ფერმერმა. მაგრამ, სამაგიეროდ, სხვა სახის ტექნიკის ნაკლებობას, ტრაქტორები თავისი მისაბმელებით და ა.შ., რომლის საშუალებითაც მიწის დახვნა-დაამუშავება უნდა მოხდეს, ქვეყანა ისევ განიცდის.

თავად შპს "ალავერდის" მინები 200 ჰექტარ მიწას მოიცავს და

მას სეზონზე ერთი კომბაინი თავისუფლად ჰყოფნის. სამაგიეროდ, მარტო შირაქსა და დედოფლისწყაროს რაიონში 40 ათასი ჰექტარი ითესება, რასაც მოვლა და აღება სჭირდება. იაპონური დახმარების ფარგლებში შემოსულმა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკამ კი საქართველოს, სწორედ რომ, "სულზე მოუსწრო". "მოგახსენებთ, თუ რა კაპიტალის მქონეები არიან ჩვენი ფერმერები ან გლეხები. მათ ძვირადღირებული ტექნიკის შესყიდვა არ შეუძლიათ. ამის საშუალება არც ბიუჯეტს აქვს. ამიტომ, იაპონიის მთავრობამ, პრაქტიკულად, განახლა და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარკი," - კმაყოფილებას გამოთქვამს "ალავერდის" გენერალური დირექტორი. როგორც გაიჩქვია, იაპონური გრანტის სახით, შეღავათიან ფასად შემოსული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას სოფლის მეურნეობის სამინისტრო ადგილობრივ ფერმერებზე ჰყიდის. დამკვიდრდა სხვაგვარი პრაქტიკაც: ფერმერები ერთიანდებიან, ერთად ყიდულობენ ამ ტექნიკას და შემდეგ აჭირავებენ.

მაგრამ უმთავრეს პრობლემად შპს "ალავერდის" გენერალური დირექტორი მაინც იმას მიიჩნევს, რომ გლეხები ინფორმირებულნი

არ არიან და, ხშირ შემთხვევაში, ნაკლებადხარისხიან და უფრო იაფ ხორბალს ყიდულობენ, რითაც საბოლოო ჯამში საკუთარ ჯიბესაც და მოსავალსაც ერთნაირად აზიანებენ.

"ხალხი ინფორმირებული არ არის. აუცილებელია, რომ მიწა თავის დროზე მოიხსნას, დაითესოს. ამისთვის აუცილებელია, სრულყოფილ მდგომარეობაში იყოს ტექნიკა. თუ საკუთარი ტექნიკა არა ჰყავს, გლეხს მისი დროულად დაჭირავება მაინც უნდა შეეძლოს. ამის გარდა, მას უნდა ჰქონდეს ხარისხიანი ნედლეული, ჩვენს ქვეყანაში კი ამის დიდი დეფიციტია. ხარისხიანი რამოდენიმე კერძო კომპანია მამოიწყოს, მაგრამ მათი პროდუქცია არარეალიზებადი გახდა და თავი დაანებეს," - წუხს ქაიხოსროშვილი. როგორც ის მიიჩნევს, მიზეზი იმისა, რომ ფერმერებს სასაქონლო ხორბალი "ჩაუწვავთ", გლეხების არაინფორმირებულობა იყო. "მათ ერჩიათ, 35 თეთრად ეყიდათ ისეთი სათესლე ხორბალი, რომელიც ორჯერ უფრო მეტი რაოდენობით უნდა დაეთესათ, ვიდრე ჩვენი ხორბალი. არადა, ჩვენი ხორბალი 60 თეთრი ღირდა და საბოლოოდ, უფრო მომგებიანი სწორედ მისი დათესვა იყო," - იხსენებს ფერმერი.

გია ქაიხოსროშვილი გლეხების არაინფორმირებულობას აბრალებს იმასაც, რომ საქართველოში მოყვანილი ხორბალი კონტრაბანდულს კონკურენციას ვერ უწევს. "მარცვლეულის მოყვანას დიდი სიფრთხილე და ძალისხმევა სჭირდება. მიწა ლაბორატორიულად უნდა შემოწმდეს და სწორედ იმ სახის სასუქი უნდა შევიდეს, რაც აკლია. თანაც, სწორედ იმ რაოდენობით, რაც საჭიროა. აქ კი გლეხებს დოგმატური ახსოვთ პაპის დანაშაულები და ყოველგვარი ანალიზის გარეშე შეაქვთ შხამ-ქიმიკატები. ამ დროს, სასუქი ძვირია. ცუდად მოვლილი მიწა კარგ მოსავალს არ იძლევა. საბოლოოდ კი, ფერმერების შრომა ამაო გამოდის და მიღებული მოსავალით ისინი მხოლოდ ხარჯებს თუ ფარავენ," - აცხადებს გია ქაიხოსროშვილი.

საბოლოოდ, მიწისადმი ასეთი მიდგომა დაბალმოსავლიანობას და უხარისხობას იწვევს. ამის მიზეზია ის, რომ ადგილობრივად წარმოებული მარცვლეული კონკურენციას ვერ უწევს კონტრაბანდულ ფქვილს, რომელიც გაცილებით იაფი ღირს და თან უფრო ხარისხიანია. ქართულ ხორბალს კი ჯერჯერობით ისევ ბევრი მტერი ჰყავს: მინდვრის თავგებიდან დაწყებული, "მკებნარა" გადასახადებით დამთავრებული.

ფულის ფილოსოფია

კუთხე, რომლითაც ფულის თემას შევხვებით, ძალიან იშვიათად ჩნდება ჩვენი პრესის ფურცლებზე, უცხოეთში კი ძალზე პოპულარულია (ცოტას დავხსენებ კიდევ). თავის დასაზღვევად, მსურს თავიდანვე ავიცილო ჩემს მიმართ მოსალოდნელი არაკორექტული საყვედურები, როდესაც შევეცდები ფულის როლის შეფასებას საზოგადოებისა და პიროვნების ცხოვრებაში. ამისათვის აუცილებლად მიმაჩნია რამდენიმე შენიშვნის წინასწარ გაკეთება.

ერთი რამ ცხადია - მატერიალური კეთილდღეობა და ფული ჩვენი მენტალიტეტით გააზრებულია, როგორც სიღარიბის საპირისპირო რამ. სიდუხჭირე არის უძლურებისა თუ უპერსპექტივობის განცდის წყარო და საფუძველი. აღვნიშნეთ რა კავშირი, ერთი მხრივ, სიღარიბესა და დამცირებას შორის, და მეორე მხრივ, ფულსა და სრულფასოვან არსებობას შორის, ხშირად ვჩქარობთ ამ კავშირის აბსოლუტიზაციას. იმის გამო, რომ კეთილდღეობას თან სდევს ფული და ისინი ფაქტობრივად ერთად მოიაზრებიან, აქედან სრულებითაც არ გამოდინარეობს, რომ სწორედ ფული წარმოადგენს კეთილდღეობის ან პარამონიის მიზეზსა და წყაროს. ფული შეიძლება იქცეს კეთილდღეობის პირობად. ეს კი, ერთი და იგივე არაა. თანაც კაპიტალი, თუნდაც კეთილდღეობის აბსოლუტურ პირობად ვერ ჩაითვლება. სხვა რომ არაფერი, ცნობილია ასაკეტა თუ წმინდანთა საკმაოდ მოკრძალებული და იმავდროულად ბედნიერი ყოფა. კაპიტალი მით უმეტეს არ ჩაითვლება საკმარის პირობად, რადგანაც ვიცით ძალიან ბევრი სამწუხარო მაგალითი ძალზე მდიდარი ადამიანების ტრაგიკული ბედისა.

შოთა ბაქრაილაძე

სიღარიბე ადამიანის დამცირებაა. მაგრამ, სიღარიბე თავისთავად წარმოადგენს ფულადი (ქონებრივი) ურთიერთობების გაგრძელებას, შედეგს. სიღარიბის ტრაგედია ფულის უქონლობაში კი არ მდგომარეობს, არამედ დამოკიდებულებაში, რომელსაც ფული დეკლარირებს. ფული ცდილობს დაძლიოს ის პრობლემები, რომლებსაც თავად ქმნის. ე.ი. ჩვენ ფულით ის პრობლემები გვინდა გადავჭრათ, რაც თავად ფულმა, უფრო სწორად კი, უფულობამ გაგვიჩინა.

ფული, როგორც სიკეთე, შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიღარიბეს ჩავთვლით ადამიანური არსებობის ნორმად, ხოლო თვითრეალიზაციის შესაძლებლობას, არჩევანის თავისუფლებასა და ღირსეულ ადამიანურ ცხოვრებას მივიჩნევთ პრივილეგიად. მაგრამ, როგორც კი სრულფასოვან ადამიანურ ცხოვრებას ჩავთვლით ნორმად, ფულის "სიკეთე" საეჭვო ხდება.

"ფულის სიკეთის" იდეა დესტრუქციულია, რადგან ეყრდნობა ადამიანის ბუნებრივი და აბსოლუტური უფლების - ვითარდებოდეს და ახორციელებდეს საკუთარი "მე"-ს რეალიზაციასა თუ თვითდამკვიდრებას ყოველგვარი გარეშე პირობების მიუხედავად - უარყოფას. თავის მხრივ, უსამართლობის ქეშმარიტი წყარო, სწორედ, ამ უფლების უარყოფა გახლავთ. როგორც ჩანს, ფულის დიქტატი, რამაც საზოგადოება დაავადა, ეფუძნება არა იმდენად მისი არსებობის ფაქტს ჩვენს ცხოვრებაში, რამდენადაც მისი საზრისისა და ფუნქციის დამახინჯებულ გაცნობიერებას. სიღარიბის დაძლევის გზა გადის ფულის იდეის შემეცნებაზე. ფულის იდეის ქეშმარიტი შემეცნება-გაცნობიერება არის

სიღარიბის დაძლევის გზა. ფულის იდეის შემეცნება კი, ნიშნავს მისი გამოყენების საზღვრების მკაცრ დადგენას. რა თქმა უნდა, ყველაზე ადვილი იქნებოდა ჩვენი პოზიცია დავეფიქსირებინა ძალზე კორექტული დებულებით იმის შესახებ, რომ ფულის მოქმედების საზღვრები მოქცეულია ეკონომიკის სფეროში, ხოლო ადამიანის სულიერი სამყაროსათვის უცხოა არა მხოლოდ ფული, არამედ პრაგმატიზმისა და პრაქტიკული დაინტერესების ნებისმიერი გამოვლენა. თავისი სიცხადის მიუხედავად, მოყვანილი დებულება დღეისათვის მრავალ ეჭვს ბადებს. ამავე დროს, ისიც არ უნდა დავივინყოთ, რომ ჩვენი საუკუნე (მხედველობაშია XX საუკუნეის ინერციით კარგა ხანს გაყვება XXI საუკუნესაც) არის ე.წ. "ეკონომიკური აზროვნების" ფორმირების საუკუნე, რომლისთვისაც დამახასიათებელია სულიერი და პრაგმატიკული ინტენციების მოულოდნელი და ხშირად ფანტასტიკური გადახლართვები. თვით საზღვარი ეკონომიკურსა და სულიერს, პრაგმატულსა და კულტურულ მოთხოვნილებებს შორის ბუნდოვნად არის გამოკვეთილი. თანამედროვე მეცნიერების მიერ ადამიანი სულ უფრო ხშირად განიხილება უშუალოდ "სოციალურ" არსებად, ყოველგვარი ირაციონალური განცდების გათვალისწინების, სუბიექტურ-ფსიქოლოგიური განწყობის, აბსოლუტთან ყოველგვარი კავშირების გარეშე. ჩვენ კი, ამოვდივართ ადამიანის საწყისი დუალური (ორგვარი) ბუნებიდან; ვაფასებთ მას, როგორც სულიერ-მინიერს. სწორედ, ეს გაყოფა და წინააღმდეგობა სულიერსა და მინიერს, მის საგნობრივ-ემპირიულსა და სულიერ-ტრანსცენდენტურ ყოფიერებას შორის, განაპირობებს მის თვითშემეცნებასა და თვითრეალიზაციას არა მხო-



ლოდ სოციუმის, არამედ კოსმოსისა და ინდივიდუალური ექსისტენციის სისტემებშიც კი.

ალბათ, ამიტომ ფულისა და სიღარიბის არსის გასაგებად პირველ რიგში ზუსტად განვასხვავოთ ერთმანეთისაგან "ფული, როგორც ეკონომიკური ფენომენი" და "ფული, როგორც კულტურის ფენომენი", და შესაბამისად, "უფულობა" და "სულიერი სიღარიბე". სიღარიბის წყარო არის ადამიანის თვითრეალიზაციის უფლებების დეკლარირებული და აუცილებელი დამოკიდებულება მისსავე ფინანსურ შესაძლებლობებზე. ამავე დროს, თვით ფაქტი ამ დამოკიდებულებისა, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ დეფორმირებული, ავადმყოფი ცნობიერების წყალობით. მედიცინისათვის ცნობილია, რომ ავადმყოფის განკურნების აუცილებელი წინაპირობაა სწორი დიაგნოზის დასმა. ჩვენს შემთხვევაში ეს ნიშნავს გამოვალნიოთ მონეტარული აზროვნების წყაროები, მიზეზები და სიმპტომები.

ფული, როგორც შესაძლებლობა

ადამიანისათვის, რომელიც მიზნად არ ისახავს გაცდეს ემპირიულ-საგნობრივ ყოფას, ფულადი რესურსების შესაძლებლობები უსასრულოა. ფულის შესაძლებლობების ძალა შეზღუდულია მხოლოდ რეა-

ლური თანხით. მისთვის რაც მეტია თანხა, მით უფრო მეტია შესაძლებლობები; თუ ფულადი პოტენციალი არ არის შეზღუდული, მაშასადამე არ არის შეზღუდული მისი მფლობელის შესაძლებლობებიც. კიდევ ერთხელ გავესვამთ ხაზს, რომ არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებთ ფულის შესაძლებლობებისა და მნიშვნელობის დამცირებას არც ქვეყნის ეკონომიკაში და არც ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. იმის მტკიცება, რომ ფული არის აბსოლუტური ბოროტება, ადამიანისათვის არავითარი სიკეთე არ მოაქვს, არა აქვს უნარი უზრუნველყოს მისი ღირსეული არსებობა, - იქნებოდა წმინდა წყლის სისულელე. ჩვენს შემთხვევაში საუბარი ეხება ერთს - თანამედროვე სამყაროში გავრცელებულ მითს, რომლის თანახმად ფული არის ადამიანის შესაძლებლობების აბსოლუტური ექვივალენტი, ესაა ფულის შესაძლებლობებისა და პიროვნების შესაძლებლობების არაკორექტული ურთიერთდარევა, ან კიდევ უარესი - გაიგივება.

არათუ ურთიერთდარევა, სრული განუსხვავებლობა ადამიანის სულიერი შესაძლებლობებისა და იმ შესაძლებლობებისაგან, რომელსაც მას აძლევს ფულადი კაპიტალი, ამოდის თანამედროვე მსოფლმხედველობის ქაოტური უსუსურებისაგან, უუნარობისაგან, განასხ-

ვავოს სულიერი საგნობრივისაგან, კულტურა ცივილიზაციისაგან, მინიერი - პიროვნულად ადამიანურისაგან. შეიძლება შევნიშნოთ - სულსა და სხეულის ამ მექანიზურ ნაერთს არაფერი აქვს საერთო იდეისა და მატერიის ორგანულ, "დიალექტიკურ" ერთობასთან: დღეს სული გაითქვიფა საგნებში, ადამიანი კი ცივილიზაციაში.

საკუთარი ღირებულების გაიგივება დაგროვილი კაპიტალის ღირებულებასთან, საკუთარი "მე"-ს შესაძლებლობის გაიგივება ფულადი საშუალებების მსყიდველობით უნართან, არის ფულადი ინტენციის აბსოლუტური ექსტრაპოლაციის შედეგი. ადვილი შესამჩნევია, რომ მსგავს გაიგივებას აუცილებლობით მიყვავართ ადამიანური თვისებების განსხვავებასთან. საკუთარი თავის, საკუთარი შესაძლებლობების, საკუთარი "მე"-ს შეფასება ნაღდი კაპიტალის შესაბამისად ასევე აუცილებლობით დაბადებს პიროვნების ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას მატერიალურ კეთილდღეობასთან - მე ვარ ის, რაც მაქვს. გაკოტრების შიში ბანკოტის წინაშე იქნეს ახალ შინაარსს. გადახდისუუნარობა იმუქრება "მე"-ს სრული განადგურებით, რადგანაც ეს უკანასკნელი მთლიანად გაიგივებულია ჩემს კაპიტალთან.

ავტოპროექტი რისკიანი თამაში

თორნიკე პარაპანიძე

გასულ თვეს "როლს-როის-მა" თავისი დიდი ხნის ნანატრი მოდელი წარმოადგინა. ახალი "ფანტომი პრი 1" ორი გარემოების გამო აღსანიშნავი. ჯერ ერთი, რომ ეს "ბეემვეს" მფლობელობაში გამოშვებული პირველი "როლსია" და მეორეც, ეს ყველაზე დიდი მანქანაა მსოფლიოში. მისი სიგრძე 5,8 მეტრია. ფასი 250 ათასი გირვანქიდან იწყება და იმაზე გახლავთ დამოკიდებული, თუ რა ახალი ფუფუნების დეტალების დამატებას ისურვებთ პირადად თქვენთვის, გარდა იმ ფუფუნების დეტალებისა, რომლებიც ავტოს უკვე გააჩნია. ესენია საფერფლები, მგრძობიარე სავარძლები და.. თუმცა, ამგვარი რამეების ჩამოთვლა მეტად შორს წაგვიყვანს.

მანქანის უზარმაზარი, 6,75 ლიტრიანი ძრავი მიუნხენშია დამზადებული "ბეემვეს" მიერ, რომელმაც "როლს-როისის" წარმოების უფლება რამდენიმე წლის წინ ჩაიგდო ხელთ. მაგრამ ალუმინის კორპუსი ინგლისელი ხელოსნების ნახელავი გახლავთ, რომლებიც სასექსის ქარხანაში საგანგებოდ მიიწვიეს იახტების მწარმოებელი ფირმებიდან. "ბეემვე" წელიწადში ათასი მანქანის გაყიდვას იმედოვნებს. აქედან 40 პროცენტი ამერიკაზე უნდა მოვიდეს, 30 - აზიასა და ახლო აღმოსავლეთზე, დარჩენილი 30-დანარჩენ მსოფლიოზე.

ნუ იფიქრებთ, რომ "ბეემვე" ერთადერთი ავტოგიგანტია, რომელიც ასეთ სერიოზულ იმედებს ამყარებს და დიდ ინვესტიციებს დებს ფუფუნების მანქანებში. ყველას კარგად მოეხსენება, რომ საავტომობილო ბაზარზე ახლა კრიზისია და, აქედან გამომდინარე, კომპანიებმა, თითქოსდა, ხარჯშემცირებებზე და შესაბამისად, იაფ მანქანებზე უნდა იმუშაონ. მაგრამ ავტოგიგანტთა თავკაცები სულ სხვაგვარად ფიქრობენ - მათთვის ფუფუნების მანქანები სწორედ ის ნიშაა ბაზარზე, რომელმაც ავტომრეწველობას სტიმილი უნდა მისცეს და ბოლოს და ბოლოს საამქვეყნოდ შემოაბრუნოს მათი აქციები ბოლო წლებში სტაბილურად რომ ეცემა.

ამას მოწმობს 5 იანვარს დეტროიტის და იქამდე ჯერ კიდევ სექტემბერში პარიზის ავტომოთხრობებზე გამოჩენილი უამრავი ფუფუნების კლასის მანქანა. "ფერარიმ" 700 ათას დოლარად ღირებული "ენცო" წარმოადგინა, რომელიც საათში 322 კილომეტრს აწვითარებს. "ბენტლიმ" 150 ათას დოლარიანი "კონტინენტალ ჯიტი" მოიწინა თავი. "დაიმლერკრაისლერი" მალე წარმოებაში გაუშვებს 300 ათას დოლარიან "მაიბახს" მოკლედ, ამ სიის ჩამოთვლაც მეტად შორს წაგვიყვანს. მთავარი კი ის გახლავთ, რომ ასეთი სისწრაფით ფუფუნების მანქანების მრეწველობა ჯერ არ განვითარებულა. საამისოდ მიზეზიც არსებობდა. იგივე "როლს-როისი"



"როლს-როისის" კლასიკური მოდელი



"მაიბახის" სალონი



"ლამბორგინი"

წელიწადში შვიდ ათას მანქანას თუ ჰყიდდა. განა ამისათვის ღირდა ფულის ხარჯვა?

მაგრამ ახლახან ავტოგიგანტები - პირველ რიგში კი "ფოლკსვაგენი" და "დაიმლერკრაისლერი" - ისტორიულ აღმოჩენამდე მივიდნენ. მათ დაასკვნეს, რომ ფუფუნების მანქანების ეგზომ მცირე რაოდენობით გაყიდვის მიზეზი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მომხმარებელს ამგვარი მანქანების ერთობ შეზღუდულ არჩევანს სთავაზობენ. დიას, შეიძლება იგივე "როლს-როისი" ან "ბენტლი" არ მოგწონს. რა გრჩება ასეთ შემთხვევაში? მხოლოდ "ლამბორგინი" და "ფერარი." მდიდარი კლიენტისათვის ეს ნამდვილად არ არის ფართო არჩევანი. ამის აღმოჩენა იყო და ავტოგიგანტებმა ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს ფუფუნების მანქანების ყველაზე ცნობილ მარკებზე. რა ხეირს მოიტანს ეს ნანადირევი, ამას სულ მალე ვნახავთ, რადგან კომპანიებმა მდიდარ მომხმარებელს უკვე დიდი არჩევანი შესთავაზეს და ახლა რეაქციას ელიან.

"მანქანა ფუფუნება არ არის, ეს გადაადგილების საშუალებაა," - ამბობდა ოსტაპ ბენდერი საბჭოთა მშრომელების გასაგონად. "ფოლკსვაგენის" ახალი თავმჯდომარე ბერნდ პიშეტშიდერი კი საპირისპირო თეზისით გამოდის: **"მანქანა მხოლოდ გადაადგილების საშუალება არ უნდა იყოს. მთავარია, იგი რაც შეიძლება ბევრი ცდუნებით დატვირთოთ. ნუ მოერიდებით საამისოდ ნურაფერს, სამკაულების ჩათვლით, და კლიენტები მართლაც ბევრი გაყოლებათ."**

ამ აზრს დილერებიც ეთანხმებიან. მათი აზრით, საავტომობილო ბაზრის ეს სეგმენტი მხოლოდ იმის გამო ვერ ვითარდებოდა, რომ ახალი და განსხვავებული პროდუქტები მუდამ აკლდა. არადა, როგორც "დაიმლერკრაისლერის" ერთ-ერთი თავკაცი ამბობს, ამ ბაზარზე ისეთი მომხმარებელია, უკეთესს რომ ვერ ინატრებს კაცი: ახლო აღმოსავლეთში ისეთი კლიენტები გვყავს, ერთ ჯერზე 30 "მაიბახს" რომ ყიდულობენო. ჩანს, თითოს თითო ცოლისათვის.

ზემოთხსენები დიდი აღმოჩენისაკენ პიშეტშიდერი და სხვა ავტომრეწველები ერთმა დაკვირვებამ მიიყვანა. 90-იანების ბოლოს "ფერარისა" და "ლამბორგინის" ახალ მოდელებზე არნახული მოთხოვნილება იყო და მყიდველებს რიგში ჩაწერაც კი უზღებოდათ (ასეთი რამ მხოლოდ საბჭოთა კავშირისნაირ ქვეყნებში თუ სმენიათ ალბათ) და მანქანის ურიგოდ ხელში ჩასაგდებად დამატებით კარგა გვარიან თანხებს იხდიდნენ. ფუფუნების მანქანების მაშინ უკონკურენტო ლიდერი "ფერარი" კი ამ დროს საგანგებოდ წელიწადში ოთხ ათას მანქანამდე ზღუდავდა თავის წარმოებას, რათა ეს დამატებითი თანხები

„აზიური ვეფხვები“

ვაგრძელებთ წერილების სერიას ლემუკ ბალცეროვიჩის წიგნიდან „თავისუფლება და განვითარება“.

ყველაზე ძველ „აზიურ ვეფხვს“ იაპონია წარმოადგენს, რომელმაც დასავლეთ ევროპას მეტოქეობა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დაუწყო, თუმცა მისმა ეკონომიკამ დაჩქარებული განვითარება დაიწყო გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან. 60-იანი წლების დასაწყისში ამ შეჯიბრში ჩაერთო ოთხი სხვა ქვეყანაც: ტაივანი, სამხრეთ კორეა, ჰონგკონგი და სინგაპური. ბოლოს, სამოცდაათიანი წლებში, ამ ეკონომიკურ მეტოქეობაში ჩაერთვნენ ისეთი ქვეყნებიც, როგორცაა ტაილანდი, მალაიზია და ინდონეზია. ყველაზე ახალგაზრდა „ვეფხვია“ ჩინეთი, რომელმაც 1977-87 წლებში გააორმაგა თავისი ეროვნული შემოსავალი. როგორც ჩანს, მათ კვალს მიჰყვება ვიეტნამი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ორი ბოლო ქვეყნის ეკონომიკის ანალიზი ცალკე საუბრის თემაა, როგორც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის აზიური ვერსია. აქვე უნდა დავამატოთ, რომ პოსტკომუნისტური „აზიური ვეფხვების“ ეკონომიკური წარმატებები საძიებელია ასევე იმაშიც, რომ აქ გაცილებით ადვილად მოხერხდა სოფლის მეურნეობის პრივატიზაცია და სოციალიზმის მიერ ამ ქვეყნებში გაცილებით ნაკლებ იყო დეფორმირებული მრეწველობაც.

მსოფლიო ბანკის 1993 წლის ანგარიშის მიხედვით „აზიურ ვეფხვებში“ 1960 წლის შემდეგ ეკონომიკური განვითარების ტემპები სამჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე ლათინურ ამერიკაში და ჩრდილოეთ აზიაში და ხუთჯერ მეტი, ვიდრე აფრიკული საჰარის ქვეყნებში. ეს ტემპები საგრძობლად მაღალი იყო ასევე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან და ნავთობის ქვეყნებთან შედარებითაც. მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ შექმნა ასევე იმის საშუალებაც, რომ შედარებით შემცირებულიყო ქონებრივი დისპროპორციები საზოგადოების მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის. ამან დადებითად იმოქმედა მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის დამახასიათებელ ისეთ მაჩვენებელზე, როგორც არის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. კერძოდ, თუ 1960 წელს ამ რეგიონში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 56 წელს, 1990 წელს იგი 71 წელს გაუთანაბრდა. ასევე შემცირდა იმ ხალხის რიცხოვნობაც, რომლებიც აბსოლუტურ სიღატაკეში ცხოვრობდნენ, კერძოდ, არ ჰქონდათ სახლი, საკვები და სასმელი წყალი. თუ ინდონეზიაში ამგვარი ხალხი 1960 წელს შეადგენდა მთელი საზოგადოების 58 პროცენტს, 1990 წელს ეს მაჩვენებელი 17 პროცენტამდე შემცირდა. ამავე პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი ინდოეთში შემცირდა 54 პროცენტიდან 43 პროცენტამდე.

საეჭვო თეორია

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკურმა სასწაულმა, ცხადია, უდიდესი დანტერესება გამოიწვია. ამის შედეგად წარმოიშვა სხვადასხვა თეორიები, რომლებიც ცდილობდნენ მისი მიზეზების პოვნას. ამასთან, ზოგიერთი ამ თეორიათაგანი ძალზე ზედაპირულია. კერძოდ, მათი მიხედვით აღნიშნული მოვლენის ახსნა უბრალოდ შეიძლება ამ ქვეყნების აღნიშნულ რეგიონში (აღმოსავლეთი აზია) მდებარეობაში ვეძიოთ. ეს რომ „აზიური ვეფხვების“ მიერ მიღწეული ეკონომიკური წარმატების მიზეზი არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ ამ ბოლო დროს მსოფლიოს სხვა რეგიონში მდებარე ქვეყნებშიც მიღწეულ არანაკლებ ეკონომიკურ წარმატებებს. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ 1950-60 წლებში თავისი ეროვნული შემოსავალი გაზარდა წლიური რვა პროცენტით. ზრდის მაღალი დინამიზმი ახასიათებდა ასევე იტალიის ეკონომიკასაც. ამასთან, თავად აზიაშიც როდი იგრძნობა იმ ქვეყნების ნაკლებობა, რომელთაც უჭირთ ეკონომიკური ზრდის მიღწევა, ან ძალიან ნელი ტემპებით ზრდიან მას. აღნიშნულ კონტინენტზე ასეთ ქვეყანას წარმოადგენს ფილიპინები, მის უკიდურეს აღმოსავლეთით და ინდოეთში, სამხრეთით. ამ ქვეყნებმა მხოლოდ ბოლო რამდენიმე წელს შეძლეს, ისიც სახელმწიფოს მხრიდან ძლიერი ინტერვენციის პრაქტიკაზე ხელის აღების შედეგად, დაბალი ტემპებით გაეზარდათ ეკონომიკური მაჩვენებლები.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აზიის ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში არავინ ელოდა ასეთ ეკონომიკურ აღმავლას. მაგალითად, 1947 წელს ერთ-ერთი ამ ქვეყნის სამთავრობო მოხსენებაში დახატული იყო მისი მომავალი განვითარების ძალზე პესიმისტური სურათი. კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ აქ მკვეთრად დაეცემა შრომის ნაყოფიერება, რომ მასთან შედარებით შრომის ანაზღაურება ძალზე მაღალია, რომ წარმოება არის დაბალეფექტური და რომ ქვეყანა არაკონკურენტუნარიანია. და ეს მოხსენება გაკეთდა... იაპონიაში. ანალოგიური სიტუაცია იყო სამხრეთ კორეაშიც, რომელიც, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მოიხსენიებდნენ როგორც „აზიის ავადმყოფ ნევრად“. მის ეკონომიკას სიცოცხლეს ამერიკული სუბსიდიები უნარჩუნებდნენ. შეერთებული შტატების მხრიდან ამ ფინანსური დახმარებების შემცირების თუ საერთოდ დაკარგვის შიშმა აიძულა ქვეყნის მთავრობა, დაეწყო რადიკალური ეკონომიკური რეფორმები, რაც წარმატებით განხორციელდა კიდევ.

გარკვეული სკეპტიციზმით უნდა მივუდგეთ ასევე იმ თეორიებსაც, რომლებიც აზიური ქვეყნების მიღწეულ წარმატებებს აზიური კულტურით, ტრადიციებით, რელიგიით, მაგალითად, კონფუციანიზმით ხსნიან. საქმე ისაა, რომ აზიური ქვეყნები კულტურულად ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. კონ-

ფუციანიზმის გავლენა (ეს იდეოლოგია ჩინეთში წარმოიშვა) თუ ძალზე საგრძობია ტაივანში, ჰონგკონგსა და სინგაპურში, იგი არ იგრძნობა ტაილანდსა თუ ინდონეზიაში. ამასთან, კონფუციანიზმი საკმაოდ ნოყიერ ნიადაგად იქცა მრავალრიცხოვანი ბიუროკრატიის წარმოსაქმნელად, რომელიც განსაკუთრებით ჩინეთში, ვაჭრობისა და კერძო კაპიტალის მიმართ აშკარა ანტაგონიზმში იყო. ჩინურ ქალაქებს არა ჰქონიათ ისეთი ავტონომია, როგორც გააჩნდათ დასავლეთ ევროპის ქალაქებს. ჩინეთის იმპერატორთა ედიქტები მძიმე ჯვარს უსვამდა ქვეყანაში მკვიდრი მოსახლეობის სამეურნეო აქტიურობას.

ზემოთ აღნიშნული აზიური ქვეყნების „ეკონომიკური სასწაულის“ მიზეზები უფრო იმაშია საძიებელი, რომ ამ რეგიონის ქვეყნების მკვიდრთ ახასიათებთ ფულის დამზოგველობისადმი უდიდესი მიდრეკილება, რომელსაც შემდეგ ინვესტიციების სახეს აძლევენ. მათთვის დამახასიათებელია ასევე შრომის სიყვარული და აქედან გამომდინარე, მაღალი შრომის მხარმოველურობა. 1965 წელს მთლიანი შემოსავლების დაზოგვილი ნაწილი „აზიურ ვეფხვებში“ შეადგენდა გაცილებით უფრო ნაკლებს, ვიდრე ლათინური ამერიკის ქვეყნებში. გადის არასრული 25 წელი და 1990 წელს აზიის ამ ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი 20 პროცენტით აღემატება ლათინურ ამერიკაში არსებულ ანალოგიურ მაჩვენებელს. ანალოგიურის თქმა შეიძლება ინფლაციისა თუ სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შესახებაც. კერძოდ, თუ ეს მაჩვენებლები ზემოთ დასახელებულ ორივე

ჯგუფის ქვეყანაში თითქმის თანასწორი იყო, 1990 წელს იგი „აზიურ ვეფხვებში“ გაცილებით უკეთესი პარამეტრებით ხასიათდებოდა, ვიდრე ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თავის დროზე ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისთვისაც იყო დამახასიათებელი დაზოგვის მაღალი მაჩვენებლები. აქ მაღალი იყო ასევე ინვესტირების მოცულობებიც. ეს გარკვეული თვალსაზრისით საზოგადოებაზე არადემოკრატიული, არასაბაზრო სისტემის ზნეობის შედეგი იყო, რომელშიც პარტია-სახელმწიფო აკონტროლებდა საზოგადოების მთელ გლობალურ შემოსავლებს. იგივე პარტია-სახელმწიფო განსაზღვრავდა ინვესტიციების მიმართულებასა და საინვესტიციო პროექტებსაც. მაგრამ დიდ ინვესტიციებს სოციალისტურ საზოგადოებაში თან სდევდა შედარებით დაბალი, ამასთან, დროთა განმავლობაში კლებადი ტენდენციის მქონე შრომის ნაყოფიერება. საბოლოო ჯამში, ამ ტენდენციის შედეგი იყო ის, რომ იკლებდა მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება და იზრდებოდა უფსკრული კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებს შორის ამ მაჩვენებლის მიხედვით. ჩვენი ამ დასკვნის ნათელსაყოფად იკმარება ზოგიერთი იმ სახელმწიფოს ერთმანეთთან შედარება, რომლებსაც რამდენიმე ათეული წლის წინათ თითქმის თანაბარი მაჩვენებლები გააჩნდათ ერთ სულზე მშპ-ს წარმოების მიხედვით: გერმანია აღმოსავლეთი – გერმანია დასავლეთი, ჩეხოსლოვაკია – ავსტრია, პოლონეთი – ესპანეთი, ჩრდილოეთ კორეა – სამხრეთ კორეა.

ვეფხვთა ნახტომის მოთოკვა

აღმოსავლეთ აზიის შვიდი ქვეყანა, - „აზიური ვეფხვები“ – იაპონია, სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჰონგ-კონგი, მალაიზია, ტაილანდი, სინგაპური და ინდონეზია – ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ვითარდებოდნენ უფრო მაღალი ტემპებით, ვიდრე დანარჩენი მსოფლიო. ამ ფენომენის ახსნა არც თუ ისე ძნელია, თუკი ამ წარმატებების გამომწვევ ზოგიერთ ძირითად მიზეზს გავიხსენებთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს ქვეყნები ახდენდნენ დიდი მოცულობით ფინანსური სახსრების დაზოგვასა და მის ეროვნულ მეურნეობაში ინვესტირებას; იმავედროულად, განსხვავებით ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისაგან, აქ სწრაფად იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება.

აღმოსავლეთაზიური სასწაულის სამი ძირითადი მიზეზი

აღმოსავლეთ აზიური „ეკონომიკური სასწაულის“ ძირითადი, ასე ვთქვათ, ფუნდამენტური მიზეზები საძიებელია: საკუთრების სტრუქტურასა და სამართალში, ეროვნული ვალუტის სტაბილურობაში, გარე სამყაროსთან დამოკიდებულებაში (განსაკუთრებით ეკონომიკის გახსნილობაში), ეკონომიკის შედარებით ნაკლებ დატვირთვაში საბიუჯეტო გადასახადებითა და ხარჯებით და ა. შ. სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკონომიკის მიმართ უნდა მდგომარეობდეს მისი საქმიანობის სა-

გაგრძელება D14 გვირდვამ



„აზიური ვეფხვები“

DI3 გვარდიან

ფუძვლების შექმნასა და გაძლიერებაში და ასევე ზოგიერთი სახის დასაბუთებულ ინტერვენციებში. მაგალითად, მრეწველობის ზოგიერთი დარგის დაცვაში, ძალისხმევაში, ქვეყანაში არსებობდეს დაბალი საპროცენტო განაკვეთი, სპეციალიზებული საინვესტიციო ბანკების შექმნაში, შეღავათიანი კრედიტების მიცემაში სანარმოო სფეროს ობიექტებისათვის და ა. შ. იმ ადამიანებს, რომლებიც მოითხოვენ სახელმწიფოს როლის გააქტიურებას ეკონომიკაში, ჩვეულებრივ მხედველობაში როდი აქვთ ხოლმე ის გარემოება, რომ ეროვნული მეურნეობისათვის ამგვარი საფუძვლების შექმნით სახელმწიფო ნაკლებ საქმეს როდი ასრულებს ეკონომიკის განვითარებისათვის.

საეჭო ინტერვენცია

შეიძლება ითქვას, „აზიური ვეფხვების“ ეკონომიკის განვითარებაში სრულიად განსხვავებული იყო სახელმწიფოს როლი. კერძოდ, თუ ზოგი ქვეყნის განვითარებაში სახელმწიფოს ინტერვენცია ძალზე სერიოზული იყო, ზოგან იგი შედარებით ნაკლებ როლს თამაშობდა ეკონომიკის განვითარების საქმეში. მაგალითად, თუ სახელმწიფო საკმაოდ აქტიურად ერეოდა იაპონიის, სამხრეთ კორეის და სინგაპურის ეროვნული მეურნეობის განვითარებაში, იგი გაცილებით ნაკლებ გავლენას ახდენდა ისეთი ქვეყნების განვითარების ტენდენციებზე, როგორებიცაა ტაილანდი და ჰონგ-კონგი. უფრო მეტიც: შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყნებში ეროვნული მეურნეობა ისე ვითარდებოდა, რომ თითქმის სრულიად არ იგრძნობოდა აქ სახელმწიფო ხელისუფლების არსებობა. მიუხედავად ამისა, ზემოთ დასახელებული შვიდი აზიური ქვეყანა თითქმის თანაბრად სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ არ არის სწორი შეხედულება იმის შესახებ, თითქმის აზიური ქვეყნების სწრაფი ეკონომიკური წინსვლა ძირითადად ეროვნულ მეურნეობაში სახელმწიფოს ინტერვენციის უკავშირდებოდა. ეს დებულება რომ სწორი იყოს, მაშინ ყველაზე სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას სოციალისტურ ქვეყნებს უნდა მიეძღვნა. ამ ქვეყნების მეურნეობები ხომ ძირითადად სწორედ სახელმწიფოს დირექტივების საფუძველზე ვითარდებოდა. უფრო მეტიც: ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფოს ინტერვენციის ეკონომიკაში უფრო ზიანი მოჰქონდა, ვიდრე სარგებლობა. ასე მოხდა მაგალითად, სამხრეთ კორეაში 70-იან წლებში, სადაც მძიმე მრეწველობის დარგებს, ძირითადად, სახელმწიფო განკარგავდა. ამან კი სახელმწიფოს უდიდესი დავალიანება გამოიწვია და ამასთან, შეფერხდა იმ ქვედარგების განვითარების ტემპები, რომელთაც შეიძლებოდა საექსპორტო მიმართულება ჰქონოდათ. ამ ფაქტებმა დაარწმუნა ხელისუფლებამ, კორექტირება შეე-



ლემუკ ბალცეროვიჩი

ტანა თავის ეკონომიკურ პოლიტიკაში მისი ლიბერალიზაციის მიმართულებით.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ თუმცა, ზოგიერთ აზიურ ქვეყანაში სახელმწიფო აქტიურად ერეოდა ეკონომიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ამ ჩარევის ხარისხი მკვეთრად ჩამოუვარდებოდა მესამე სამყაროს ზოგიერთ ქვეყანაში და განსაკუთრებით ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, სახელმწიფო ინტერვენციის ხარისხს. ამასთან, თუ სახელმწიფოს მხრიდან ინტერვენციის ადგილი ჰქონდა ზოგიერთ „აზიურ ვეფხვში“, სწრაფი განვითარება უკლებლივ ყველა ამ ქვეყანაში ფიქსირდებოდა. აი, ზოგიერთი ციფრიც ამ სფეროს დასახასიათებლად, რომლებიც ნათლად გვაჩვენებდა ეკონომიკურ განვითარებასა და სახელმწიფოს ინტერვენციონალიზმს შორის კავშირს: 1987 წელს შიდა ბაზრის დაცვის მაჩვენებელი აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში შეადგენდა 21 პროცენტს, ჩრდილოეთ აზიის ქვეყნებში – 77 პროცენტს, ლათინურ ამერიკაში – 33 პროცენტს (აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის შემდეგ ყველა ამ ქვეყანაში დაიწყო სახელმწიფო პროტექციონისტური ტენდენციების შემცირების პროცესები).

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ თუ აზიის ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო პროტექციონიზმმა მაინც მოიტანა ზოგიერთი დადებითი შედეგი, ეს იმის გამო უფრო მოხდა, რომ აქ პროტექციონიზმის გარდა მოქმედებდა ასევე ინსტიტუციონალური ბერკეტები, გაცილებით უკეთ, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ამ ბერკეტებიდან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიკის პროექსპორტულ პრიორიტეტს. ამ ფაქტორის დატვირთვა ჰქონდა, რომ იგი გარკვეულ კორექტირებას უკეთებდა ქვეყნის სამეურნეო სფეროში დაშვებულ შეცდომებს, განსხვავებით იმ ქვეყნებისაგან,

რომლებიც იზოლირებულ მეთოდებს მიმართავდნენ. ის შედეგები, რომლებსაც ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყნები აღწევდნენ საერთაშორისო ბაზრებზე, ხდებოდა მათთვის სერიოზული მიმანიშნებელი იმისა, სწორია თუ არა მათ მიერ გატარებული ინტერვენციონალისტური პოლიტიკა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ „აზიურ ვეფხვებს“, რომლებიც განსაკუთრებული ინტერვენციის პოლიტიკას ადგენენ, მთავრობაში ჰყავდათ გაცილებით უკეთესი, რეფორმატორული ეკონომიკური გუნდი, ვიდრე განვითარების ანალოგიურ დონეზე მყოფ ან მით უფრო, დაბალ დონეზე მყოფ ქვეყნებს. აქედან გამომდინარე იმ აზიური ქვეყნებისათვის ბრმად მიბაძვა, რომლებიც ინტერვენციონალურ პოლიტიკას მისდევდნენ და საკმაო წარმატებებსაც აღწევდნენ, ყველა ქვეყნისათვის როდი იქნებოდა მისაღები. თუკი ამ ქვეყნებს არ ეყოლებოდათ მომზადებული მთავრობა, ამგვარ პოლიტიკას ნამდვილად არ მოჰყვებოდა დადებითი შედეგები. თუნდაც რომ მივიჩნიოთ, რომ აზიის ზოგიერთ ქვეყანაში დადებითი ეკონომიკური შედეგები ამ ქვეყნის ხელისუფლების ეკონომიკაში ინტერვენციონალიზმს მოჰყვა, მაინც არ იქნებოდა ეს იმის მომასწავლებელი, რომ ამგვარი მიდგომები სხვა ქვეყნების ეკონომიკებისათვისაც (მით უფრო, თუ ამ ქვეყნის ეკონომიკის მართვის სათავეებთან არ იდგება მომზადებული რეფორმატორული გუნდი) მოიტანდა დადებით შედეგებს.

დაბოლოს, დროთა განმავლობაში ჩნდება გარემოებები, რომელთა გავლენით ქვეყნები, და მათ შორის, აზიური ქვეყნებიც, უარს ამბობენ ეკონომიკაში ინტერვენციაზე. ერთ-ერთ ასეთ გარემოებად უნდა ჩაითვალოს GATT-ის ჩარჩოებში მიღებული შეთანხმებები, რომლებიც გამოირიცხავენ ექსპორტის განსაკუთრებით აგრესიულ ფორმებს, ხო-

ლო კაპიტალის მიმოქცევის მობილურობა, რაც თანამედროვე პირობებში მას ახასიათებს, გამოიწვევს იმას, რომ ცენტრალური ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთის მკვეთრი შემცირების პირობებში, კაპიტალი დატოვებს ქვეყანას და საზღვარგარეთ ჰპოვებს დაბანდებს.

იმ აზიურ ქვეყნებში, რომლებმაც განსაკუთრებულ ეკონომიკურ წარმატებას მიაღწიეს, უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა ასევე სტაბილური ეროვნული ვალუტა, რომლის შენარჩუნება ხდებოდა ქვეყანაში სწორი საბიუჯეტო და ფულადსაკრედიტო პოლიტიკის გატარების შედეგად. ამ ქვეყნებში დიდ როლს თამაშობდა ასევე მოსახლეობის ტრადიციები დამზოგველობისა და ინვესტირებისადმი. ამ წარმატებებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასევე ეროვნულ მეურნეობაში კერძო საკუთრების უპირატესობას სახელმწიფო საკუთრებასთან შედარებით. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ასევე ამ ქვეყნებში ექსპორტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად გამოცხადებას. ადგილობრივი მწარმოებლები სამამულო ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციაზე მეტ ყურადღებას პროდუქციის საექსპორტოდ წარმოებას უთმობდნენ. ამ ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ უცხოელ ექსპორტიორებთან კონკურენციაში ხდებოდა ადგილობრივი მრეწველების დაოსტატების დონის ამაღლება და მეორეც, ადგილობრივ მრეწველებს შესაძლებლობა ეძლეოდათ გასცნობოდნენ და დაენერგათ უცხოური ტექნოლოგიური თუ ტექნიკური მიღწევები.

„აზიური ვეფხვების“ ეკონომიკურ წარმატებებში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ასევე ეროვნული მეურნეობის მინიმალურ დატვირთვას როგორც გადასახადებით, ისე საბიუჯეტო ხარჯებით. ამასთან, შედარებით

მცირე საბიუჯეტო სახსრების პირობებში ეს ქვეყნები უდიდეს თანხებს გამოყოფდნენ განათლებასა და ინფრასტრუქტურაზე და ძალზე მცირეს – კლასიკურ სოციალურ ხარჯებზე.

როდესაც იმ ფაქტორებზე ვსაუბრობთ, რომელთა ამოქმედებამაც ხელი შეუწყო აზიურ ეკონომიკურ სასწაულს, აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ ამ ქვეყნებში არსებობდა უაღრესად მობილური და დინამიური შრომითი რესურსების ბაზარი. აქ პრაქტიკაში დამკვიდრებული იყო შრომითი რესურსებისადმი ისეთი მიდგომა, რომელიც ხელს შეუწყობდა, სტიმულს მისცემდა ეკონომიკის განვითარებას. კერძოდ, სანარმოო მოგებიდან სახსრების არც თუ ისე დიდი ხვედრითი წილი მიემართებოდა ხელფასებზე, ხოლო დანარჩენი მიდიოდა სანარმოს განვითარებაზე, რის შედეგადაც იქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები და მალდებოდა დასაქმებულ მუშაკთა შრომის ნაყოფიერება, რაც მომავალში ხდებოდა შრომის ანაზღაურების გაზრდის საფუძველი. ამ ფაქტორის მოქმედების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა კერძო სანარმოების მაღალი ხვედრითი წილი ეროვნულ მეურნეობაში და ასევე ამ ქვეყნებში არსებული პროფკავშირების არააგრესიული ხასიათი.

აზიური ქვეყნების ეკონომიკურ დანიანურებაში დიდ როლს თამაშობდა ასევე ლიბერალური (თავისუფალი) ფასები.

და ბოლოს, აზიური ქვეყნების ეკონომიკურ დანიანურებაში უდიდეს როლს თამაშობდა პოლიტიკური ფაქტორი, ანუ ის, რომ ამ ქვეყნებში ბოლო წლების მანძილზე ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ სტაბილურობას, რომლის დროსაც აქ მოხერხდა მყარი განვითარებისათვის მტკიცე საფუძვლების შექმნა. ამასთან, პოლიტიკური სტაბილურობა ამ ქვეყნებში თვითმიზანი როდი ყოფილა. სახელდობრ, პოლიტიკური სტაბილურობის პირობებში ხდებოდა გონივრული სამეურნეო პოლიტიკის გატარება. მაგალითად, პოლიტიკური სტაბილურობა არსებობდა როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ კორეაშიც, მაგრამ იმის გამო, რომ ერთ მათგანს (სამხრეთ კორეას) გააჩნია ეკონომიკური განვითარების რაციონალური გეგმა, ხოლო მეორეს (ჩრდილოეთ კორეა) - არა, პირველში საგრძნობია ეკონომიკის სასწაულებრივი წინსვლა, ხოლო მეორეში - არაერთგვაროვანი მსგავსი არ შეინიშნება.

თუ „აზიური ვეფხვებს“ შევეუდარებთ იმ სხვა ქვეყნებს, რომლებიც ადრე ზუსტად იმდენივე ეროვნულ შემოსავალს აწარმოებდნენ ერთ სულ მოსახლეზე, რამდენსაც „აზიური ვეფხვები“, ვნახავთ, რომ არც ერთ ამ ქვეყანას არ განუხორციელებია ამდენი ეკონომიკური რეფორმა, რამდენიც განახორციელეს „აზიურმა ვეფხვებმა“. სწორედ ამამია ამ ქვეყნების ეკონომიკური წარმატებების მთავარი გასაღები.

პოლონურიდან თარგმნა
ამროსი გრიშკაშვილი

რეკლამაბენურობა და პარსკვლავები



იზაბელა როსელინი თოთხმეტი წლის მანძილზე LANCÔME-ს სახე იყო



დევიდ ბექჰემი - adidas-ის სახე

თორნიკა პარაშენიძე

რეკლამა ყველას სჭირდება, ოღონდ რეკლამისათვის ყველა არ გამოდგება. სარეკლამო რგოლისა თუ ფირნიშის დასამზადებლად განსაკუთრებულ ხალხს ეძებენ ხოლმე. ეს ხალხი არა მხოლოდ ტელეგენური თუ ფოტოგენური უნდა იყოს, არამედ რეკლამოგენურიც. ეს რას ნიშნავს? მაგალითისათვის, საქართველოში ყველაზე რეკლამოგენურად ზვიო ყოფილა მიჩნეული და ქართველ მენარმეებს მართლაც რომ გაუმართლათ ასეთი კაცი რომ არსებობს. უცხოეთში ხომ ათასებს ხარჯავენ რეკლამაგენური ინდივიდების მოსაძებნად და მილიონებს ხარჯავენ ვარსკვლავებზე - ხალხზე, რომელიც შეიძლება სულაც არ იყოს რეკლამოგენური, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ისინი ვარსკვლავები არიან და ყველაფერს ამშვენებენ. თავმოყვარე კომპანიებიც, როგორც

ნესი, მხოლოდ რეკლამაგენურ ინდივიდებს არ სჯერდებიან და ვარსკვლავებს დასდევენ. ვინ მოთვლის, რა ფული მიედინება ამ საქმეში. მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ რადგან დიდი ფულის გადახდაზე ხარ თანახმა, ვარსკვლავის მოძებნა აგრეიოლია. სულაც არა - თუკი თავმოყვარე კომპანია ხარ, ვარსკვლავებიც მსხვილკალიბრიანი უნდა გყავდეს. ასეთებზე კი ისეთი ტაციობაა, რომ საქმეში ჩაუხედავ კაცს გაუკვირდება და იტყვის: რა არის ასეთი, აქეთ აძლევ ფულს, ხომ არ ართმევო. რა არის და თქვენ უნდა გენახათ, როგორ აინია "პეპსიკოლას" აქციებმა, როცა ამერიკული ფეხბურთის ეროვნული ლიგის სპონსორობას გამოჰკრა ხელი.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ დიდი მიღწევაა "რეკლამისათვის," რომ სინდი კროუფორდი მისეული კოსმეტიკით ლამაზდება. ვერ წარმოიდგენთ, რას ნიშნავს "ადიდასისათვის" დევიდ ბექჰემი რომ მისეულ სა-

ქონელს იცვამს და იხურავს (სანაცვლოდ წელიწადში იმდენ თანხას უხდის, თბილისის ერთ უბანს მთელი წელი რომ ეყოფა. თუმცა, ამას ბექჰემისათვის არ შეუშლია ხელი, "მანჩესტერ იუნაიტედისათვის" ხელფასის გაზრდა რომ მოეთხოვა). მაგრამ კომპანია ამით არ კმაყოფილება და მეტი და მეტი ვარსკვლავის ხელში ჩაგდება სურს. საერთოდ, სპორტში ტაციობა არა მხოლოდ ცალკეულ ვარსკვლავებზე, არამედ მთლიანად კლუბებზეც მიღებულია. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა მასშტაბის მოვლენაა მობილური ტელეფონების ბაზარზე ის ფაქტი, რომ მადრიდის "რეალის" მთამაშეთა (ზიდანის, რონალდოს, რაულის, ფიგუს, კარლოსის...) მაისურებს ასეთი წარწერა რომ ამშვენებს: "სიმენს მობაილ ფონზ." რა ტელეფონს იყიდიან ამის შემდეგ "რეალის" ფანები, რომლებიც მეტად მრავლად არიან ამ ქვეყანაზე? "ნოკიას?" "მოტოროლას?" ცოტათი საეჭვოა.

"რეალს" კი არა და, საქართველოს საფეხბურთო ნაკრებსაც ჰყავს სპონსორები. ამის გამოისობით რამდენიმე წლის წინ ასეთი საანექდოტო ამბავი მომხდარა. ერთ-ერთი ნაკრების (ოლიმპიურის, ძირითადის თუ იუნიორების, ამას აქ არ დავაზუსტებთ) ერთ-ერთმა მწვრთნელმა (მთავარმა თუ დამხმარემ არც ამას დავაზუსტებთ) მატჩისწინა შეკრების დროს თავზე "ნაიკის" ქუდი დაიხურა. ამის შემხედვარე მისმა კოლეგამ თურმე ისე შეიცხადა, პანაშვიდზე სატირლად დაქირავებულ ქალს შეშურდებოდა: რას შერები, ჩვენ ხომ "ლოტო" გვასპონსორებს, ეგ ქუდი რომ დაინახონ, ყველას დაგვაჯარიმებენ, შენ კი ხომ ისე დაგაჯარიმებენ, დილომში რომ რესტორანი გაქვს, იმის გაყიდვაც ვერ გიშველისო. რას ამბობო, უთხრა კონვენციის უნებლიე დამრღვევმა, ეგ არ ვიცოდი, ოღონდ არ დაგვაჯარიმონ და სულ არ დავიხურავ ამ ოხერ ქუდსო. მერე კონვენციის უნებლიე დამრ-

ღვევი თავის ოთახში შეიკეტა და ცოტა ხანში ახალი ქუდით მოველინა იქაურობას. უფრო სწორად, იგივე ქუდი ეხურა, მაგრამ "ნაიკის" წარწერაზე ქალღიმილი გადაენებინა, რომელზეც კალმით წაწერა "ლოტო." მართალია, წარწერა შეცდომით იყო (ერთი ტექსტარა, როცა ლოტო ლათინური ასოებით ორი ტიპით იწერება). მაგრამ ეგ არაფერი - მთავარია, სპონსორს პატივი რომ სცა.

მოკლედ, კარგია ვარსკვლავობა, ოღონდ პრივილეგიების გარდა, ვალდებულებებიც ახლავს. რომ მოაწერ ხელს ერთ-თან და მილიონებს აიღებ, მეორეს პროდუქციით ვერ ისარგებლებ (შეიძლება, დავიდ ბექჰემს "პუმაზე" აქვს ნოსტალგია და შინ, ცოლ-შვილთან სულ ამ ფირმის სამოსში გამოწყობილი დადის, მაგრამ აბა ერთი საჯაროდ ჩაიცვას). თუმცა, ამ ვალდებულებასაც როგორმე აიტან. ანდა, ბოლოსდაბოლოს არავისთან გააფორმებ კონტრაქტს და ივლი შენს ჭკუაზე.